საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

# არილი

ფასი 2 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა
1134
2018 /2
1/2
9 772298 095006



2018 / მაისი
5 (271)

სანდრო წერეთელი

## მევიოლინე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარჩევი


პროზა 1 სანდრო წერეთელი | მევიოლინე

10 სანდრო წერეთელი | ერთი ბოთლი ლუდი

პოეზია 15 ბელა ჩეკურიშვილი

19 მარიამ წიკლაური

23 თორნიკე რობაქიძე

თარგმანი 29 მერიენ მური

*ინგლისურიდან თარგმნა ეფემია ჭავჭანიძემ*

პორტრეტი 33 ფლერ იეგი | კიტსის მიახლოებითი პორტრეტი

რეცენზია 39 ჯაბა ზარქუა | ნეხვიდან ნულ სიმაღლეზე

ინტერვიუ 42 1968: ძალაუფლება - წარმოსახვას

ინტერვიუ დანიელ კონ-ბენდიტთან


გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია



სარედაქციო საბჭო:

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.


არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი

ხალხური


ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან



© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია



ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

მწერალთა სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სანდრო წერეთელი

# მევიოლინე



ერთ-ერთ შაბათს, პატარა კაფეში გამართულ ჯაზის ყოველკვირეულ საღამოზე უცნაური რამ მოხდა. საღამო უკვე დასასრულისკენ მიდიოდა და ბენდს ბოლო კომპოზიცია უნდა დაეკრა. მევიოლინემ, რომელიც უკვე საკმაოდ შეზარხოშებულიყო, ვიოლინო მოიმარჯვა, რათა ჯგუფს შეერთებოდა. თავიდან, სანამ ხუთივენი ერთად უკრავდნენ, მუსიკოსებსაც კი არაფერი შეუმჩნევიათ, მაგრამ შემდეგ, როდესაც საქსოფონის სოლოს დრო მოვიდა და დანარჩენმა ინსტრუმენტებმა ფონზე გადაინაცვლეს, საქსოფონისტმა რამდენჯერმე მევიოლინესკენ თვალი გააპარა, რომელიც თვალდახუჭული უკრავდა და მუსიკაში მთელი სხეულით იყო ჩართული.

საქსოფონისტს ასეთი რამ არასოდეს დამართნია - მთელი ყურადღება ვიოლინოსკენ მიმართა, მაგრამ რამდენსაც არ ეცადა, ვიოლინოს ხმა ვერაფრით გამოარჩია დანარჩენ ინსტრუმენტებში.

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა მუსიკოსებსაც გადახედა და ცოტა დამშვიდდა, რადგან მიხვდა, რომ თვითონ კი არა, მევიოლინეს დამართნოდა რაღაც - დრამერმა თვალით მევიოლინეზე მიანიშნა, ხოლო ბასისტი და თვით გიტარისტიც კი გამალებით ეძებდნენ ხარვეზის მიზეზს იმპროვიზებული სცენის განაპირას მოთავსებული აპარატურის ერთმანეთში გადახლართულ მავთულებში.

რაც მთავარია, მსმენელებს არაფერი შეუნიშნავთ ან თუ შენიშნეს, არ გამოუხატავთ. მაგიდების უმეტესობასთან, ნაკლულ ჭიქებისა და მოჯრილი თეფშების გროვებიდან ამოზრდილები, ერთმანეთისკენ გადახრილიყვნენ, რათა თანამოსაუბრისთვის უკეთ გაეგონებინათ. დანარჩენები კი ჩამომდგარ ჯანღში სკამის საზურგეებზე მიწოლილიყვნენ და სახეზე კმაყოფილებასთან ერთად მაღალი ჭერიდან ჩამოშვებული სუსტი ნათურების შუქი ეფინათ.

იმპროვიზაცია დაასრულეს. ხალხმა ტაში დასცხო. მევიოლინემ მუსიკოსებისთვის განკუთვნილი მაგიდიდან თავისი ჭიქა აიღო და ბოლომდე გამოსცალა.

ტაში რომ ჩაცხრა და კომპლიმენტის სათქმელად მოსულ რამდენიმე ნაცნობს გამოელაპარაკა, საქსოფონისტი მევიოლინეს მიუახლოვდა - მას ჯერ კიდევ ჭიქა ეჭირა ხელში, ვერ გადაეწყვიტა, კიდევ ერთიც დაელია თუ არა.

- რა მოხდა? - უთხრა საქსოფონისტმა.

- როდის? - ჰკითხა მევიოლინემ.

- ბოლოს რა.

- რა მოხდა? არ ვიცი. მოხდა რამე? - ჭიქას დახედა - ბევრი გავმაზე?

საქსოფონისტმა ნიკაპი შესწია გაკვირვების ნიშნად.

- გამაზე? - ყოყმანით უთხრა - საერთოდ არაფერი ისმოდა.

მევიოლინემ კაფეს მეორე ბოლოსკენ გაიხედა, სასმელების ბარისკენ. ჯერ კიდევ ყოყმანობდა, კიდევ დაელია თუ არა.

- როგორ თუ საერთოდ? - გაუღიმა საქსოფონისტს - ვაბშე არაფერი?

- ხო, ვაბშე-ვაბშე.

- მიდი რა! - თქვა მევიოლინემ და საბოლოოდ გადაწყვიტა - საქსოფონისტს დაემშვიდობა და ბარისკენ გაემართა დასალევად.

ჭიქა უკვე ნახევრამდე ჰქონდა დაყვანილი, რომ ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო. შემოტრიალდა და ძველი ნაცნობი შერჩა ხელში - ხუთი წლის უნახავი კურსელი. ჭიქა დახლის სიღრმეში შეაცურა, რათა მეგობართან გადახვევისას შემთხვევით არ გადაებრუნებინა.

გულითადი მისალმების შემდეგ სასაუბროს მოძებნა გაუჭირდათ.

- სახლში როგორ ხართ? - ჰკითხა მევიოლინემ.

- კარგად, კარგად, ძველებურად. ისე, შენ საღოლ - მეგობარმა ხელი სცენისკენ აიქნია.

- ხო - თქვა მევიოლინემ - შენ უკრავ სადმე?

- არა, ცოტა ხანი ვისვენებ. ახლა მელიორაციაში ვარ.

ორივეს გაეცინა.

- მანდ რა გინდა?

- რა ვიცი ძმაო. გრძელი ამბავია.

- ხო - თქვა მევიოლინემ და ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა - სხვა რას შვები? ცოლი ხო არ მოგიყვანია?

- ჯერ არა, მაგრამ მომყავს. შენ? ის გოგო სად არის? რა ერქვა - ანა, თუ ნინა თუ ნანა?

- მაიცა რა. რაღა დროს ეგ არის.

ასე ილაპარაკეს რამდენიმე წუთი. კიდევ ერთი ჭიქა დალია მეგობართან ერთად. ჯგუფის წევრები უკვე წასულიყვნენ. წამოდგნენ და კარებისკენ გაემართნენ. კაფედან გამოსულებმა ქურთუკები შეიკრეს და ნიკაპები საყელოებში ჩამალეს. დამშვიდობების წინ კიდევ ცოტა ხნით შეყოვნდნენ.

- მართლა, ვიოლინოს ვყიდი - უთხრა მეგობარმა - ვინმე ხომ არ იცი, რომ უნდოდეს?

- ვა, ეგრეა საქმე?

- მთლად ეგრეც არ არის - მეორეც მაქვს, მაჩუქეს. მაგრამ ყოველდღე ხომ არ ვუკრავ. და თან ორი ვიოლინო რად მინდა.

- ვინ გაჩუქა?

- მელიორაციამ.

- ვაა - გაიცინეს. უნდოდა ეკითხა, რატომ აჩუქეს მელიორაციაში ვიოლინო, მაგრამ დაეზარა. უცებ ძალიან შესცივდა - არა, არავინ მახსენდება. ნომერი ჩამაწერინე, დაგირეკავ თუ რამეა.

ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

სახლამდე, სიცივის მიუხედავად, ფეხით მიიდა. პატარა, ერთოთახიან ბინაში, რომელიც მოსახერხებელი მდებარეობის გამო ჰქონდა ნაქირავები, ჩახუთული ჰაერი იდგა. ფანჯარა გამოაღო და საწოლზე გაუხდელად მიეგდო.

* * *

დილას თავის ტკივილმა გააღვიძა. ფანჯრიდან ქალაქის ზუზუნი იჭრებოდა. ყავისთვის წყალი დაადგა, ფანჯარა დახურა, მაგრამ სანამ წყალი დუღდებოდა სული შეეხუთა და ისევ გაალო.

სწრაფ-სწრაფად ჩაიცვა, ფანჯარა საბოლოოდ დახურა და ისე, რომ ყავა არ დაულევია, სახლიდან გამოვიდა. უკვე აგვიანდებოდა, მაგრამ ავტობუსში ასვლა არ უნდოდა.

თავიდან ცენტრალურ ქუჩაზე მიდიოდა. ჩვეულების საწინააღმდეგოდ არავისთვის შეუხედავს, არავის დაკვირვებია - თავის ტკივილს გულგრილი გაეხადა. შემდეგ პარალელურ ქუჩაზე შეუხვია. ქალაქის ხმაური თითქოს სქელი კედლის მიღმა დარჩა - ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს კარები მოიკეტა და თავის ტკივილმაც კი უკლო. პატარა ბართან შეჩერდა, სადაც რეპეტიცია ჰქონდათ დანიშნული. საათზე დაიხედა - მხოლოდ 20 წუთით დააგვიანდა. ეგ არაფერი, შეიძლებოდა მეტითაც დაეგვიანა.

მართლაც, არავის არაფერი უთქვამს. ვიოლინო ფუტლიარიდან ამოიღო, დანარჩენები უკვე მზად იყვნენ. ერთი კომპოზიცია უკვე მის გარეშეც დაეკრათ.

დრამერმა ჯოხები შეათამაშა.

საქსოფონისტმა თავი დაუქნია - მათი ურთიერთობა, მით უმეტეს პროფესიული, ამ ბოლო დროს მოკლე ჟესტებით შემოიფარგლებოდა.

ბარში, რომელსაც საქსოფონისტის ახლობელი მელომანი უთმობდა ხოლმე ჯგუფს სარეპეტიციოდ, აკუსტიკა არ ვარგოდა, მაგრამ სულ არაფერს სჯობდა. კორპუსებში ნაქირავებ ბოლო სართულის ბინებსაც სჯობდა, სივრცეც იყო და სასმელის ბარიც, საიდანაც შესვენებისას, ბარის მეპატრონის კურთხევით, შეეძლოთ თითო ჭიქა ჩამოესხათ და კუთხეებში მიყრილ პუფებში ჩაშვებულიყვნენ.

დაკვრა დაიწყეს და თავის ტკივილი, რომელიც დავიწყებული ჰქონდა, პირველი ბგერისთანავე დაბრუნდა. მისი კვლავ განეიტრალება მუსიკაზე სრული კონცენტრირებით სცადა; თუმცა თავიდან, ერთმანეთში აზელილი ხმების უფორმო მასამ ბარი გაავსო და ყურებიც გამოუგლისა, მაგრამ მერე ნელნელა შეეჩვია, ინსტრუმენტები ერთმანეთისგან გაარჩია და მალე პირველი, მსუბუქი ჟრჟოლაც იგრძნო. ახლა ისლა რჩებოდა, დალოდებოდა, გიტარისა და საქსოფონის სოლოების შემდეგ მისი ჯერი იყო.

დაკვრა სულ ახალი დაწყებული ჰქონდა, რომ მოულოდნელად გიტარა გაჩერდა. მიუხედავად იმისა, რომ ამან ინერცია დააკარგვინა, შეეცადა ყურადღება არ მიექცია და გაეგრძელებინა, რადგან ბოლოს და ბოლოს, ასეთი რამე უჩვეულო არ იყო რეპეტიციისთვის და მალე ალბათ შეძლებდა კიდეც წონასწორობის აღდგენას, დრამერიც რომ არ გაჩერებულიყო.

გაღიზიანებულმა თვალები გაახილა და დარბაზს თვალი მოავლო. ყველა მას მისჩერებოდა. იფიქრა, რომ ეკაიფებოდნენ.

- მეკაიფებით?

ხმა არავის გაუღია. ოდნავ მოქანავე თეფშის უკნიდან დრამერი უცნაური სახით მისჩერებოდა, თითქმის ეჭვით. გიტარისტის სახეზე ვერაფერი ამოიკითხა და მზერა საქსოფონისტზე გადაიტანა, რომელიც თავისი სოლოს შემდეგ პატარა მაგიდასთან მიმჯდარიყო. ის ახლა ნაკლულ ჭიქას ატრიალებდა ხელში და თითქოს ვერ გადაეწყვიტა, რა განაჩენი გამოეტანა.

- მაგარი სტრანნია - თქვა საქსოფონისტმა და დრამერს შეხედა.

- ძაან - თქვა დრამერმა.

- გუშინ მეგონა მომეჩვენა.

- ე-ბიჭო რას ატრაკებთ? - თქვა მევიოლინემ - რატომ გავჩერდით?

- ეგეთი სახე რომ არ გქონდეს, ვიფიქრებდი, რომ შენ გვეკაიფები - თქვა საქსოფონისტმა

მევიოლინემ გადაწყვიტა დალოდებოდა როდის გაიზზარებოდა მუსიკოსების ნიღბები (გიტარისტის გამოკლებით) და ამ ხუმრობის აზრს როდის გაანდობდნენ, მაგრამ რამდენიმე წამმა სრულ სიჩუმეში ჩაიარა და ჯგუფის წევრებს არაფერი ეტყობოდათ, რომ გამოტყდომას აპირებდნენ. მევიოლინე ოდნავ აღელდა, თვითონაც ვერ გაეგო რატომ. ვერასოდეს იფიქრებდა, როლის მორგებას თუ ამდენი ხანი შეძლებდნენ დრამერი და საქსოფონისტი.

- პე, რა ხდება? რა იყო? თქვით! რატომ გაჩერდით? - დაიძახა კიდევ უფრო გაღიზიანებულმა.

- ჩვენ კი არა, შენ რატომ გაჩერდი? - თქვა საქსოფონისტმა - უფრო სწორად, კი არ გაჩერდი, არც დაგიწყია. ვიცი, ვიცი, ვხედავდი რომ უკრავდი, ბექაც ხედავდა, გაგაც ხედავდა, არა? - გიტარისტმა და დრამერმა თავი დააქნიეს - ყველანი ვხედავდით, მაგრამ არაფერი გვესმოდა.

მევიოლინემ გაიღიმა. საკმაოდ სულელური ხუმრობა მოეფიქრებინათ. იმიტომ სჯიდნენ, რომ მუდმივად აგვიანებდა. საქსოფონისტის მაგიდას მიუჯდა და კედელს მიეყრდნო. ამ თამაშში აყოლას არ აპირებდა.

- ეგ გუშინ მოიფიქრე? ექსპრომტად? - უთხრა საქსოფონისტს - საღოლ. დაკვრა თუ არ გინდოდათ, პირდაპირ გეთქვათ, მეც რაღაც ვერა ვარ კარგად.

წამით შეჩერდა, მათ რეაქციას დააკვირდა, ელოდა, რომ ვინმე უპასუხებდა, მაგრამ ხმა არავის ამოუღია.

ვიოლინო და ხემი მაგიდაზე დატოვა, წამოდგა და სასმელების ბარისკენ გაემართა.

- ისე, ეს კაცი რომ არა, რა გვეშველეობდა - თქვა ნაძალადევი უდარდელობით და ერთ-ერთ ბოთლს მოჰკიდა ხელი, დახლს ზემოთ, თაედაღმა დაკიდებული ჭიქაც ჩამოხსნა - უფასო სარეპეტიციო... უფასო სასმელი... როცა დაკვრა აღარ მოგვინდება - ცოტას მოვწრუპავთ.

ჭიქის შევსება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ კარი ზანზალაკის წკრიალის თანხლებით გაიღო და ბარში შუა ხნის, შავ პალტოში გამოწყობილი, წარმოსადეგი კაცი შემოვიდა, ზღურბლს ენერგიულად გადმოაბიჯა და შემცბარი მუსიკოსებისკენ წამოვიდა.

- აჰა, ბიჭებო, აქა ხართ? - მხიარულად დაიძახა შორიდანვე - იმედია უკვე არ მორჩენილხართ, არა?

- ჯერ არც დაგვიწყია - თქვა საქსოფონისტმა ყალბი ღიმილით და მისასალმებლად წამოიწია. ბექა და გაგა, რომლებიც აქამდე თავიანთ ინსტრუმენტებს უტრიალებდნენ, მასპინძლის შესახვედრად დაიძრნენ.

მევიოლინე, ისე რომ დახლს უკნიდან ფეხი არ მოუცვლია, ბარის მეპატრონეს გაფანტულად, მხოლოდ თაეის დაკვრით მიესალმა და ის იყო პირველი ყლუპი უნდა მოესვა, რომ ჭიქა ხელში გაუშეშდა. არაჩვეულებრივმა აზრმა გაუელვა. ახლა მაინც შეძლებდა მათ გამოტეხვას. უცნაურად გაღიზიანებულმა ჭიქა ისე დადგა, რომ არც კი მოუსვამს, დახლს შემოუარა და მაგიდასთან შეკრებილ ჯგუფს მიუახლოვდა. მათ შეუმჩნევლად დასწვდა ვიოლინოს და ბარის მეპატრონეს, რომელიც მუსიკოსებთან საუბარში გართულიყო, ზურგიდან ამოუდგა. არც უფიქრია, რომ ასეთ საქციელს ბარის მეპატრონე უკეთეს შემთხვევაში ექსცენტრულობად, უარესში კი უზრდელობად ჩაუთვლიდა, მასთან რაც შეიძლება ახლოს მივიდა და ხემი მთელი ძალით გაუსვა სიმებს და შემდეგ საზეიმოდ აღმართა პაერში.

საქსოფონისტს, რომელმაც ყველაფერი დაინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხა, სიტყვა გაუწყდა.

ბარის მეპატრონე არ შემობრუნებულა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვრდა და მევიოლინესთვის წამი უსასრულოდ გაიწელა, ხეში, რომელიც დანარჩენების თავებზე ჰქონდა შემართული, ასე მძიმედ არასოდეს მოსჩვენებია.

- აბა?! - დაიძახა მხნედ, რათა საკუთარი პოზა გაემართლებინა, მაგრამ მაშინვე ინანა, მიხვდა, რომ ამ შეძახილით სიტუაცია კიდევ უფრო აბსურდული გახადა.

ბარის მეპატრონე შემობრუნდა და მას გაკვირვებული მიაშტერდა; სახეზე უხერხული ღიმილი გადაჰფენოდა, თავიც კი დაუქნია მევიოლინეს, თითქოს შესაძლო რეაქციებიდან ერთ-ერთი შეარჩია და მოსინჯა, სიტუაციას მოერგებოდა თუ არა და შემდეგ ირგვლივ უმწეოდ მიმოიხედა.

ბოლოს ისევ საქსოფონისტმა იმარჯვა, ხმამაღლა გაიცინა და ბარის მეპატრონეს დახლზე დადგმულ ჭიქაზე მიანიშნა, თვალიც ჩაუკრა, რათა მიეხვედრებინა, რომ მევიოლინეს უცნაური საქციელი მხოლოდ ზედმეტი ალკოჰოლის ბრალი იყო.

თავად მევიოლინე კი ამ ხნის განმავლობაში გაუნძრევლად იდგა, სახეზე ღიმილშეყინული და ნელნელა ეკარგებოდა გარეგნული მხნეობა. მხრები ჩამოყარა, წელშიც კი მოიხარა, აღარაფერი დარჩენილიყო მისი თავდაჯერებიდან. იგრძნო, რომ მარცხდებოდა. შეიძლება უკვე დამარცხებულიყო კიდეც, ოღონდ არ იცოდა, სახელდობრ რაში. განგაშის შეგრძნება, რომელიც დაეუფლა, უკბილო ხუმრობისადმი უბრალო რეაქცია ვერ იქნებოდა, ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე გაღიზიანება, ზიზღი და იმედგაცრუება, რომელსაც ყოველდღიური პრობლემები აღძრავდნენ მასში. მისმა სხეულმა უკვე იცოდა ის, რაშიც თავს ჯერ არ გამოტყდომოდა.

როდესაც უხარხულობა გაიფანტა და საუბარი განახლდა, თავი აიძულა რამდენიმე სიტყვა ამოეღერღა. შეუძლოდ ყოფნა მოიმიზეზა, ბარის მეპატრონესა და ჯგუფის წევრებს დაემშვიდობა - ვიოლინო ფუტლიარში დააბრუნა და ბარიდან გამოვიდა.

* * *

როგორც კი გარეთ აღმოჩნდა, გაჩერდა. მის ზურგს უკან კარი ხმაურით დაიხურა. ცოტა ხანი ასე იდგა და ვერ გადაეწყვიტა, საით წასულიყო. არც უნდოდა სადმე წასვლა და ფეხის მოსაცვლელად ძალა არც ეყოფოდა, ბარში დაკვრა რომ არ განახლებულიყო - მაილს დევისს უკრავდნენ - „მწვანე დელფინის ქუჩაზე".

თითქოს ამას ელოდა, ბარის კარს მაშინვე მოშორდა. მთავარი ქუჩისკენ აუხვია, ქალაქის ხმაურს შეერია და ცენტრალურ ქუჩას ჩქარი ნაბიჯით გაუყვა. ხალხის უწყვეტმა ნაკადმა მალე გაიტაცა და მევიოლინემ საკუთარი თავიცა და საზრუნავიც დროებით ქუჩის დინებას მიანდო, სანამ მან ნაცნობ ადგილას არ გამორიყა.

ქალაქის მუსიკალური კონსერვატორიის წინ იდგა, სადაც სტუდენტობის წლები ჰქონდა გატარებული და საკუთარ თავზე მოუვიდა გული, რომ თვითონ ვერ მოიფიქრა აქ მოსვლა. მის მასწავლებელს, რომლის ხელშიც მუსიკოსთა თაობები იყო გამოზრდილი, აუცილებლად ეცოდინებოდა რამე მისი პრობლემის შესახებ.

მისაღებში დაცვა დახვდა, რომელიც ერთადერთი იყო, რაც ახლანდელ კონსერვატორიის მისაღებს, ხუთი წლის წინანდელისგან განასხვავებდა. დაცვამ არაფრისმთქმელი მზერით შეხედა მევიოლინეს და ნახევარწრის ფორმის ბარიკადზე, რომლის უკანაც მოკალათებულიყო, სამი თითი აათამაშა.

მევიოლინე ამ ჟესტმა გააღიზიანა, მაგრამ შეეცადა არ შეემჩნია, ბარიკადთან ჩავლისას დაცვას მოკლე თავის დაკვრით მიესალმა და დერეფანში გამავალი კარისკენ გაეშურა. იქ, ორივე მხარეს ჩარიგებულ კლასებში, იმედი ჰქონდა, რომ მასწავლებელს ადვილად იპოვიდა.

მაგრამ მისმა მოჩვენებითმა თავდაჯერებულობამ, რითაც უნდოდა ეჩვენებინა, რომ შინაური იყო, არ გაჭრა.

- ვისთან მიდიხართ? - დააწია დაცვამ.

- ჩემ მასწავლებელთან.

- სტუდენტი ხართ?

მევიოლინემ არაფერი უპასუხა, მხოლოდ ვიოლინოს ფუტლიარი დაანახვა ორაზროვანად.

- ვისთან მიდიხართ? - არ მოეშვა ის მაინც.

- ჩემს მასწავლებელთან - დარია იანტბელიძესთან.

დაცვას ეტყობა სახელი ეცნო, მცირე ყოყმანის შემდეგ მევიოლინეს, რომელსაც უკვე მოთმინება ელეოდა, უთხრა დამიცადეთო და მასწავლებლის მოსაძებნად წავიდა.

მევიოლინე კარს მოშორდა და ბარიკადს მიეყრდნო. მასწავლებელი ხუთი წელია არ ენახა, არც დალაპარაკებოდა. ამ ხნის განმავლობაში მისი მოკითხვის სურვილი არ გასჩენია და მხოლოდ მაშინ ახსენდებოდა, როდესაც მუსიკალურ წრეებში ახლად გამოჩენილი ტალანტი დიდი მომავლით, მისი მოსწავლე აღმოჩნდებოდა ხოლმე.

ნეტა მასწავლებელს თუ ახსენდებოდა მევიოლინე?

კედლის საათს ახედა. მოუთმენლობა ემატებოდა და რაც უფრო დიდი ხანი იდგა უკაცრიელ მისაღებში, რომელშიც ზემო სართულების კლასებიდან ჩამოღვრილი, ერთმანეთში არეული სხვადასხვა სტილის მუსიკა გუბდებოდა, მით უფრო კარგავდა იმედს, რომ შეძლებდა მასწავლებლისთვის აეხსნა, თუ რა დაემართა.

როგორც იქნა კარი გაიღო და დაცვას შუა ხნის ქალი შემოჰყვა, რომლის ყვითელი ფერის პიჯაკმა პირქუში ჰოლი მაშინვე გამოაცოცხლა.

- ოოჰ? - წამოიძახა მან - ამას ვის ვხედავ.

მევიოლინემ შვება იგრძნო - ამ შეხვედრამ თითქოს სტუდენტობის უსაფრთხო წლებში დააბრუნა - მასწავლებელს გადაეხვია, რომელიც მას თავის კლასში შეუძლვა, სადაც როიალის თავზე, გაშლილ ვარდისფერზოლიან ხელსახოცზე ნახევარი სენდვიჩი იდო - დანარჩენი ყველაფერი ისევე იყო, როგორც მევიოლინეს ახსოვდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა



რამდენიმე მორყეული სკამი, როიალი და ფანჯარა, საიდანაც ზამთრის სუსტი შუქი შემოდიოდა და ფრთხილად ეხებოდა როიალის შავ ზედაპირს.

მასწავლებელი ერთ-ერთ სკამზე ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და ხელები მუხლს შემოაჭდო - ღიმილით მიაჩერდა მევიოლინეს, მას კი ვერაფერით მოეფიქრებინა, როგორ უნდა აეხსნა მასწავლებლისთვის თავისი გასაჭირი და იმასაც ვერ ახერხებდა, უხერხულობის გასაფანტად მასწავლებლის დასმულ წვრილმან შეკითხვებზე აზრიანი პასუხები გაეცა. ხშირ-ხშირად გაურბოდა თვალი ფუტლიარისკენ და დარია მასწავლებელმაც, როგორც იქნა ვიოლინო და თავისი ყოფილი მოსწავლის გაფანტულობა ერთმანეთს ბუნდოვნად დააკავშირა.

- აბა, რა დაგვატყდა თავს, რომ შენი ფეხით გამოცხადდი? - ჰკითხა მასწავლებელმა როდესაც ერთმანეთის მოკითხვა დაასრულეს.

- არ ვიცი მას... მემგონი რაღაც დამემართა.

- რა დაგემართა? - მასწავლებელი ახლა უფრო ყურადღებით დააკვირდა მევიოლინეს, მის საგრძნობლად შეწითლებულ ცხვირს და ჩასისხლიანებულ თვალებს, აჩეჩილ თმებს - ხომ არ გაცივდი?

მევიოლინე ჩაფიქრდა - გაახსენდა დილას რომ თავი სტკიოდა. თავი ახლაც სტკიოდა. სკამიდან წამოდგა და ფუტლიარს მიუახლოვდა, რომელიც დროებით როიალის თავზე შემოედო.

- შეიძლება... მემგონი გავცივდი, კი... ოღონდ... - ამბობდა და თან ფუტლიარს ხსნიდა. ახსნის თავი არ ჰქონდა და კარგად არც იცოდა რა უნდა აეხსნა, ამიტომ ვიოლინო მოიმარჯვა და რამდენიმე ნოტი აიღო - ხედავთ? გესმით?

თქვა და იმედიანად მიაჩერდა თავის მასწავლებელს, რომელსაც გაკვირვება არ გამოუხატავს, მხოლოდ კეთილმოსურნედ უღიმოდა, როგორც საუბრის დასაწყისში.

- მერე? - თქვა ბოლოს მასწავლებელმა - ისე, კაი დღეში კი ჩავარდნილხარ. შეიძლება თავი ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანო?

- თავი მივიყვანო? - გაიმეორა მევიოლინემ უაზროდ. შემდეგ კიდევ რამდენიმე ბგერა დაუკრა - მას, გესმით თუ არ გესმით?

- რა თქმა უნდა, არ მესმის, საერთოდ არ ისმის არაფერი, აი, საერთოდ, როგორ უნდა მესმოდეს? და იცი რატომ? ძალიან კარგად იცი რატომაც - თქვა მასწავლებელმა და სკამიდან წამოდგა. გამარჯვებულის იერი ჰქონდა.

- და რატომ? - თქვა გამოცოცხლებულმა მევიოლინემ.

- რატომ? მეკითხები კიდევაც! - თქვა მასწავლებელმა და შემწყნარებლურად გაუღიმა - არ გრცხვენია ხომ? მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ შენც იცი, რატომაც. სხვა შემთხვევაში ჩემთან არ მოხვიდოდი - იგი სკამიდან წამოდგა, მის მზერაში ახლა მშობლიური სითბო იგრძნობოდა, უძღები შვილი კი სარგადაყლაპულივით იდგა და ცდილობდა, მასწავლებლის სიტყვებში აზრი ეპოვა. მასწავლებელი თავისას აგრძელებდა - იმიტომ, რომ ყოველთვის გაუგონარი მოსწავლე იყავი. ხომ გაფრთხილებდი ყოველთვის? აი, აგიხდა კიდეც! ყოველთვის ასე ხდება, ყოველთვის! მე როდესაც რაღაცას გასწავლი, იმას ჩემთვის ხომ არ გასწავლი? ასე ბრუნდება ყველა, რომ იცოდე, ბრუნდებიან და ჩივიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კი ყველას უკლებლივ გაფრთხილებდით და გასწავლიდით როგორ უნდა იმეცადინო, თუ გინდა, რომ ბგერა არ გაგიფუჭდეს, მთავარი ბგერაა, ბგერა, ბგერა, ბგერა! - ამ ბოლო სიტყვებთან ერთად ხელი რიტმულად დაჰკრა როიალს.

შემდეგ შეჩერდა. კმაყოფილება ემჩნეოდა. მევიოლინეს დააკვირდა და შეეცადა გამოეცნო, რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და ძალიან უმწეო მოეჩვენა - ასეთი არასოდეს ახსოვდა.

- ესე იგი მე ვერაფრით დაგეხმარები - გააგრძელა კიდევ უფრო თბილად - იმიტომ რომ ყველაფერი შენზეა დამოკიდებული! ეს ათასჯერ მაინც გაგვიმეორებია - თქვა მან და თავისი სკამის გვერდით დადებულ ჩანთასთან მივიდა, იქიდან ბლოკნოტი ამოიღო, ერთი ფურცელი ამოხია და ზედ რაღაცის ჯღაბნას შეუდგა - დარწმუნებული ვარ კარგად გახსოვს ეს ყველაფერი, მაგრამ კიდევ ერთხელ დაგიწერ.

წერა რომ დაამთავრა, მევიოლინეს, რომელიც ადგილიდან არ განძრეულა და ფანჯარაში იყურებოდა, მიუახლოვდა და ფურცელი გადასცა.

ზედ გაურკვეველი ხელით იყო დაჯღაბნილი ტონალობების აღნიშვნელი სიმბოლოები და გამების დასახელებები.

- ბგერას მოვლა უნდა - თქვა მასწავლებელმა, რადგან შეამჩნია მევიოლინეს სახეზე გამოხატული სასოწარკვეთა - არპეჯიოებიც არ დაგავიწყდეს. ერთი სიტყვით, რაც უფრო მეტს ივარჯიშებ, მით უკეთესი. ოღონდ ხომ იცი, ძალიანაც ნუ მოიკლავ თავს. ეგეც მნიშვნელოვანია, ხომ გახსოვს?

და რადგან მოსწავლისგან პასუხი ვერ მიიღო, ჩათვალა, რაღაც ვერ გაიგო კარგადო და ვიოლინოს დასწვდა. მევიოლინეს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

- აი ასე, აი ასე, აი ასე - ამბობდა მასწავლებელი და თან უკრავდა - ხედავ? ხედავ? ადვილია? ხომ გესმის? აი ასე, ნელა, რაც შეიძლება ნელა, შემდეგ აუჩქარე, შემდეგ უკუღმა, თავიდან, ერთი-ორი-სამი! ერთი-ორი-სამი! ხომ ხედავ? ადვილია.

შემდეგ დაკვრას მორჩა და ვიოლინო დაუბრუნა. საათზე დაიხედა, თვალი კი სენდვიჩისკენ გააპარა, საიდანაც კიტრის თხელი ნაჭერი გადმოვარდნილიყო.

- დიდი მადლობა მას - თქვა მევიოლინემ.

მასწავლებელი დაიჭყანა და ხელი აიქნია, ეგ რაღა სათქმელი იყოო.

- სისულელე! როცა გინდა მოდი. გამეხარდა შენი ნახვა. ისე, ერთი არ უნდა დარეკო ხოლმე?

- დავრეკავ მას - თქვა მევიოლინემ და კლასიდან გამოვიდა.

* * *

კონსერვატორიიდან გამოსული აფიშებთან შეჩერდა და მათ თვალიერებას შეუდგა. შემსრულებლების, კომპოზიტორებისა და კომპოზიციების დასახელებებმა მასში გამოძახილი ვერ ჰპოვეს. ქუჩა გადაჭრა და მთავარი ქუჩისკენ უნდა დაშვებულიყო, რომ შემოტრიალდა, რათა თვალი კიდევ ერთხელ შეევლო მუსიკის ტაძრის გაყვითლებული კედლებისთვის. ქუჩა თითქმის ცარიელი იყო, მხოლოდ კონსერვატორიის პირდაპირ ახლად გახსნილ „ათას წვრილმანთან" ათასი წვრილმანით გულგაწვრილებული გამყიდველი ეწეოდა სიგარეტს.

გადახრილი მზის უძლურ სინათლეში გახვეულ კონსერვატორიას უყურებდა და ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს რაღაცას თუ ვიღაცას ემშვიდობებოდა და როდესაც კედელში დატანებული ბეთჰოვენის პირქუში ბიუსტი მოხვდა თვალში, კინაღამ გატეხა უცებ აფეთქებულმა სევდამ. თითქოს მათხოვარი, რომელიც ათასჯერ ენახა ქუჩაში, მისი დაკარგული ძმა აღმოჩნდა.

გადაწყვიტა რამე დაელია.

ერთ-ერთ პარალელურ ქუჩაზე, პირველივე ბარში, სადაც ჩათვალა, რომ ნაკლები შანსი იყო ვინმე ნაცნობს გადაჰყროდა, იაფფასიანი ლუდი შეუკვეთა. რამე უფრო სპირტიანზეც არ იტყოდა უარს, მაგრამ გაახსენდა, რომ დღეიდან შემოსავლის წყარო გადაკეტილი ჰქონდა და ქამარი უნდა შემოეჭირა, რაც უფრო და უფრო რთული ხდებოდა ყოველი მომდევნო ბოთლის შემდეგ.

ბარიდან გამოსულს მზე კორპუსებს უკან ჩამალული დახვდა. ღრუბლებს, რომლებიც ქალაქის თავზე ერთ მკვრივ, უსასრულო ლეიბად გადაჭიმულიყვნენ, ჭუჭყიანი ვარდისფერი დაჰკრავდა და სანამ საბოლოოდ გადაწყვეტდა სახლში წასვლას, სანამ ცენტრალურ ქუჩაზე გამოვიდოდა, უკანასკნელი სინათლეც დაიწრიტა, ციდან ვარდისფერი გაქრა და ქუჩის ლამპიონები აინთო.

აუჩქარებლად გაემართა სახლისკენ. ისე ძალიან აღარ აღარდებდა თავს დამტყდარი დაავადება. აღარც იყო დარწმუნებული, რომ დილას გადახდენილი ნამდვილად მოხდა. ყოველ შემთხვევაში, ქუჩას ამისი არაფერი ეტყობოდა. ხალხის დინება, რომელსაც შუადღეზე საქმიანი და თანაბარი ხასიათი ჰქონდა, ახლა ნამდვილ სტიქიად გადაქცეულიყო და ტროტუარებიდან სავალ ნაწილზე გადასკდომას ლამობდა, ჩახჩახა მაღაზიებისა და სწრაფი კვების ობიექტებთან მორევებს ქმნიდა, თურქულ რესტორნებსა და მინისქვეშა ბარებს ტბორავდა.

ქუჩაზე ერთ-ერთ ხალხმრავალ ადგილს მიადგა, სადაც როკ-ჯგუფი knoking on heaven's doors უკრავდა. მათ ირგვლივ მჭიდროდ შემოკრებილ, ჭრელ, ტელეფონმომარჯვებულ პუბლიკას გაჭირვებით აუარა გვერდი, ხოლო გოგონას, რომელმაც ღიმილით გაუწოდა ხურდის შესაგროვებელი ქუდი, ვიოლინოს ფუტლიარი დაანახვა, თუმცა შემდეგ ეს ჟესტი უაზროდ ეჩვენა.

ერთ-ერთ მაღაზიასთან შეჩერდა, რომლის უზარმაზარი ვიტრინებიდან ცივად მბრწყინავი შუქი ეცემოდა ტროტუარს. აქაც, როგორც წესი, ყოველთვის უკრავდა ვიღაც, მაგრამ ახლა, ბედად ადგილი თავისუფალი იყო. ამ ადგილას ტროტუარი ფართოვდებოდა და შავ რკინის მოაჯირთან, რომელიც სავალ ნაწილს ესაზღვრებოდა, შედარებით თავისუფლება იყო. ხელს არავის შეუშლიდა გავლაში. ალბათ არც წელში მოხრილ, იასამნისპალტოიან ბებოს, რომელიც იებს ყიდდა ზედ მაღაზიის შესასვლელთან, ექნებოდა რამე საწინააღმდეგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლში წასვლა უცებ გადაიფიქრა. მოაჯირთან მივიდა, სადაც ვიტრინის შუქი ვერ მისწვდებოდა. ვიოლინო მოიმარჯვა და გახსნილი ფუტლიარი ფეხებთან დაიდო. წამით შეყოყმანდა, მაგრამ მერე გაიფიქრა, რომ დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა თუ რას დაუკრავდა. დაკვრა დაიწყო.

ცუდად უკრავდა, გამუდმებით ეშლებოდა, რადგან გაყინული და ალკოჰოლის ზემოქმედებისგან გატლანქებული თითები არ ემორჩილებოდნენ. თან ყურადღება ახლა სულ სხვა რამისკენ ჰქონდა მიქცეული. ცდილობდა გამვლელთა სახეები წაეკითხა, მაგრამ გავიდა რამდენიმე წუთი და არც თანამგრძნობი უნახავს ვინე, არც დამცინავი მზერა დაუჭერია უხეში შეცდომებისას და არც გაკვირვება, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინოდა. ამახობაში გათამამდა და დაკვირს ეშხში შევიდა. მსუბუქმა მღელვარებამაც კი გაუარა.

აი, ორმოცდაათს გადაცილებული მამაკაცი მოახლოვდა, ნელა მოაბიჯებდა და ლამპიონების შუქში მელოტი თავი უბრწყინავდა. ყვავილების გამყიდველ ქალს რომ გაუთანაბრდა, გრძელი, ხაკისფერი ქურთუკის ჯიბეებში დაიწყო ქექვა. იების კონა იყიდა და შემდეგ მევიოლინეც შეამჩნია. ცარიელ ფუტლიარს ღიმილით შეავლო მზერა, შიგ ხურდა ჩააგდო, ხელები ზურგზე დაიწყო და გზა გააგრძელა. ფუტლიარს სინათლე არ ეცემოდა მაგრამ მასში ჩაგდებული დუნე ვერცხლისფერი მონეტა იმედისმომცემად აელვარდა მევიოლინესთვის.

შორიახლოს ვიღაც ტიპი გაჩერდა. ამინდისთვის ზედმეტად თხელ პალტოში ხელებჩაწყობილი, ყურადღებით დააკვირდა მევიოლინეს, მხრებამდე დაშვებული, გაზეთილი თმა თვალებიდან გადაიწია და ქვედა ტუჩის ქვემოთ ამოსული მეჩხერი წვერი მოისინჯა. შემდეგ მევიოლინესთან უფრო ახლოს მოიწია და თავის ქნევას მოყვა.

მალაზიიდან ბღლარძუნით გამოვიდა სამი ბიჭი და ამ სანახაობამ მაშინვე მიიპყრო მათი ყურადღება, მოვიდნენ და დადგნენ. კევებს ალაჭუნებდნენ, ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და მერე თითქოს სიცილისგან ძალაგამოცლილები, თავის შესამაგრებლად ეჭიდებოდნენ გვერდზე მდგომს. ხაკისფერქურთუკიანი, მელოტი კაცი ისევ გამოჩნდა იქიდან, სადაც ცოტა ხნის წინ თვალს მიეფარა, ისევ ისე აუჩქარებლად მოახლოვდა და ჯგუფს შეუერთდა. საკუთარ შენაწირს კიდევ ერთი ოცთეთრიანი დაუმატა და ყურადღებით მოავლო თვალი მუსიკოსსა და ყველა დამსწრეს, შემდეგ თითქოს წასვლა დააპირა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია და ცოტა ხნით დარჩენა გადაწყვიტა. გრძელთმიან ტიპს ამოუდგა გვერდში და ხელი მხარზე შეახო. იმან ამოხედა, ისე, რომ თავის ქნევა არ შეუწყვეტია. მელოტი ფილანტროპის თვალებში დაბნეულობა გაკრთა, მაგრამ შეკითხვის დასმა ველარ გაბედა, მხოლოდ გამამხნევებლად გაიღიმა.

მევიოლინეს კი ყველაფერი დავიწყებოდა, საბოლოოდ წაელო მუსიკას. თვალდახუჭულს მხოლოდ საკუთარი მუსიკის ხმა ესმოდა, თორემ აუცილებლად შეამჩნევდა თუ რა უჩვეულო სისწრაფით იცვლებოდა მის ირგვლივ გარემო, სხვა თუ არაფერი, ფუტლიარში ხურდის გახშირებული [illegible] მაინც დააეჭვებდა. სულ უფრო მეტი ხალხი ემატებოდა სანახაობას. ახალმოსულებს უკვე ფეხის წვერებზე უწევდათ შედგომა, რათა უფრო იღბლიანთა ზურგებს ზემოდან შეევლოთ თვალი უცნაური მუსიკოსისთვის. წინა რიგი კი ახალ სახეებს შეევსოთ - მათ შორის ახალგაზრდა, ლამაზი წყვილი გამოირჩეოდა: გოგონა, რომელსაც შავ, შეხსნილ პალტოში წითელი, მუხლებამდე კაბა მოუჩანდა, დროდადრო ღიმილით ახედავდა ხოლმე თავის ათლეტურ შეყვარებულს და ისიც მაშინვე მოაშორებდა სულ ცოტათი დაბნეულ მზერას მევიოლინეს და ღიმილს უბრუნებდა.

მათი ყურადღების ობიექტი კი სასიამოვნო დაღლილობას მოეცვა. გახურებულიყო, იღლიები და ზურგი ოფლით გაჟღენთოდა, მაგრამ სიცივეს მაინც ვერ გრძნობდა. კიდევ ერთი კომპოზიციის დაკვრა დაასრულა და ახლა ბოშური ჯაზის სწრაფი ტემპებიდან რამე უფრო მელოდიურზე ან თუნდაც სენტიმენტალურზე გადასვლა მოუნდა.

წამის მეასედით გაახილა თვალები და ისევ დახუჭა. ეს მექანიკურად გააკეთა, რათა გარესამყაროსთან მომენტალური დაკავშირებით აღენიშნა ახალი მელოდიის დასაწყისი. გონებაში ჯერ კიდევ უშინაარსო გამოსახულებად აღებეჭდა ირგვლივ შემოკრებილი ხალხის ჩრდილში მოქცეული სახეები, მათ კინკრიხოებზე შარავანდედად დადგმული ვიტრინის შუქი, რომლის მნიშვნელობაც მხოლოდ მოგვიანებით, რამდენიმე სევდიანი ტაქტის შემდეგ გაიაზრა. სურათის პარადოქსულობამ ერთბაშად გამოაფხიზლა; განგაშით გაუმძაფრდა ყველა შეგრძნება და თვალები ინსტინქტურად კიდევ უფრო მაგრად დახუჭა; შეეცადა დანახულის უჩვეულობა მუსიკითა და ალკოჰოლით აღგზნებული გონებისთვის დაებრალებინა, მაგრამ ერთი წამით თვალმოკრულს დანარჩენი შეგრძნებები უდასტურებდნენ. ახლაღა გაარჩია ხმები, რომლებიც აქამდე ყურადღების მიღმა რჩებოდა. სხეულით იგრძნო შემოჯარული ხალხის უსიამოვნო სიახლოვე და ჩოჩქოლი - მასზე მიბჯენილი მზერები. ცივი ოფლი მოასკდა და თავს ძალა დაატანა, რომ დაკვრა არ შეეწყვიტა მაგრამ მეტის მოთმენა აღარ შეეძლო - თვალები გაახილა ისეთი რამის დანახვის იმედით, რაც მის მღელვარებას დააცხრობდა, მაგრამ იმას, რაც დაინახა, ვერასოდეს წარმოიდგენდა.

წინა რიგს ცოტა უკან დაეხია, რათა მეტი სივრცე მიეცა სახელდახელო სცენისთვის, სადაც ახლა რამდენიმე ადამიანი ცეკვავდა. სულ პირველად მოსულ თხელპალტოიან ტიპს სცენის მარცხენა ნაწილი დაეკავებინა (ხალხში, მის უკან, ხაკისფერქურთუკიანი კაცი მოჩანდა, რომლისთვისაც კმაყოფილებას, სახიდან სრულიად გადაეშალა დაბნეული გამომეტყველება), ხელები ჯიბეებიდან ამოეღო და თავს ზემოთ აეტანა, წარმოსახვითი მუსიკის რიტმში იქნევდა და ტანს აყოლებდა, დროდადრო კი ცალ ფეხზე დაბჯენილი, ფარგალივით ხაზავდა წრეს საკუთარი თავის ირგვლივ.

მოხითხითე ბიჭებიდან ერთ-ერთიც შემოსულიყო სცენაზე. ცალი ხელით ჯიბეში, მეორე ხელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცერა და შუა თითს რიტმულად ატკაცუნებდა და ფეხსაც აყოლებდა, ოღონდ ცოტა არ იყოს მოუქნელად, მისი მეგობრები კი, რომელთაც ეტყობა გამბედაობა არ ეყოთ თავის გამოსაჩენად, პირველ რიგში იდგნენ და სიცილისგან მუცლები ხელით ეჭირათ, მაგრამ სცენის ძირითადი ნაწილი ლამაზ წყვილს დაეკავებინა. მევიოლინეს სხვა გარემოებაში ალბათ აღაფრთოვანებდა კიდეც აფრიალებული წითელი კაბის ქვეშ გაელვებული, თხელი კოლგოტით დაფარული ბარძაყები, როდესაც გოგონა მოხდენილად დატრიალდა - მისი ხელებგაშლილი შეყვარებული კი ფეხების მარჯვე გასმებით, უკანსვლით დაშორდა გოგონას და სცენის მარჯვენა კიდეს რომ მიუახლოვდა, რამდენიმე წამი თითქოს ჰაერში გაჩერდა, როგორც კოლიბრი, რითაც დამსწრეთა სამართლიანი ალტაცება დაიმსახურა და შემდეგ ისევ ნელა, ყელმოღერებული დაიძრა პარტნიორისკენ.

მევიოლინემ ერთბაშად შეწყვიტა დაკვრა და მოცეკვავეებს მიაშტერდა, მაგრამ მათ ის დავიწყებოდათ და ცეკვას აგრძელებდნენ, სანამ თხელპალტოიანმა კიდევ ერთი წრე არ მოხაზა საკუთარი თავის ირგვლივ და მევიოლინის გაოგნებული სახე და ჩამოყრილი ხელები არ მოხვდა თვალში. იგი გაჩერდა და წამიერი დაბნეულობის შემდეგ ტაში დასცხო, თან თეატრალურად გაიშვირა ხელი მევიოლინისკენ და თვალიც კი ჩაუკრა, როგორც თანამოაზრეს. ცეკვა მაშინვე შეწყდა და მცირე პაუზის შემდეგ ვიღაც ტაშისცემას აჰყვა რაც მალევე გადაიქცა დამსწრეთა ერთსულოვან აპლოდისმენტად.

მევიოლინეს კი ერთი ადამიანიდან მეორეზე გადაჰქონდა მზერა. ზოგი ულიმოდა, ზოგნი კი ბოლომდე ვერ გარკვეულიყვნენ სიტუაციაში და მზერას არიდებდნენ, რადგან მევიოლინეს სულაც არ ჰქონდა ისეთი ადამიანის გამომეტყველება, რომელიც დამსახურებული ტაშით ტკბება.

სახე გაკვირვებისა და უხერხულობისგან მოქცეოდა. ტაშისგან თავის დასახსნელად, უნდოდა ხალხისთვის როგორმე მიენიშნებინა, რომ სწორად ვერ გაუგეს, მაგრამ არაფერი აფიქრდებოდა და ხანგრძლივი დაკვრის, ხმაურისა და თავის ტკივილისაგან ლონემიხდილს უმწეობის განცდასთან ერთად გარემოების წინააღმდეგ ბუნდოვნად მიმართული ბრაზიც ემატებოდა. ყოვლისშემძლე ტაშს დამორჩილებულს, სახე როგორც იქნა ნაძალადევი ღიმილით მოელრიცა და ეს მცირე კომპრომისიც საკმარისი აღმოჩნდა, რომ კიდევ უფრო ძლიერი ტაში გამოეწვია, რომელიც საბოლოოდ მიიღო, როგორც ქრთამი, როდესაც ვიოლინო ასწია ჰაერში ყველას დასანახად, წლების მანძილზე ჩვევად ქცეული მადლიერების ჟესტით, თითქოს ეს ტაში მე კი არა, მუსიკას უფრო ეკუთვნისო და ბოლო წვეთიც ეს იყო, რამაც წყობიდან გამოიყვანა. იმ ღალატის ატანა, რომელიც ამ პირმოთნე ჟესტმა დააგვირგვინა, აღარ შეეძლო და დაუოკებელმა სურვილმა, ამ ყველაფრისგან განთავისუფლებულიყო, გონება გაუნათა.

ხალხს ზურგი შეაქცია, შეტყუპებული ვიოლი-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნო და ხემი ორივე ხელით თავს ზემოთ აღმართა და მთელი ძალით დასცხო რკინის მოაჯირს.

ვიოლინოს კორპუსი ჟღრიალით დაიმსხვრა და ნაფოტები ასფალტზე მიმოიფანტა. მევიოლინეს ხელში ტარი შერჩა, საიდანაც უსიცოცხლოდ გადმოეშვა სიმები. გაოგნებულ პუბლიკას კი საზარელი ეჭვის ჩრდილმა გადაურბინა, როგორც ხალხს, რომელიც აღარ არის დარწმუნებული, რომ ილუზიონისტის ყუთში ჩაწვენილი მსახიობის კივილი, როდესაც მას შუაზე ხერხავენ - შოუს ნაწილია.

პირველად ვინ დასძლია ეს ეჭვი, მევიოლინეს არ დაუნახავს. იგი ვიოლინოს მიმოფანტულ ნამსხვრევებს დასჩერებოდა და ახალი ძალით აფეთქებული ტაშის ხმა ზურგში დაეტაკა. ყურებისთვის რომ დაეჯერებინა, შეიძლება არც შებრუნებულიყო ხალხისკენ და მაშინვე გასცლოდა იქაურობას, მაგრამ შებრუნდა და მათ სახეებზე ამჯერად გულწრფელი აღფრთოვანება ამოიკითხა. შემდეგ რაც ქნა არა იმდენად ბრაზმა ან გაკვირვებამ ჩაადენინა, რამდენადაც შიშმა, რომ ველარასოდეს დააღწევდა თავს ამ გაუგებრობას, რომელიც მისი ყოველი ჟესტით კიდევ უფრო ღრმავდებოდა. მახეში გაბმულმა, თითქოს თავდამსხმელის მოსაგერიებლად, ის ხელი აიქნია, რომელშიც ვიოლინოს ტარი ჰქონდა ჩაბღუჯული და უფუნქციოდ დარჩენილმა ერთ-ერთმა სიმმა, ლამაზი, წითელკაბიანი გოგონას ლოყაზე გაიტკაცუნა.

ალბათ ყველაფერი გაცილებით მძიმე შედეგით დასრულდებოდა, ამ ყველასთვის მოულოდნელ თავდასხმას სულ მცირე კვალიც რომ დაემჩნია გოგონას სახეზე, რომელმაც წამოიკივლა და ხელები სახეზე აიფარა, გაკვირვებისგან გაფართოებული თვალებით კი, რომელშიც იმ ადამიანის წყენა ჩაუდგა, ვისაც ტკივილი დაუმსახურებლად მიაყენეს, მევიოლინეს მიაჩერდა.

ხალხი ერთხმად შეძრწუნდა და გაჩუმდა.

უკანა რიგებში ფეხის წვერებზე შედგნენ.

- ეე, ეეეე - დაიძახეს ვილაცეებმა.

- შენ, ბიჭო - თქვა სამი ბიჭიდან ერთ-ერთმა და უკვე მართლა შეშინებული მევიოლინისკენ წაიწია.

მაგრამ ყველას წითელკაბიანი გოგონას შეყვარებულმა დაასწრო. ერთი ნახტომით გაჩნდა მევიოლინესთან და ხელები საყელოში ჩაავლო. მათ ირგვლივ ხალხი შეიკუმშა, რამდენიმე წყვილი ხელი ერთდროულად ჩაეჭიდა ორივეს.

- ჰა, ჰააა - დაიძახეს ხალხში ფეხის წვერებზე აწეულებმა.

მაგრამ შეყვარებულს მევიოლინესთვის არ დაურტყამს, ეტყობა ბოლო წამს გადააფიქრებინა მისმა სიტუაციისთვის შეუფერებლად დაბნეულმა გამომეტყველებამ, შეიძლება ბრაზიც კი გაუნელა სიბრალულმა, რომელიც ამ ცირკის მასხარისადმი იგრძნო, მაგრამ იმდენადაც არა, რომ ყოველგვარი სასჯელის გარეშე დაეტოვებინა მისი საქციელი - ღონივრად მოიქნია და შემდეგ ხელი გაუშვა, რითაც არა მარტო მევიოლინეს, არამედ მასზე ჩაჭიდებულ გამშველებლებსაც დააკარგვინა წონასწორობა.

მევიოლინე წაბორძიკდა, შეეცადა ვინმეს მოსჭიდებოდა, მაგრამ თავი ველარ შეიმაგრა და ასფალტზე გულაღმა გაგორდა რამდენიმე ადამიანთან ერთად; ხალხი აირია, ატყდა ძიძგილაობა. მევიოლინე შეეცადა წამომდგარიყო, მაგრამ ვილაცამ ხელი ჰკრა და ისევ ძირს აღმოჩნდა. ამჯერად იდაყვებს დაეყრდნო, მაგრამ წამოდგომა აღარ უცდია - ხურდა ფულით სავსე ფუტლიარისკენ გახოხდა. ვიოლინოს ტარი ჯერ კიდევ ხელში ჰქონდა ჩაბღუჯული და სიმებს, რომელიც უკან მოსთრევდა, ვილაცამ რამდენჯერმე ფეხი დააბიჯა. ხალხი არ დამშვიდებულიყო, ერთმანეთს აშველებდნენ, თუმცა როგორც ჩანს აღარავინ აპირებდა მხოხავ მევიოლინეზე თავდასხმას. თანდათან ბლარძუნი შენყდა და ძირს გართხმული მევიოლინე კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. პალტო ნაწვიმარი ასფალტის წვირში ამოგანგვლოდა და ვილაცეებმა ზიზღით აარიდეს თვალი, რამდენიმე კი შეეცადა მიახლოვებოდა და წამოდგომაში დახმარებოდა, მაგრამ მევიოლინე აღარავის აქცევდა ყურადღებას, არავინ მიიკარა. როგორც იქნა გააღწია ფეხების ტყეში, ფუტლიარამდე მიხოხდა და მუხლებზე წამოჯდა.

ყველა მიხვდა, რომ სანახაობა დასრულებულიყო. პირველი რიგების ხალხი უკვე აღარსად ჩანდა და დანარჩენებიც ნელ-ნელა შემოეცალნენ შემთხვევის ადგილს. მაინცდამაინც აღარავინ შეყოვნებულა, მხოლოდ რამდენიმემ მოიხედა უკან, სანამ საბოლოოდ მიეფარებოდა თვალს.

მევიოლინე ცოტა ხანი ფუტლიართან ჩამუხლული იჯდა, ფიქრში წასულს თვალები გაშტერებოდა, შემდეგ ნელ-ნელა გამოძრავდა. ჯერ კიდევ ბურუსში იყო და თავბრუ ესხმოდა. ფუტლიარი პირდაპირ ასფალტზე გადმოაპირქვავა და ვიოლინოს ტარი და სიმები შიგ ჩადო. ირგვლივ მიმოიხედა - ვიოლინოს ნამსხვრევებს ეძებდა, რომელთაგან ზოგი საკმაოდ მოშორებითაც წაელო ცოტა ხნის წინ მომხდარ არეულობას, რამდენიმე წითელი ნატეხი სავალ ნაწილზეც შეამჩნია, მანქანების ბორბლებქვეშ, და მათზე ხელი ჩაიქნია, მაგრამ დანარჩენების შეგროვებას შეუდგა, გულდასმით ეძებდა ყველა ნამცეცს და შეგროვებულ ნაწილებს ფრთხილად ასვენებდა ფუტლიარში. ქუჩა უკვე თავის ჩვეულებრივ რიტმს დაბრუნებოდა, გამვლელები გაკვირვებულ მზერას შეავლებდნენ ხოლმე უცნაურ, ტალახში ამოგანგლულ კაცს, რომელიც წელში მოხრილი ეძებდა რაღაცას, მაგრამ არავინ გაჩერებულა.

მევიოლინემ ყველა ნაწილი, რისი მოძებნაც შეძლო, შეაგროვა და ფუტლიარი დახურა. შემდეგ პალტო გაიხადა, რათა შეძლებისდაგვარად ტალახისგან გაეწმინდა. ამასაც რომ მორჩა, ქუჩის ორივე მხარეს გააყოლა თვალი, ვერ გადაეწყვიტა საით წასულიყო.

ბოლოს, მიმართულება შემთხვევით აირჩია. სახლში დაბრუნება ჯერ ისევ არ უნდოდა და გასეირნება კი არ ანყენდა. მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ თავბრუსხვევა იგრძნო, უცებ ქუჩა დასაღუპი გემივით დაირწა და ფუტლიარი, რომელიც ახლა კუბოსავით ამძიმებდა, გულში მაგრად ჩაიხუტა, თითქოს ასე უფრო გაუადვილდებოდა წონასწორობის შენარჩუნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სანდრო წერეთელი

# ერთი ბოთლი ლუდი



ყოველ პარასკევს მივდივარ ბარში და უგონოდ ვთვრები. ბარი-მეთქი, რომ ვამბობ, რომელიმე კონკრეტულ ბარს არ ვგულისხმობ. შაბათობით „ბარი" ჩემთვის კოლექტიური სახელია, რომელიც ყველა ადგილს აერთიანებს, სადაც ლუდი იყიდება, სიგარეტის კვამლი თვალებს წვავს და საკუთარი ხმა არ გესმის. ბარში ყველას ოდნავ არანორმალური თვალები აქვს - ჩანითლებული და თავიანთი ბუნებრივი ადგილებიდან სულ ცოტათი დაძრული.

მე არ მინდა ბარში სიარული. ყოველ შაბათს, როდესაც საწოლზე წამოვჯდები და აღმოვაჩენ, რომ ცალი წინდა იქვე გდია, მაგრამ მისი მეორე ნახევარი ოთახში მიყრილ-მოყრილ ტანსაცმელში უნდა ვეძებო, გადავწყვეტ ხოლმე აღარასოდეს წავიდე იმ ბარში, ან ამ ბარში, საერთოდ არცერთ ბარში აღარ წავიდე და რაც მთავარია, აღარ დავლიო. შაბათს ეს გადაწყვეტილება ურყევი რჩება. კვირასაც ურყევია და მისი ეს სიმტკიცე იმდენად თვალსაჩინო და სანდოა, რომ ორშაბათს იგი მავიწყდება, სამშაბათს ისევ მახსენდება, ოთხშაბათს მისი სიმტკიცე სასაცილო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჩვენება, ხუთშაბათს მას თვალს ვარიდებ და პარასკევს კი ისეა უყურადღებობით დასუსტებული და მორყეული, რომ ერთი ბიძგი ყოფნის ჩამოსაშლელად.

ამ პრობლემამ იმდენად შემაწუხა, რომ ფსიქოთერაპევტთანაც კი მივედი. ფსიქოთერაპევტმა მკითხა, თუ რატომ ვსვამ პარასკევობით. იმიტომ, რომ პარასკევს ყველა სვამს - ვუპასუხე მე. მაგრამ ის ამ პასუხით არ დაკმაყოფილდა და გაუთავებლად იმეორებდა, რატომ, რატომ, რატომ მაინცდამაინც პარასკევს. მან მკითხა, ვსვამ თუ არა ორშაბათს, ან სამშაბათს. მე ვუპასუხე, რომ არა, რადგან არავინ სვამს ორშაბათს ან სამშაბათს. ფსიქოთერაპევტის აზრით, პარასკევს დალევაზე ჩემი ავადმყოფური ფიქსაცია წარსულის ტრავმაში უნდა ვეძებო და ეს საკითხი გამოსაძიებელია. შემდეგ მომთხოვა, რამე გამეხსენებინა, რამაც მძიმედ იმოქმედა ჩემზე და მე ვუთხარი, რომ ბავშვობაში მეზობლის ველოსიპედით ფუნაში ჩავვარდი, მაგრამ მივხვდი, რომ სისულელე ვთქვი, უცებ გავბრაზდი და განვუცხადე, რომ მე თვითონაც კარგად ვიცი, რა არის ჩემი პრობლემის მიზეზი - მამაჩემი ლოთი იყო და ფსიქოთერაპევტთან მისვლა მხოლოდ იმიტომ გადავწყვიტე, რომ მან მითხრას - ეს სენი გენეტიკურია, არაფერი მეშველება და პარასკევობით დალევა სინდისის ქენჯნის გარეშე შემიძლია გავაგრძელო. ექიმმა უნდოდ გადააქნია თავი, მე კი პარასკევს ისევ დაელიე.

მაგრამ მეორე დღეს ისე ცუდად ვიყავი, რომ გადავწყვიტე მაინც მეცადა რამე გამეხსენებინა, თუმცა უშედეგოდ: მხოლოდ ბავშვობის კურიოზები მახსენდება, ან დედაჩემის და მამაჩემის გაუთავებელი ჩხუბები ბოლო წლებში, სანამ მამაჩემს მანქანა გაიტანდა და დედაჩემი იტალიაში წავიდოდა. ამის შემდეგ კი ყველაფერი ერთგვაროვანია და უფერული. ექიმთან აღარ დავბრუნებულვარ და არც ის მჯერა, რომ ჩემს პრობლემას ერთი კონკრეტული მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ თერაპევტის სიტყვებმა, როგორც ჩანს, შთაბეჭდილება მოახდინა, იმდენად, რომ თავიდან ერთგვარი აზარტითაც ვცდილობდი ამ საიდუმლოს ამოხსნას, შემდეგ კი ეს საკუთარი თავის გამოძიება დროის გასაყვან გასართობად მექცა. ხანდახან, როდესაც ამის დრო მაქვს და ხელს არაფერი მიშლის წარსულს ჩავუღრმავდე, მაგალითად დილით, როდესაც ავტობუსში ვზივარ და სამსახურისკენ მტკივნეულად ნელა მივიწევ, მახსენდება, რომ პარასკევს არ უნდა დავლიო და ვიწყებ, თანაც სულ თავიდან, რამდენადაც წარსულის ნანგრევებში საორიენტაციოდ არც საწყისი წერტილი მაქვს და არც მიმართულება:

მე დავიბადე 1991 წლის ერთ მთვარიან ღამეს, ან ქარიან, ან თოვლიან, ან სამივე ერთად. სინამდვილეში მაისში დავიბადე და ზუსტად არ ვიცი როგორი ღამე იყო, მაგრამ ამას პრინციპში დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. ამიტომ დაბადების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა გავიხსენო, რაც გადამხდენია. მაგრამ ცოტა ხნით ვიჭედები, რადგან არაფერი მახსენდება. ამას მოჰყვება ბავშვობის პატარ-პატარა მოგონებები, ზაფხულის ღამეს სარეცხის თოკზე შემომჯდარი ბუ, პირველი ქალი, რომელთანაც მამაჩემის ძმაკაცებმა წამიყვანეს... მნიშვნელოვანი არაფერი. მაგრამ მოგვიანებით ასეთმა სეანსებმა მიჩქმალული კადრის მოულოდნელი გაელვებაც იცის ხოლმე, მაგალითად: ახალი საფლავის ნოტიო გორა და მისი მეზობელი საფლავის ქვის ღობეზე შემოდებული ჯონჯოლიანი თეფში, ჭიქები, ორშაბათის ქალაქიდან ამოღწეული დუდუნი, როდესაც რომელიმე ნათესავი სადღეგრძელოს თქმას დაასრულებს. ფერების ჩამუქების შემდეგ, ხანდახან დედაჩემის და მამაჩემის სახეები ამოტივტივდებიან, მაგრამ არაფერს მეუბნებიან და მალევე ქრებიან, თითქოს ოფლის მოტკბო სუნით გაჟღენთილი ავტობუსის ჰაერი მათაც სულს უხუთავს.

ასე გრძელდება და რაც არ უნდა ნელა მიიწევდეს წინ ავტობუსი, სანამ წარსულის რომელიმე ნივთი ან ამბავი საბოლოოდ მოიკრებდეს ძალას, უკვე ჩემი სამსახურის წინ ვარ, სადაც ჩემი პირადი პრობლემა და მისი გადაჭრის საჭიროება უძლურია ყოველდღიურობას მომწყვიტოს: საქმიანი მეილები, საქმიანი შეხვედრები, საქმიანი თანამშრომლები (და უსაქმოებიც) მას უმალ მარხავენ თითქმის ისევე ღრმად და საიმედოდ, როგორც ის ერთი ამბავია დამარხული.

საღამოს კი გამოძიების თავი არავის აქვს, ან რომელი გამომძიებელი მე ვარ? მირჩევნია კვერცხი შევიწვა, სერიალს ვუყურო და დავიძინო. მაგრამ დღეები ზვავივით არის დაძრული, შიგ მე ვყავავარ მოყოლებული და სულ უფრო უახლოვდება პარასკევს.

ადრე თუ გვიან ეს დღეც დგება. მთელი დღე მოუსვენრად ვარ, მაგრამ სანამ სამუშაო დღის ბოლო მოაღწევდეს, საკუთარ თავს პირობას ვაძლევ, რომ რაც არ უნდა მოხდეს, არ დავლევ. საღამოს სამსახურიდან გამოვდივარ და თავისუფლების ჰაერს ვისუნთქავ. ახლავე სახლში წასვლა ძალიან არაკომფორტული იქნება, ამიტომ სანამ საცობი შეთხელდება, ცოტას გავისეირნებ - გვიანი სექტემბრის მშვენიერი საღამოა.

ფეხებს უფლებას ვაძლევ მიმართულება თვითონ აირჩიონ.

უცნაურია, რა სიამოვნება შეიძლება მოგანიჭოს ძალაუფლების შეგრძნებამ საკუთარ თავზე. ამ ძალაუფლების წყალობით ცოტა ხანში სახლში წავალ, ჩაის დავისხამ და წამოვწვები, მერე შხაპს მივიღებ. მეტი ეფექტისთვის ხვალინდელ დღესაც წარმოვიდგენ - როდესაც პახმელიაზე არ ვიქნები და ტანსაცმელს სიგარეტის სუნი არ ექნება. თავის ტკივილზე და ნაბახუსევის სხვა ბენეფიტებზე მეტად სიგარეტის სუნით აყროლე-

ბული ტანსაცმელი მეზიზღება. ამიტომ წარმოვიდგენ რომ ტანსაცმელს მხოლოდ შეჩვეული სხეულის სუნი ასდის და არც ღვინის ან ლუდის ლაქებით არის დაწინწკლული. წინასწარ ვტკბები ხვალინდელი გამარჯვებით: ავდგები 9 საათზე და ყავას გავიმზადებ, თუ კარგი ამინდი იქნება - გავისეირნებ

*ეს ბარი არ ვიცი.*

არა, ყველა ვარიანტში გავისეირნებ, როგორი ამინდიც არ უნდა იყოს. შემდეგ რისი გაკეთება შეიძლება? უამრავი რამის.

*როგორ შეიძლება არ ვიცოდე? ნუთუ არ ვარ ნამყოფი?*

საერთოდაც, შეიძლება მამიდაჩემს ვესტუმრო, რამდენი წელია არ მინახავს, გაეხარდება.

*არა, მეხსიერება მართლა არ ვარ.*

ხვალინდელი სასეირნო ამინდი უცებ კარგავს მიმზიდველობას და ვგრძნობ, როგორ მებორკება ფეხები სურვილის ბორკილებით. თავს ძალას ვატან, რომ ბარის კართან არ გავჩერდე, მაგრამ კართან ჩავლისას შიგნით შეხედვის ცდუნებას მაინც ვერ ვუძლებ და ასე, ნაბიჯის შეუნელებლად შევაპარებ თვალს. ცუდად განათებულ ინტერიერში თაროებზე ჩალაგებული ბოთლები ბრწყინავენ, დახლზე, საფერფლეში სიგარეტი იწვის და მისი ძაფივით წვრილი კვამლი ჭერისკენ მიიწევს.

რამდენიმე ნაბიჯს კიდევ გავდივარ, მერე ვჩერდები.

დღეს ძალიან დავიღალე, რამდენი ვიმუშავე! როგორ უნდა ვუთხრა საკუთარ თავს უარი ერთ ბოთლ ლუდზე? ერთმა ბოთლმა რა უნდა მიქნას, ერთი ბოთლი, ანუ ერთადერთი კათხა - საბავშვო ბაღი. აბა რა. არ არის აუცილებელი, რომ ერთბაშად შევწყვიტო დალევა, სადღაც წამიკითხავს, რომ მავნე ჩვევის თავიდან მოშორების ყველაზე ეფექტური საშუალება, ნელ-ნელა თავის დანებებაა, როგორც მაგალითად დოზების შემცირება.

დიპლომატიურ გადაწყვეტილებას ვიღებ თუ არა, მაშინვე შვებას ვგრძნობ.

ჩვეულებისამებრ, ბარის დახლთან ვჯდები და ლუდს ვუკვეთავ, სიგარეტს ვუკიდებ, ახლა ნამდვილად კარგი განწყობა მეუფლება. ბარმენი გოგონა ღიმილით მესალმება და ხურდა ფულით სავსე გამჭვირვალე ყუთს ჩემკენ აჩოჩებს. არა, გამახსენდა, აქაც ნამყოფი ვარ. არ ვიცი მაშინვე რატომ ვერ გავიხსენე, მაგრამ ნამდვილად ნამყოფი ვარ. ალბათ ერთი ან ორი წლის წინ შემოვიარე. საინტერესოა, მეტჯერ რატომ არ მოვედი, მაგრამ ახლა ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მალე ბარები წარსულს ჩაბარდება.

პარასკევი საღამოსთვის აქ უჩვეულოდ ცოტა ხალხია.

ჩემი ლუდი მოდის და ვყოყმანობ, ჭიქაც მოვითხოვო თუ არა, რადგან ცოტა ხნის წინ შევიტყვე, რომ თუ ლუდს ბოთლიდან სვამ, ის მუცელში ქაფდება და ამიტომ უფრო [illegible], მაგრამ ახლა მაინც ბოთლიდან დალევა მირჩევნია. ეს ბარი ალბათ იმიტომაც დამავიწყდა რომ ჩემი გემოვნებისათვის ზედმეტად ცარიელია. მაგრამ ეს სიხალვათე ამ შემთხვევაში კარგია - ცოტა ხალხში მეტი კონტროლია, რაც დათრობას ართულებს. არა, არც ვაპირებ დათრობას, უბრალოდ კარგია, რომ ცოტა ხალხია.

ნება-ნება ვსვამ. ბოთლის ნახევარი მაქვს დალეული და ჩემი ნასვლის, ანუ ჩემი ტრიუმფის დრო ახლოვდება, როდესაც ბარში კაცი შემოდის. სახე წითელი და წლებისგან ნაზევი აქვს. კართან ჩერდება, ეყრდნობა, ისვენებს. შემდეგ საკუთარ თავს ბიძგს აძლევს და თვალის დახამხამებაში ჩემს სკამთან აღმოჩნდება. მაგრამ მე ჯერ კიდევ მშვიდად ვარ, არაფერს ვეჭვობ, მგონია, რომ შეძლებს გვერდი ამიაროს, შეჯახების საშიშროება არც კი გამიელვებს თავში, ისე ვიღებ ჩემს ბოთლს, რათა მორიგი პატარა ყლუპი მოვსვა, მაგრამ კაცი ბარბაცებს, მეჯახება და თან ისეთი ძალით, ლამის სკამიდან გადმომაგდოს - ბოთლი ხელიდან მივარდება, ყირავდება და ინერციით აკეთებს რამდენიმე ბრუნს საკუთარი ცენტრის ირგვლივ. დახლზე და მის ორივე მხარეს ლუდი იღვრება და ქაფდება.

- პარდონ - ამბობს კაცი და ხელებს მაღლა სწევს, იმის ნიშნად, რომ ჩვენს ხელთაა, მაგრამ უხერხულობა ან სინდისის ქენჯნა არ ემჩნევა. ამ არხეინი, ფორმალური ბოდიშის გამო მაშინვე მამაჩემს მაგონებს და ეს იმდენად არ მსიამოვნებს, რომ ჩემთვის უჩვეულო უხეშობას ვიჩენ, საპასუხოდ არაფერს ვამბობ და წაქცეულ ბოთლს ფეხზე ვაყენებ. მასში თითქმის აღარაფერია. კიდევ ერთი უსიამოვნება. იმ დღეს, როდესაც ჩემი ნათელი მომავლის პირველი აგური უნდა დამედო, ერთი ბოთლიც არ შემარგეს - დამნაშავეს ხელები მონანიესავით აუწევია, მაგრამ მე მისი დაპატიმრება არ შემიძლია.

დედაჩემს ეჯავრება მთვრალი კაცები. „მთვრალს მხოლოდ საქმის გაფუჭება შეუძლია" - შეგონებასავით მიმეორებდა ხოლმე, სანამ ერთად ვცხოვრობდით. წარმოდგენაც არ მინდა რა რეაქცია ექნებოდა ერთ-ერთ ჩავლილ პარასკევ საღამოს რომ დავენახე. დედაჩემი, რა თქმა უნდა, მართალი იყო, ამ ბარში ერთადერთი მთვრალი კაცია და ჩემთვის საქმის გაფუჭება მაინც მოახერხა.

ბარმენი გოგონა, რომელიც აქ რომ არ მუშაობდეს, ვიფიქრებდი, რომ სრულიად იზიარებს დედაჩემის ანტიპათიას მთვრალი კაცების მიმართ, რაც მის გამტკნარებულ გამომეტყველებაში მოჩანს, იმაში თუ როგორ ცდილობს კაცისთვის თვალის არიდებას, ხელსახოცს იმარჯვებს და მეუბნება:

- ახლავე მოგართმევთ მეორეს.

ახლა ხომ ვერ წავალ? ერთ ბოლთს ნამდვილად ვიმსახურებდი და ახლაც ვიმსახურებ. შე-

იძლება იმ ახალი ბოთლის ნახევარი დავლიო და ისე წავიდე, ასე საკუთარ სინდისთანაც მართალი ვიქნები და ჯილდოსაც, რომელიც საკუთარ თავს დავუწესე, არაფერს მოვაკლებ. თავს უხმოდ ვუქნევ.

- მეც ხომ მომართმევთ? - ამბობს მთვრალი კაცი და ზურგიდან შარი-შური მესმის. ჯიბეებში იქექება.

- თქვენ ამ ბატონის უნდა გადაიხადოთ - ამბობს გოგონა ისე, რომ კაცს ისევ არ უყურებს და არც დახლის წმენდას წყვეტს. ის ნამდვილად ეთანხმება დედაჩემს, ოღონდ არ ვიცი აქ რატომ მუშაობს. გაურკვეველი, უსიამოვნო გრძნობა მუცლიდან იწყებს სათავეს და ზემოთ-ზემოთ მოდის, ტალღებად. აქ განათებაც კი ჩემი სახლისას ჰგავს. ჩვენთან ჭალს ყოველთვის აკლდა ნათურა.

- ამ ბატონისასაც გადავიხდი და სხვა ბატონისასაც - ამბობს კაცი. ის ჯერ კიდევ ჩემს უკან დგას და ახლა ზურგზე ხელს მიტყაპუნებს. კიდევ კარგი, ახალი ბოთლი ჯერ არ მოუტანიათ - კიდევ ბოდიში ძვირფასო ადამიანო, პარდონ მუსიე.

მაგარი მთვრალია. ეს კიდევ უფრო მალიზიანებს და თვითონაც მიკვირს, როდესაც საკუთარი იმპულსებისათვის წინააღმდეგობის გაწევა მიწევს. მინდა მივუბრუნდე და ხელი ვკრა. წარმოვიდგენ, როგორი გაკვირვებული ბარბაცით დაიხევს უკან-უკან და შემდეგ ბარის იატაკზე გაიშხლართება - ფეხებით სინათლეში, თავით და მხრებით კი ბარის სიღრმეში, სადაც ძლივს აღწევს დახლს ზემოთ დამაგრებული უცნაური ნათურების შუქი. შემდეგში კარგად დაფიქრდება, სანამ გამოსწორების გზაზე შემდგარ ალკოჰოლიკს ბოთლს გააგდებინებს ხელიდან.

მაგრამ თავს დროულად ვთოკავ. რა მოგივიდა შენც კიდე. ვინ არ ყოფილა მთვრალი, რა, შენ არ ყოფილხარ მთვრალი? არ ჩანს ცუდი ტიპი, უბრალოდ ფეხი შეეშალა და უნებლიეთ დამეჯახა, არ უნდოდა.

სკამზე ნახევრად ვტრიალდები და რაც შეიძლია მშვიდად ვეუბნები:

- არაუშავს. მე თვითონ. არ არის პრობლემა.

ახალი ბოთლიც მოდის და მისი დაცვარული ყელი პირველისაზე უფრო მადისაღმძვრელად გამოიყურება. მთვრალი კაცი ხვნეშით ბობღდება ზუსტად ჩემს გვერდით მდგარ მაღალ სკამზე და მთელ ბარში ავრცელებს ალკოჰოლის ამონასუნთქს. გოგოს მისთვისაც მოაქვს ლუდი და მერე ერთხანს სიჩუმეა. კაცი რამდენიმე ყლუპს სვამს და ჩუმად აბოყინებს, გოგონა კი სკამზე ზის და ტელეფონის ეკრანის შუქი, რომელშიც მოჯადოებულივით იყურება, მის ცხიმიანი კულულებით ნახევრად დაფარულ, დაღლილ სახეს ანათებს.

სიჩუმეს, რომელშიც მხოლოდ ბარის სიღრმეში ერთადერთი დაკავებული მაგიდიდან წამოსული ხმადაბალი საუბრის ზუზუნი იჭრება, ისევ კაცი არღვევს.

- ჩემო კეთილო - მე მეუბნება - მაინც მინდა გამოვისყიდო დანაშაული.

ვერ ვიგებ რა უნდა, ამიტომ უხმოდ ვუყურებ.

- ჩემო კეთილო - აგრძელებს ის - მემგონი ჩვენი შერიგებისა უნდა დავლიოთ.

გონება მინათდება. აი თურმე რა ნდომებია - თანამეინახეს ეძებს. ამას აქამდეც უნდა მივმხვდარიყავი, რადგან ყველა ლოთი ერთნაირია.

- მადლობა, მაგრამ არ ვსვამ - რაც თავში პირველად მომდის იმას ვამბობ და მგონი ვწითლდები კიდეც. ხელი გამირბის და ლუდის ბოთლს ვიღებ. შეცდომას შეცდომაზე ვუშვებ, მინდა ბოთლი ისევ ადგილზე დავაბრუნო, ამიტომ რამდენიმე ყლუპს ზედიზედ ვსვამ და ბოთლს ხმაურით ვდგამ დახლზე.

დასაკარგი აღარაფერი მაქვს და კაცს გამომწვევად ვაშტერდები.

მაგრამ იმას არაფერი ეტყობა. ერთხანს ისიც მიყურებს, მერე მიღიმის და თავის ბოთლს უბრუნდება. თავს დამცირებულად ვგრძნობ. ისე იღიმის, თითქოს ჩემი ესმის, როგორც მშობლებს ეღიმებათ თინეიჯერულ ამბოხებებზე.

ახლაღა ვამჩნევ რომ ჩემი ბოთლის ნახევარს საგრძნობლად ჩამოვცდი. მას ერთბაშად ბოლომდე ვცლი და ახალ ბოთლს ვუკვეთავ. მესამე ბოთლის გამოჩენისთანავე კაცი ისევ იწყებს:

- ამ ჭიქით... უფრო სწორად, ამ ყლუპით... მე მინდა დავლიო სადღეგრძელო... - არც მე და არც გოგოს არ გვიყურებს, თაროებზე ჩალაგებულ ფერად ბოთლებს მიმართავს - ეს იმ კაცს გაუმარჯოს, ვინც გულში წყენას დიდხანს არ შეინახავს და ვინც იცის, რომ მარტო კაცი დალევაშიც ბრალია. ეგეთ ხალხს გაუმარჯოს.

ბოთლს იყუდებს და მისკენ არ ვიხედები, მაგრამ თვალის კუთხით ვხედავ, როგორ მოგვავლებს თვალს მე და ბარმენ გოგოს, თან მგონი იღიმის კიდეც. დარწმუნებულია, რომ ადრე თუ გვიან ყინულს გაალღობს.

მე არაფერს ვამბობ, მაგრამ მესამე ბოთლი არ უნდა შემეკვეთა. სასმელი მეკიდება და ნათელია, ეს პარასკევიც ჩავარდა. მაგრამ რაღაცა ხდება, დათქმული აღთქმის დარღვევაზე უარესი. ჩემში წარსულის რომელიღაცა სცენა ცოცხლდება, როგორც საშინელებათა ფილმის პროტაგონისტში იჩეკება უცხოპლანეტელი მტაცებლის ჭუპრი და მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ასეთი მთვრალი ვიყო, თვალნათლივ ვხედავ მთვრალ მამაჩემს, რომელსაც რის ვაივაგლახით ვიგერიებ, და გაღიზიანებულ, დაღლილ დედაჩემს.

ახლა გოგონასაც ეტყობა დაძაბულობა, ტელეფონზე კონცენტრაციას ველარ ახერხებს და თვალს ხშირ-ხშირად აპარებს ჩვენკენ. თუმცა სულ ტყუილად ეშინია, მე არაფრის ჩადენას არ ვაპირებ, იმან რამდენიც უნდა, ილაპარაკოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი ჩემკენ ტრიალდება - მას გადაწყვეტილი აქვს ჩემი გული მოიგოს. ყურადღების მოკრებას მთელ ძალისხმევას ანდომებს, ცდილობს ენა არ დაებას. მისი ხმა ბუნდოვნად ჩამესმის.

- კიდევ ბოდიშს ვიხდი. მაგრამ იცოდე, ეგეთი მთვრალი არ ვარ. მე არასოდეს ვარ ეგეთი მთვრალი. თუ რამე გაწყენინე შევრიგდეთ... თუ ჩემთან ლაპარაკი არ გინდა, უბრალოდ მომიჭახუნე, იმის ნიშნად, რომ შევრიგდით. მარტო ამას ვითხოვ და მორჩა, სამუდამოდ დაგეხსნები.

მთელი კონცენტრაცია ბოთლზე გადამაქვს და ვცდილობ შიშინს, რომელიც ყურებში მიდგას, არ მოვუსმინო.

- ბატონო, თუ შეიძლება კლიენტებს ნუ აწუხებთ - ამბობს დედაჩემი.

ბოთლს სასმელებიან თაროს ვესვრი და სკამიდან ისე ვხტები, რომ იგი ყირავდება. მინდა ვუყვირო, რომ ორივე ყელში ამომივიდნენ, მაგრამ ვერაფრის თქმას ვერ ვახერხებ, იდიოტივით ვდგავარ და კაცს ვუყურებ.

ბარის სიღრმიდან წამოსული ზუზუნი ფერადი ბოთლების ლეწვის ხმასთან ერთად წყდება და ახლა კი მართლა სამარისებული სიჩუმე ისადგურებს.

კაცი დაბნეული მიყურებს, მერე ბარმენ გოგონას შეხედავს, რომელსაც ყურები ჯერ კიდევ ხელებზე აქვს აფარებული. შემდეგ ისევ ჩემზე გადმოაქვს მზერა. მისი ნაკვთები უცებ სიმკვეთრეს იძენენ. მისი სახე დაბეგვილი ხორცის ნაჭერი მეგონებოდა, რომ არა თვალები, რომლებიც მომშტერებოდნენ აზრის იმ ნარჩენებით, რომელიც ჯერ კიდევ არ გაუნადგურებია სასმელს.

შემდეგ ის ორივეს თვალს გვარიდებს და სკამიდან ჩამობობღებას იწყებს. მისთვის ეს საკმაოდ რთული ამოცანაა, მაგრამ როგორღაც მაინც ახერხებს და ბარის იატაკზე არც თუ ისე მყარად მდგომი ჯიბეებში იქექება. ჩვენ, მე და ბარმენი გოგონა, აღარ ვარსებობთ და აღარც ეს ბარი არსებობს, მხოლოდ არსებობს ჯიბეები, რომლის რომელიღაცა კუნჭულში დაკუჭული კუპიურები უნდა იყოს. ერთ-ერთ მათგანს მოძებნის კიდეც და ფრთხილად დებს დახლზე, შემდეგ დაიძრება და კარისკენ მიდის, ამჯერად მთელ ძალისხმევას მოიკრებს, რათა გვერდი ამიაროს, არ შემეხოს, არც შემომხედოს. ვხედავ, რაც უფრო უახლოვდება კარს, როგორ იმართება წელში, თითქოს მომხდარის ტვირთი ეხსნება მხრებიდან და როდესაც კარამდე მიაღწევს, იგი კვლავ თავისუფალია. ვცდილობ არ ვიფიქრო იმაზე, თუ როგორ გავა კარში მეორედ უარყოფილი და ერთხანს წითელი შუქებით ბუნდად განათებულ ქუჩაზე დადგება, ბარის შესასვლელისგან ოდნავ მოშორებით, სანამ მისი ცნობიერებიდან საბოლოოდ აიკრიფებოდეს უსიამოვნო ნისლი, შემდეგ კი რწევა-რწევით გაუყვება მომდევნო ბარისკენ, როგორ შეეცდება ქუჩის გადაკვეთას და მის თვალებში როგორ აალდება აზრი უკანასკნელად, როდესაც მოსახვევიდან მოულოდნელად გამოვარდნილი მანქანის ფარები მის დაბეგვილ სახეს სინათლეში მოაქცევს.



პოეზია
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბელა ჩეკურიშვილი

## ნამწვები

ვიდრე ამ რაინისპირა ქალაქში ქვაფენილს ითვლი
და ქვებს შორის დარჩენილი სიგარეტის ნამწვებს დაჰყურებ,
გახსენდება, როგორ კრეფდით ასეთ ნარჩენებს
ოდესღაც, სულ სხვა ქალაქის ქუჩებში,
მერე პლასტმასის მილით რომ მოგენიათ
და როცა გეკითხებიან, რა ხდებოდა შენს ქვეყანაში,
როცა ერთ დღესაც საბჭოთა კავშირი აღარ იყო,
როცა ნანატრი თავისუფლება
შენს თაობას ფანტიზიით ერგო,
ის სიგარეტის ნამწვები გახსენდება
ქუჩაში, ტროტუარის კიდედან აღებული
და პასუხობ:
რომ შეყვარებულები ვერ იგებენ როდის ღამდება
და სახლებისკენ არც არასდროს მიუწევთ გული,
თუკი პარკში სითბოა და მთვარის სინათლე,
რომ ღამეები მაშინ ძალიან მოკლე იყო
და გათენების ხმები - ვერცხლის სიმზე წკრიალა,
რომ
მოზარდობისას სიგარეტის ღერებს მამებს ვპარავდით
ეს ხან საბჭოთა იყო, ხან უცხოური - ბოშებთან ნაყიდი,
იმის მიხედვით, რა განწყობაზე იყვნენ ხოლმე ჩვენი მამები,
რისთვის ემეტებოდათ დედებისგან დაზოგილი ოჯახის ფული,
მერე კი, როცა უკვე სტუდენტებს შეგვეძლო
თავხედურად, ღიად, საჯაროდ მოგვეწია
და მშობლებისთვის დამოუკიდებლობა გვემტკიცებინა,
ქვეყნის დამოუკიდებლობამ მოგვისწრო
და ნამწვავებზე გადაგვისროლა.
ჩვენი სიყვარულიდან
ჩვენი სტუდენტობიდან
ჩვენი თავისუფლებიდან
მხოლოდ სიტყვები დაგვრჩა
რომელიც აი, ლექსებად ვაქციეთ და ვცდილობთ,
იქნებ ახალ სამყაროს
სიტყვების ამ ნარჩენებით მოვულბოთ გული,
სიგარეტის ფული რომ გვქონდეს.



## პიანინო

ბებიამ თქვა: პიანინო უნდა ვიყიდოთ,
აი, უკვე ორნი არიან,
დები ერთად დაუკრავენ და იმღერებენ,
მოიწონებენ თავს მეგობრებში, ყმაწვილკაცებში.
და ვიდრე მშობლები ჩემთვის სახელის შერჩევაზე ჯერაც დავობდნენ,
მან პიანინო შეუკვეთა, გერმანული როინიში, დედაქალაქში.
თავის ყოფილ მოსწავლესთან ჩავიდა
და ორ კვირაში გამოუგზავნეს,
თან ამწყობიც გამოაყოლეს - გზაში აშლილი ტონალობის გასასწორებლად.
დების სიმღერას კი ფონად ექცა ფორტეპიანოს საძულველი გაკვეთილები,
და ბებიას დამუნათება:
„იმეცადინეთ, იმხელა კაცი შევაწუხე, ეს რომ გქონოდათ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმხელა კაცი - ჩვენი ბავშვობის განუყრელი თანამგზავრი,
ვთამაშობდით თუ ტელევიზორში ხუთწუთიან მულტფილმს ვუცქერდით,
თავზე გვადგა და ნაბიჯებს ზუსტად გვითვლიდა.
იმხელა კაცი მაშინაც არ წასულა ჩვენგან,
როცა ბებომ ჩვეული სიმარჯვით შეკრა ბარგი და უხილავ ბილიკს აუყვა,
და არც მაშინ, როცა ერთ დღესაც
იმ უხილავი ზეცის ბილიკს ბიჭი ჩამოჰყვა
და ნათესავებს დაჟინებული ჩხავილით გვამცნო,
რომ ყველაფერს თავდაყირა დააყენებდა.
ვიდრე მშობლები მისთვის სახელის შერჩევაზე ჯერაც ვდაობდით,
მისმა ბებომ თქვა:
პიანინო უნდა გავყიდოთ. ბიჭი მოვიდა, რძე სჭირდება, მაწონი ყველი,
ბევრი ფაფა და ხაჭაპური.

პიანინო? - გავიკვირვეთ მაშინ დებმა,
და ყოყმანით გავხედეთ ოთახს,
წლების მანძილზე იმხელა კაცის აჩრდილი რომ ავსებდა და აბუბუნებდა,
ახლა კი ერთი პაწია კაცი უპირებდა გამოსახლებას, სულაც განდევნას.
ის გერმანული პიანინო ორ ძროხად იქცა,
თან პატარა ხბოც გამოაყოლეს, ახალნაშობი,
ფური ადვილად რომ მოგვეწველა.

## ბაბუაწვერები

პაპისეულ ეზოზე ვამბობ,
ბაბუაწვერამ რომ გადაუარა.
მთელი წელია, აქ არავინ ჩამოსულა, ფეხს ვერ აუქცევ,
ლამის კიბეც გადაფარაო, -
ჩივის დედა, -
თუმცა მანამდეც არ ყოფილა მამათქვენი კარგი მეურნე,
სულ გარე-გარე ეჭირა თვალი, ბოსტანიც სულ გაუველურდა.
ვუსმენ და თან თმას ვიღებავ კარამელისფრად,
საღებავს ასე აწერია,
თუმცა არც ვიცი, ჩემს შავ თმაზე როგორ დაჯდება,
უკვე შავიც რომ აღარ არის,
სანახევროდ ნაცრისფერია,
ბაბუაწვერას ფრენიების ფერი,
პაპისეული ეზო რომ გადაფარა
და დედაჩემის ხმა ახლა უკვე ჩემს ოთახშიც დააფრიალებს,
რომელიც ინტერნეტ ველის წყალობით
ჩემი ბავშვობის ქვეყნიდან მოქრის და თვალებზე ლიბრად მედება,
და ველარ ვხედავ დედაჩემის ნაღვლიან სახეს,
რომელმაც უკვე აღარ იცის,
ეს ამდენი ბაბუაწვერა როგორ უნდა მოსპოს ეზოდან,
ხელით დაგლეჯვაც არ გამოუვა,
ჯანი აღარ აქვს,
მამაჩვენს ხომ არც ეს ეზო ადარდებდა და არც ოჯახი
მთელი სახლი გააპარტახა,
მის შვილებს კი დრო არასდროს არა რჩებოდათ.
დედა ზუსტად არჩევს იმ სიტყვებს,
მაგნიტურ ტალღებს რომ დაჰყვებიან და სრიალით ჩემს სარკესთან იკეცებიან
მაგრამ ვერ ვხვდები, საპასუხოდ რა მივაშველო მის ხმას,
თანდათან რომ წყვეტილი ხდება,
ანდა იმ ეზოს,
თვითონაც ასე დაყვავილებულ ბაბუაწვერასავით თმაგაწეწილმა,
და კარამელისფერ საღაბავს, როგორც ერთადერთ ნუგეშს, ისე შევცქერი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## დოლის პური. დარმშტადტი.

*ჰაინც გენგენბახს*

დოლის პური,
მესხური,
წითელი თავთავი
ყანის ნაპირებს რომ ამთავრებს
შორიდან გვანიშნებს,
რომ აქ არის,
აქ არის,
იგავის მთქმელიც
და სამკალიც,
ნამგლების სიმღერა,
ლესვა და ჰარალე,
ობოლი მწყერჩიტას
ზღაპარი
ცოცხლდება
ვიდრე ჩვენ მივქრივართ მინდორზე
გზა უცებ მოკლდება მანქანით
მამა იცინის და
ანათებს თვითონ მზე,
მე სკოლის ამბებზე ვქაქანებ...



დოლის პური, წითლად ალანძული -
უკვე რომ აღარც გემო მახსოვს მისი,
აღარც სურნელი,
სპილენძისფრად დაბრაწული, თონისპირზე რომ ღუოდა ახლადამოყრილი,
წვერებგაფშეკილი რომ იცინოდა,
მარანში ჩამობმულ საპურეზე შემოდებულს
გავლა-გამოვლაზე რომ ხელს შევაწვდიდი, ყუას ვაგლეჯდი,
- ყველიც მიატანე, ბებო გენაცვალოს, მარტო პური რას გეყოფა -
დადევნებული ხმა, უკვე ქვევითუბნისკენ რომ გავრბოდი,
ყურძენი და პური, ნიგოზი და პური, ღუმელზე შემწვარი ხახვი და პური - ჩემი და ბებოს საყვარელი ვახშამი,
როცა სოფელს გრილი სიბნელე არწევდა და აყუჩებდა
დავიწყებული -
როგორც ის ზაფხულის ცხელი დღეები,
როგორც ზამთრის ცეცხლისპირა საღამოები,
როგორც მოლივლივე ყანა და ალესილი ნამგლების ელვა
და სიმღერა მამასთან ერთად,
- გამოიჭრა მოგონებების გვირაბიდან,
ახმიანდა, აალდა, აგიზგიზდა,
აქ, დარმშტადში,
16 აპრილის დილას,
როცა ათას სხვა ამბავთა შორის მითხარი:
დოლის პური - წითელი პური,
ფრანგებიც რომ აცხობენ უკვე,
ორი წელია, რაც ჩვენი ჯგუფი
მისი აღდგენის ხელშეწყობაზე ზრუნავს
საქართველოში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სუფრა მთის კალთაზე

როგორც კალია ბალახებში
და ბალახებიც
ზაფხულის მზე რომ გათანგავს და დაბანგავს სიცხით,
ვსხედვართ
და უკვე აღარც გვჯერა, დრო თუ არსებობს
გზის პირას,
მთას რომ გარს ეხვევა ჭრელი გველივით
და ვფიქრობთ, აი,
მთასთან ერთად მოგვახრჩობს და
თუ არ ჩაგვყლაპა
უფსკრულში გვისვრის,
მთის ბილიკზე ჩამორბის კაცი,
ცალ მხარზე რომ ჰკიდია ფუთა,
იმ ფუთიდან პურები უჩანს,
ჰეი, ჰეიო, მანდ ვინა ხართ? - შორიდან ისმის.
მერე პირდაპირ ბალახებში გაგვიფენს სუფრას,
ღვინოს კი ხარის რქაში გვისხამს
(ოქროსფერს, ციეცივს)
რომ დაგვაპუროს,
რომ გზამ ველარ მოგვახრჩოს და
აღარც გვეგონოს,
თუ არ ჩაგვყლაპა, უფსკრულში გვისვრის.



## ცისფერი ტენტი

აი, მშენებლებმა ცისფერი ტენტი ჩამოხსნეს
შენობას,
შენ რომ ორი თვეა
პალიატიური განყოფილების ფანჯრიდან გაჰყურებ
და ყოველ მოსვლაზე მეკითხები:
„ნეტავ, იქ ასეთს რას აშენებენ?"
და აი, გეძახი:
„შეხედე, შეხედე,
როგორც იქნა, მორჩნენ, გამოჩნდა!".
მაგრამ შენ აღარ დაიცადე,
ამ ლაპლაპა ნემსებს დაუსხლტი,
რომ ნემსიყლაპიად გადაქცეულს
ზემოდან უკვე საკუთარი თვალით გენახა,
რას ფარავდა ცისფერი ტენტი,
რას აშენებდნენ ისინი, იქ, ასე ხანგრძლივად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარიამ წიკლაური

## გაზაფხული

არასოდეს მომიყვანია ეს გაზაფხული.
ის მოდის ხოლმე პერიოდულად - კომისია,
რომელმაც უნდა კიდევ ერთხელ გადაამოწმოს
ჩვენი სიცოცხლის ძველი უნარი.
კომისია, ჩრდილოვანი ნაზამთრალი ეკონომიკის:
რამდენ კვირტს მალავს ხეების ტანი,
ველ-მინდვრები - რამდენ ბილილას.
რამდენ მზის სხივს - დღეების პეშვი,
ბალახს - ქვისძირი, ბელტებს - მიწა,
სილურჯეს - ზეცა, სივრცეებს - ფრთები,
რამდენ სიყვარულს - ადამიანის პატარა გული,
რამდენ ვარსკვლავს - ჩამქრალი მზერა...
მე არასდროს მომყავს ხოლმე ეს გაზაფხული,
გეფიცებით. ვის რად უნდა ამხელა სტრესი,
ამდენ სიბნელეს რა სინათლე ეყოფა მაინც?!
კანონის ენა არავის ესმის,
ყველას თავისი ზამთარი უყვარს -
ხელს შეახოცავს თავისუფლად მოკლე დღეებს და
ყველაფერს კვამლს გადააბრალებს...
თავადაც ხომ არაფრად გაგდებს,
არც გთვლის
ა რ ა ფ რ ა დ. გულს - სიცოცხლის პულსაციას
თოვლით იგრილებს.
მაგრამ, ერთ დღესაც, რომ არც ველით, გაუფრთხილებლად
კომისია აგვეტუზება,
ჰაერში ელდას დაგცემს ხოლმე ნაცნობი სუნი - აი, მოვიდა!
გაერიდეთ ამპარტავნულ ჭრელ გაზაფხულებს,
ეცადეთ, თვალში არსად მოხვდეთ ამ კომისიას,
რადგან ყველაფერს მხოლოდ ფიარის გამო აკეთებს,
დაგვაფეთებს, სხვა არაფერი
დიდი ვინმე რომ გვეგონოს, რომ გვეშინოდეს...
მთების სიმწვანეც გახრიოკდება,
ამ ტყეების აფერადებაც,
ეს ხეები ისევ ისე შეიბრუნებენ ძილს და სიყუჩეს,
ეს ქუჩებიც ისევ ისე რუხთვალება უიმედობით იქნება სავსე,
არავის ერთი თბილი სიტყვაც არ დასცდება,
ჭორფლიც განა რა,
მზეც შორსაა.
ყველაფერი ფიარია,
გაივლის, ნავა
და არავინ შეგიმცირებთ დარდსა და ნაღველს -
სრული, მუდმივი შტატით არსებობს.
სიმარტოვესაც აქ არაფერი დაემუქრება,
ოღონდ ახლა გაუძელით ამოვარდნებს მზის სიზმრებიდან.
ბელის გულს ვადებ აყვავებულ ნუშის ხეს და ასე ვიფიცებ.
არასოდეს არ დამაბრალოთ,
„რომ გაზაფხული მე მოვიყვანე".
სადღა გვაქვს ძალა ადამიანებს მისი გაძლების.
„ესეც გაივლის..."



## ზღაპარი სამშობლოზე

როგორ გვანწვალებს სიტყვა „სამშობლო".
აღარ ვიცით, სად გადავმალოთ,
სად მივუჩინოთ ადგილი, რადგან
აღარცერთი კონტექსტი ირგებს.
თავადაც ხვდება,
საკუთარი თავის კუთხეში ატუზულა უხერხულად,
ღამნაშავედ თვლის უკვე ყველა. რა გაეწყობა?!
ნეტა სიზმარში ხომ არ ნახულობს
ასეთ თავის თავს?
მიუკეტეს ცხვირის წინ კარი.
აღარც ტექსტი, არც წარმოსახვა, არც სინამდვილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უთმობს ადგილს.
თითქოს ვიღაცამ უჩინმაჩინის ქუდი დაჰხურა,
საფარეელი დაადო თითქოს,
არის, არც არის.
ალაგ-ალაგ ნაკვალევზე მოუჩანს გერბი,
ექო ჰიმნსაც ახეთქებს ტინებს...
ჭირის დღესავით გაურბიან ხსენებას და
ახლომახლო თუ ჩაივლიან,
შეშინებული აფურთხებენ „ფუი ეშმაკსო".
თუ შემთხვევით სადმე შეეხნენ,
უნებურად, მაინც შეეხნენ,
იფიცებიან, „არც კი ვიცნობდით,
არასოდეს ვყოფილვართ მასთან".
მიწისქვეშ მკვდრები იტანჯებიან,
მიწისზემოთ ცოცხალთა მოდგმა.
რამ ქნა ასეთი?
რამ შეაძულა პოეტს, მღვდელს, ვექილს,
გლეხს, დეპუტატს, მეცნიერს, სტუდენტს?
მასწავლებლები ცდილობენ მხოლოდ
სკოლების ძველ კატაკომბებში
ლექსის ძონძებში გამოახვიონ
მისი სახელი - გალოკილი ძვალი, რომელსაც
ერთადერთი, ღმერთის ნება თუ გააბედლებს.
ბავშვებს ამ ძვლის ნაფქვავს ასმევენ, ცრემლში გარეულს,
იქნებ ასე დაამახსოვრონ.
ჩვენი გულების ინკუბატორებს
დიდი ხანია გაუთიშეს იაფი დენი,
დიდი ხანია, არც იაფი გაზი ივსის
მარადიული ცეცხლის მშვიდი უდარდელობით,
აბა, სადღა გადავინახოთ, რომელ სათბურში, სახელი მაინც,
უნინ ყველას ერთნაირად რომ გვარქმევდნენ,
უნათლავებსაც?
ბიჭებს, გოგონებს ყველას გვარქმევდნენ!
ყველას გვშვენოდა, ნებისმიერ ასაკში მდგარებს,
„სამშობლო" გვერქვა, „სამშობლო" გვეცვა,
„სამშობლოს" ვჭამდით, ემღეროდით, ვწერდით...
ახლა რა ხდება, თავის თავსაც აღარ ჰქვია, არაფრად უღირს,
წვიმას სისველე აღარ ჰქონდეს,
ქარიშხლებს- ქროლვა,
მდინარეს - ჩქერი,
ზეცას - სივრცე,
ცეცხლს - სითბო და
გაზაფხულიც მხოლოდ ქვებისთვის რომ მოდიოდეს,
ასეა და რა გაეწყობა?!
ხალხი კი - წყება მოსიარულე ადამიანათა,
კევსაღა ღეჭავს - ბედნიერების გემოიანს.
და იზეპირებს ახალ სახელებს:
სამოქალაქო სოლიდარობა, აქტივობა, გენდერი, გრანტი,
ფემინისტი, ელგებეტე, ლიბერალი, ციანიდი, სექტა, შაურმა...
„გარდარეული სიყვარული" სამშობლოსადმი
არტეფაქტებად შემორჩენილი ფოლკლორსა და ვენახის კვლებში,
გადაიღეთ, სანამ არსებობს, აღნუსხეთ, ზომეთ,
შეიტანეთ გულის დავთრებში,
რომ სამომავლოდ აღარ ეძებოთ საზღაპრო თემა
და მოუყვეთ თქვენს შთამომავლებს,
რომ აქ ჩვენი „სამშობლოც" იყო,
რომ ის იყო ულამაზესი, უძველესი,
ნალკოტი იყო,
რომ ზიზღის ჭია გაუჩნდა ერთხელ,
რომ ჰყავდა მტერი გამუდმებით,
რომ გმირებიც ჰყავდა სამშობლოს,
რომ მისი ხმა - მისი სიმღერა ცასა სწვდებოდა,
რომ გონიერიც ბევრი ჰყავდა, მოღალატეც, მოსიყვარულეც,
უგუნურიც, ზარმაციც, ფლიდიც,
სულ რომ ელოდა მხსნელს და რომ კლავდა,როცა იგი გამოჩნდებოდა,
სულ რომ სნამდა უკვდავება თავისი და
სულ რომ მღეროდა, დარდიანიც, ცოცხალიც, მკვდარიც...
რომ ის ხშირად ვერც იცნეს და
გლახა ეგონათ, უპოვარი ბოგანო კარზე...



ეროვნული
ბიბლიოთეკა

საზღაპრე თემებს აქ რა დალევს,
ურჩხულები ცეცხლს რომ აფრქვევდნენ,
ყლაპავდნენ ყველას,
აგუბებდნენ მდინარეებს, ტყეებს ჩეხავდნენ,
გადარეკეს ხალხი შორეთში,
მოწამლეს ყრმები,
ბეტონით ხერგეს ქუჩები და ყლაპეს ბავშვები,
გამოიყვანეს ზომბების მოდგმა,
ო, რა ზღაპრები გვაქვს მოსაყოლი შენზე, სამშობლოვ,
მაგრამ ეგ მერე,
თუ გადავრჩით, ეგ მერე იყოს...
ახლა იმდენად უხერხულია, „სამშობლოზე" ილაპარაკო,
და იმდენად სამარცხვინოა მისი ხსენება,
მასთან ერთად შემაღლებულზე ჯდომა, ბაასი,
რომ იქნებ ავდგე და კოდური სახელწოდება გამოვიგონო,
გადავმალო,
სანამ ჩვენში სავსემთვარობის მგლები ყმუიან...

### თოკი

ადამიანთა უმრავლესობა ხმელეთზე ცხოვრობს,
ზღვისპირელებიც, ოკეანელი კუნძულელებიც,
ჩემი ხალხი კი თოკზე დასახლდა.
თოკი გახდა მისი მამული,
რა ხანია, გადი-გამოდის ტანჯვა-წვალებით,
მანქვა-გრეხით,
არიქა, მარჯვნივ არ გადავარდეს,
არიქა, მარცხნივ არ ჩაიჩეხოს.
მაგრამ მაინც ახერხებს იყოს,
იცხოვროს და აგარაკებიც აიშენოს
დანის პირზე,
ბეწვის ხიდზე,
ცეცხლის ალზე.
ყველაზე მჭრელ და ყველაზე ბასრ პირს ეტანება,
სასიკვდილოს,
სხვას არც კადრულობს.
თქვენ რა იცით, რად ულირს კაცს ასე ცხოვრება,
რა თვისებებით და იერ-სახით გამოირჩევა
უთვალავთაგან,
რომელიც მყარად დადის მიწაზე
და ფეხებზე მიწის მტვრის გარდა
ჰკიდია ყველა, ვინ მარჯვნივაა, ვინ მარცხნივ და
ვინ - შუაგულში.
ჩემი მოდგმა თოკზე სახლობს,
არც დამცავი ქამარი აქვს, არც გარანტია,
მარცხნივ გადახრილს რომ მარჯვენა არაფრით შეჭამს
მარჯვნივ გადახრილს რომ მარცხენა არასდროს გასრესს.
ეჩვევა ასე ცერზე სიარულს,
მუშაითივით არტისტობს კიდეც.
სანახაობა ხომ ძვირად ფასობს,
პური არცა აქვს,
ხოდა, ცდილობს ისე იაროს,
ყველასი იყოს,
ყველა აქოს,
ყველა ადიდოს,
ყველას უცინოს,
ყველას ატყუოს,
ყველას მისცეს
ხმა და
როგორმე ბრიყვი თავი გადაირჩინოს -
ყველაზე გამძლე მოდგმათა შორის!
რა მზისშვილობა,
რის მიწისმოდგმა,
ჩვენი მარადი არსებობის საიდუმლოა
ეს არჩევანი.
ერთადერთი, ჩვენ რაც გვაფხიზლებს,
ისე არ მოხდეს, უცაბედად,
ყულფად გვექცეს მშობლიური გვარლის ნამლევი...



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორმო

ადამიანად დაბადება არ მეღირსება
სხვა ცხოვრებაში,
პასუხს ვაგებ იმისთვის, რომ
ვერასოდეს ვსაუბრობდი უცხო ენებზე.
ხუთიათას ინსტრუმენტს რომ მოგცემენ და
ვერცერთს ჩაბერავ, დაისჯები. გარდუვალია.
ალბათ რვეულად აიკინძები,
და ზედ ბავშვი დაგაჯღაბნის სიტყვებს, რომლებსაც
იძულებით დაიზეპირებ.
თუ გაგიმართლა, ხედ გაჩნდები
და როცა ტანსაც გვარიანად აიყრი მზისკენ -
ძველი ენისკენ, ხსოვნის დარანებს რომ გინათებდა მისი სიტყვები,
მოგჭრიან და ფურცლად გაქცევენ, დაიმახსოვრე!
სხვა ცხოვრებაში პასუხს ვაგებ იმაზეც, რომ
არ ვფლობდი უნარს ლაპარაკისას
არც მშობლიურ ენაზე, რადგან
ეს ენა უკვე აღარ ესმოდა ირგვლივ არავის.
და თუ სხვა ენად არ აქცევდი,
იყო, არც იყო...
არ მეღირსება ადამიანად დაბადება მაგიტომაც, რომ
ვერაფრად გადავაკეთე, ის, რაც ვიყავი.
იოცნებე,
იქნებ ჩიტად მაინც მოხვიდე.
აღარ იტყვიან, გაუხვრიტეთო შუბლი მაგ უღირსს,
გაბუდაყებულს, ჩვენი წილის მითვისებით გათამამებულს.
ჩავფენ ბუდეში მიმწუხრის ყვავილს
და ფრენაზე ოცნებაში დაბერებულ ბაბუაწვერებს.
სხვა ცხოვრებაში პასუხს ვაგებ
იმისთვისაც, რომ არც ჟესტების ენა მესმოდა
და ვერავის ეაგებინებდი, ექოს ზანზარსაც,
რომელიც ჩემი სხეულიდან, გამუდმებით
მოისმოდა სისხლის ხმაურად.
უთვალავი ძრავის გამო კი,
მე არც სიჩუმის ენა მესმოდა.
ვერსად ვიპოვე ეგ დაფლული ოქროს ზოდები,
რადგან ხმაური უფრო იყო ოქრო და მეტიც,
ხმაური იყო საჭირო და ხმას ვერ ვიღებდით.
მე დავისჯები იმისთვისაც, რომ დღეის ენაც არ გამეგება,
ყველა გვამს და
ცრუ ღმერთებს რომ მშვენივრად ესმით -
ერთმანეთზე დაიმედებულ არსებებს გვანან.
იქნებ წყაროდ გავჩნდე დასჯილი -
ფესვით შეგსვამენ, სულ რომ არავინ ამოგაჩინოს,
პასუხს ვაგებ იმისთვისაც რომ,
არ მესმოდა ადამიანის უგუნურება -
ესეც ენაა საურთიერთო,
რომელიღაც ათასმეშვიდე კი არადა,
ლამის უძლეველ ენათა შორის უპირველესი!
ასე დასჯილი ალბათ მერე, სხვა ცხოვრებაში
გაჩნდები ერთ დღეს მესიტყვედ და
სამყაროს კანონს აღასრულებ
პატიოსნად და შეუმცდარად:
იპოვი ენას, რომელზედაც ჯერ არავის უთქვამს სიტყვები.
ჩემგან აბა, სხვას რას ელოდოს გამჩენი, როცა
ჯერ ვერაფერი შევისწავლე,
სხვათა და სხვათა საბედნიერო.
მომეკითხება, რატომ ვერავის ვაგებინებ
რა მსურს, რას ვამბობ, რა მტკივა ასე?
არსებობასაც რომ ვერ ვიბრალებ და სიტყვების ილუზიებში
დედამიწას შეჯახებული კომეტის მსგავსად
სხვებს უნებურად ტკენ აუხსნელ და
სასწაულებრივ არსებობის ტკბილ ათინათებს.
აი, ორმოც!
აქაც სიტყვები ჩაბუდდებიან
დაბადებიდან დაბადებაში მოხეტიალე.
ნუ შეშინდებით უცხო ნათებით!



ეროვნული ბიბლიოთეკა

## თორნიკე რობაქიძე

# მემე შიში

ჭერი თეთრმა ქსელმა დაფარა.
თვითონ კი პეპლის ფრთებს მიირთმევს,
მუცელი გუშინ შეჭამა,
თავი გუშინწინ.
მე კი სანოლის ვერცერთ კუთხეში ვერ დავიძინე.
ვფიქრობ ის მალე ჩემამდეც მოაღწევს.
რადგან ნელ-ნელა იზრდება მისი ქსელი.
რადგან მე მისი საწუკვარი ლუკმა ვარ
და ჩემს გარეშე ვერ დანაყრდება.
ყველაფერი მაინც ახლა იწყება.
დრო ფიქრებში ისრისება და
ფანჯრები გათენებას მპირდება.
ეს მე ვარ მულტფილმის გმირი შონ აბრამი,
თ.რ. საწოლში ვწევარ და ვცდილობ დავიძინო.



1

სანამ აქამდე მოვიდოდით რა არ გადაგვხდა.
როგორ არ ვარიდებდი თავს მის სიცარიელეს,
მაგრამ ხელში თვითონ ჩამივარდა,
თვითონ სურდა ჩემი მსხვერპლი გამხდარიყო,
თან დამალული თან კი აშკარა.
ის მიდიოდა ქუჩაში ღამით.
ის მიდიოდა სრულიად მარტო.
ის მიდოდა ყველას თვალებით
და ყველას თვალებში იყო სიზმარი,
თოვლივით თეთრი.
რომელიც ღამით იისფერია.
სულ სჯეროდა რომ ჩუმ-ჩუმად უთვალთვალებდნენ,
მზერით ხვრეტდნენ მის საათებს მარტოობისას.
ერთხელაც მიხვდა,
რომ მის გარშემო
არა ხალხი,
არამედ სულმთლად ლექსები იდგნენ
და მას უბრალოდ ხელი უნდა გაენვდინა,
რომ ყველანი მასზე გადმომსხდარიყვნენ.
ერთხელაც მიხვდა რომ ეს ყველაფერი მე შევქმენი.
მთელი ეს არეული დეკორაცია,
ფერად-ფერადი ლენტებითა და მაქმანებით.
ერთხელაც მიხვდა,
რომ მე ჩავსახლდი,
მულტფილმის გმირი ბავშვობიდან,
მულტფილმის გმირი შონ აბრამი.

2

მზის სხივებია ახლა ჩემს მხარეს,
ოთახში ისევ ჭიქებისა და ნამწვავების რაოდენობა,
როგორც ყოველთვის უფრო მეტია ვიდრე მიზნები ჩემი ცხოვრების.
დღეს დავურეკავ.
კბილებს ვიხეხავ და ვაკვირდები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მინდა ვიპოვო თეთრი კბილი ამდენ კბილებში.
მაღაროსავით ღრმა არის პირი
და აქ სიყვარულს მოიპოვებენ
და მეც არ ვუშლი,
მოიპოვონ თუკი სჭირდებათ.
იმიტომაა რომ სულ ყვითელი
დამაქვს კბილები და ვერ ვითეთრებ.
დღეს დავურეკავ.
ესაუზმობ ერბოკვერცხით და ფინჯანი ჩაით,
ერთი შეხედვით უჩვეულო არაფერია,
მაგრამ მე მაინც როცა ვუყურებ,
შუაზე გატეხილი კვერცხი
როგორ ენარცხება ცხელ ტაფაზე, სულ მეშინია,
რადგან ვხედავ აქაც პოეზიაა.
უმარტივესი ქმედებები,
ვარსკვლავებივით შორიშორს მოჩანს,
მაგრამ ის ჩემთვის ხელმისაწვდომი ლექსებია
და მათ ყოველდღე ვწყვეტ ჩემი ციდან,
რომ ყველაფერი ჩემს ცხოვრებასთან დავაკავშირო.
დღეს დავურეკავ.
თებერვალია
და მზის სხივები,
ჩემს მხრებზე რომ იდებენ ბინას,
შემთხვევითი სულაც არ არის,
რადგან მე მზეც კი ჩემი დამაქვს,
ჩემივე ცაზე.
მე ხომ ვერაფრით ვერ გავანაღდებ,
ვერც მარტოობას,
ვერც სიყვარულს
ვერც ალბათ ლექსებს.
ახლა ვურეკავ.
მაგრამ მანამდე აშკარად ვგრძნობ,
რომ შონ აზრამი ჩემთანაა.
მულტფილმის გმირი და ნამდვილი პოეტი.
***მათი ხმები, ორივეს ხმები ნაღვლიანია.***
***მე გვერდით ვდგები და თითო ბგერას ვაკვირდები მათი საუბრის.***
***სწორედ ახლა,***
***მან უნდა უთხრას***
***- გილოცავ დაბადების დღეს! მე არც კი ვიცი რა გისურვო,***
***მე შენ მიყვარხარ !***
***მაგრამ ვერაფრით ხმას ვერ იღებს,***
***თითქოს ენაზე მთელი მსოფლიოს სიტყვები ადგას.***
***და ვერ პოულობს იმ ნამდვილ სიტყვებს.***
***ტელეფონს თიშავს და სათამაშო თოჯინასავით იკეცება მისი სხეული.***
***ერთად ვურეკავთ.***
***მე ვეუბნები გილოცავ!***
***ის კი - მიყვარხარ!***
***მისი თვალები ნამდვილია მე არ ვეხები.***
***ცრემლის გემოს ვგრძნობ,***
***ზღვასავით არის,***
***მარილიანი.***



3

ეს სიზმარია.
რძისფერ ბურუსში ვსხედვართ.
სწორედ ახლა უნდა ჩაგვეხუტოს.
ცხელია და მშფოთვარე სუნი.

პოეზია
ქართული
ბიბლიოთეკა

სიზმარში სუნი იშვიათია.
მე ვხედავ როგორ ეწებება თმები მის მხრებზე,
ის კი გრძნობს რომ სხვა გზა აღარ აქვს
და გაღვიძება ცუდი იქნება.
ძალიან ცუდი.

4

კოცნის დროს თვალებს ვერასდროს ხუჭავს.
რადგან ჰგონია თუ კი დახუჭავს,
დაიმსხვრევა მისი სხეული როცა გაახელს.
ის არ დახვდება ვისაც მოელის.
იმის ტუჩები არ დახვდება ვინც ჩაიფიქრა.
ის მორიგ გოგოს აცილებს სახლში.
სულაც არ ღელავს,
მას დაავიწყდა ღელვაც და ფიქრიც
სანამ ისინი მასთან არიან
და მარტობის ბზარებს უვსებენ იგი უბრალოდ-კმაყოფილია.
მე კი ვახსენებ,
ყოველ სალამოს ვუმეორებ,
რომ ტყუილია თავს აჯერებდეს ახალ სიყვარულს
და ქაღალდის ფიფქივით ჭრიდეს თავის კუთვნილ ბედნიერებას.

5

**გაუცხოება**

თავს ვერ ვაღწევ მის მკერდს და ბოქვენს
ასე მგონია სათამაშო პაზლივით არის.
თუ დამეშალა ველარ ავაწყობ.
არც კი მადარდებს თუკი დავკარგე რამე დეტალი,
მე თუ ვერა სხვა ხომააწყობს?
მთავარია მანამდე გაძლოს,
სანამ სხვა მოვა და ჩემს დაკარგულს,
როგორც შეძლებს ისევე დადებს.
შონი კი ამ დროს, სად არის შონი?
რატომ ვერ ვგრძნობ რომ ჩემში არის?
მაინც და მაინც ლექსს უნდა ვწერდე?
თუ ჩემს ნამდვილსა და გადარეცხილ სიყვარულს ვგრძნობდე...
შონი კი ამ დროს,
სად არის შონი?



6

(როცა ეგონა მასთან ვიყავი, მაშინ ვტოვებდი.
საკუთარ თავს რომ შეჯახებოდა
და წეიმასავით წამოსულიყო მისი გულიდან,
სევდა და ბრაზი,
თუ სად ვიყავი,
ისეთ მომენტში როცა სურდა ვინმე ყოლოდა,
ვინც შეუცვლიდა თავის ეგოს,
ცოტა ხნით მაინც,
ახალ ფირფიტას ჩაუდგამდა
რათა ზვავივით დაძრულიყო,
და სიხარული,
მოულოდნელად დაეფარა ყოველი დარდით.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 7

წითელი მანქანა მიჰყავს.
მწვანეკაბიან გოგოს.
მის გვერდით ვზივარ,
ის კი ჩემს გვერდით.
ორივეს მოგვწონს ჩამპალი ბლუზი,
მაგრამ რადიოში ისმის:
„ჰოუვ დილა, აბა დელიააა, ჰოუ დილა დელიავ რანი რანი ნაა"
ამიტომაც ვთხოვ გადააყენოს მანქანა უახლოეს მიყრუებულ ადგილას,
რადგან რადიო FM (X)-ი აღარ იჭერდეს.
შემდეგ კი გავარკვიოთ რა გვსურს ერთმანეთისგან.
(შონ არ დაბრუნდე ახლა ჩემთან.
გთხოვ, ახლა არც კი დამენახო!
მე მასთან ღირსეულად უნდა ვიქიმაო.
მე ის მჭირდება.)

## 8

როცა ასე იწყებს საუბარს,
მე სწორედ მაშინ ვბრუნდები.
ის მაინც ღირსეულად ჟიმაობს
და ვერც კი ხედება რომ მან კი არა, მე გავათავე.
მაგრამ მთავარი სულაც არ არის ვინ გაათავა.
შონმა თუ თ.რ-მ,
მთავარია ვინ დაამთავრა,
ეს ახალი ურთიერთობა მწვანეკაბიან გოგოსთან,
რომელსაც ჰყავს წითელი მანქანა და სურს ქართულ რადიოარხებზე მოუსმინოს ჩამპალ ბლუზს.
მაგრამ ამისთვის მან სხვა რამის გემო გაიგო,
და ფეხებს შორის სისველემ
სულ დაავიწყა რა ხდებოდა იქამდე, სანამ
გაჩნდებოდა თავად სისველე.

## 9

## დაბრუნება

ზურგით ვიცანი.
დიდ ყვითელ ავტობუსში.
მას ჩემთვის სულ ზურგი ქონდა გამზადებული.
ერთად ვიყავით მე და შონი.
შონი და მე.
ამიტომაც არ მეშინოდა
და როცა მის მხრებს ხელით შევეხე
და მის თვალებს თვალით შევეხე
და მის ლოყას ტუჩით შევეხე
აღმოჩნდა რომ მართლაც ის იყო.
და არ ვიცოდი რა მეთქვა,
როცა ენახე და ჩავიხუტე.
როცა ძველ სიზმარს ვიხსენებდი მისი შემყურე
და არ იცოდა რა ეთქვა ჩემთვის.
- სხვაგან გადავსხდეთ.
ძლივს ამოქარგა ჩემმა ტუჩებმა,
ახალი ძაფით სველი სიტყვები.
ყველაფერი ძალიან ცუდად წარიმართა
მან მიპასუხა, დიდი შავი ტალღებივით შემომაგება,
რომ ჩემი სიყვარული მასში იპრესება
და ბოლოს საერთოდ ქრება,



ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამიტომ ის აღარ უნდა არსებობდეს.
ის უნდა გაქრეს.
მე ველარ ვიგებ სად არის შონი.
მე ველარ ვიგებ მე სადღა ვარ.
სწორედ ამიტომ მაგრად ვიხუტებ
და ავტობუსის კარებს ვაწყდები,
რომ სასწრაფოდ გააქროს ჩემი სუნი და სილუეტი,
ამ ყვითელ მართკუთხედ ობიექტში,
სადაც მას ვტოვებ..
სადაც მას ვტოვებ ძალიან დიდხანს.

### 10

ახლაც მთელ ქალაქს მოვივლი.
რომ კისერზე შემოხვეული ყულფი შემეხსნას.
და თვალებზე გადაკრული ბინდი გამიქრეს,
რომ ბოლოს ჩიტივით გადმოვფრინდე,
წარსულიდან აწმყოში.
რომ საკუთარ თავს ხმამაღლა საუბარი დავუწყო
და ექვები ვირთხებივით გაიქცნენ.
მთაწმინდაზეა ჩემი პატარა სახლი.
ერთი სკამითა და ერთი ნაძვით ამ სკამის გვერდით,
სადაც მე მარტო დავჯდები და ვიტყვი.
- მე აქ ვარ ჩემო ქალაქო.
და მთელი ქალაქი მოვიარე ახლა შენთვის.
გთხოვ გამაცოცხლე.
ჩემი ბინძური სული მტვერსასრუტივით შეისრუტე,
რათა ახლიდან დავიბადო,
რომ სიტყვებიც და სიარულიც ახალი მქონდეს.
რომ დამავიწყდეს მისი ლურჯი თვალები
და გავიხსენო,
რომ მეც ვარსებობ.
და არსებობა იმსახურებს პატივისცემას.
რათა არ დავლპე,
არ გადავშენდე..



### 11

დილა მადლია.
ყველას აქვს დილა.
მახსოვს ბავშვობის დილა.
ბაღში წასვლამდე ვუყურებდი მულტფილმებს
და ვჭამდი ყიყლიყოს.
ცოტა მერე კი მახსოვს დილა სკოლაში წასვლამდე,
ტელევიზორს ვერიდებოდი და ტუალეტში ვანძრევდი.
მახსოვს დილა უნივერსიტეტში წასვლამდეც.
ძლივს ვიღვიძებდი და თავი ბალიშზე მეწებებოდა...
ახლა არ ვიცი,
ახლა მიჭირს გავიგო სად არის მადლი.
როცა დავბერდები კი ალბათ
ბავშობის დილას დავიბრუნებ!

### 12

მე არ მეგონა ყველაფერი თუ ასე მოხდებოდა.
მოულოდნელად და თან დილით, წვიმაში.
ის იჯდა სამხატვრო სახელოსნოში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც პირველი სიყვარული სასკოლო მერხთან
და მე ამ დროს სულაც დამავიწყდა,
რომ მყავდა მულტფილმის გმირი შონ აბრამი,
რომ დიდ სევდას ვატარებ, უკვე წლებია,
რომ გოგონებს პატარა ბავშვებივით ვატყუებდი ჩემს სიყვარულს,
რათა ჩემივე ზღაპარი დამვიწყებოდა.
რომ ნამდვილი ნაბიჭვარი ვიყავი ყოველთვის,
რადგან ჩემი აუხდენელი სიყვარულის გამო სხვებს ვტანჯავდი,
რომ ჩემი სიყვარულის ასრულების ჯერ კიდევ მჯეროდა.
ის კი უბრალოდ იდგა და მიყურებდა,
მე კი წვიმისგან გალუმპული ტანსაცმლისგან წყალი მდიოდა.
ის კი უკვე ილიმოდა და მიყურებდა.
და კლავდა ჩემს ყოველგვარ ტკივილს.
ერთიანად ანგრევდა ჩემს არსებულ ცხოვრებას
და სრულიად ახალ სხეულში მანთავსებდა.
და მას მხოლოდ რამდენიმე წამი დასჭირდა ამისთვის.
და მე ვიყურებოდი მის სიღრმეში,
სადაც ხარობდა ყველაფერი რაც კი მიყვარდა.
და მე ვიყურებოდი მასში,
როგორც ახალ საკუთარ თავში სადაც შონის ადგილი აღარ იყო.
სადაც შონი კედლის კუთხეში თეთრ ქსელში გაბლანდულიყო
და ველარც ხელებს ამოძრავებდა და ვეღარც ფეხებს.
რადგან მოულოდნელად გადაიქცა გამოუსადაგარ ნივთად,
რომლის მხოლოდ სასიამოვნო სახელი დარჩებოდა ჩემში
და ამ სახელზე აშენდებოდა ახალი სახლი,
რომელსაც ერქმეოდა მართა.
და გვარად იქნებოდა მემეშიში.
და მართლაც, მე მეში(ში)-ნოდა,
რომ ცხოვრებაში მეორედ უნდა მეცადა ახალი სახლის აშენება,
რომელშიც მინდოდა მთელი ცხოვრება მეცხოვრა.
და მართლაც,
ჩემი შიში ყოველ დილას უფრო და უფრო მართლდებოდა და
მართა ხდებოდა ახალი სახლი,
რომელთანაც მე ვიწყებდი ახალ ცხოვრებას.
ანუ ახალ მარტოობას საკუთარ თავთან.



მაგრამ მაინც,
მე მზად ვიყავი მიმელო შიში.
მე მზად ვიყავი...

### p.s.

ნაბიჯს ველარ დგამ.
აკრძალულია.
ცეცხლსა(შიში)ა.
უბრალოდ დაჯექი,
თითქოს არაფერს ელოდები და გულში სიყვარული ჩაიპრესე.
ფანტაზიას ხორცს ნუ შეასხამ, სახიფათოა.
რადგან შენ წინ დგას საყვარელი ქალი,
ცასავით ლურჯი ჯინსებითა და საღებავით დასვრილი ბათინკებით.
მის ღიმილს ანვიმს,
ამბობს რომ სცივა,
შენ კი ფიქრობ რომ სწორედ ახლა უნდა გადაეხვიო,
შემდეგ კი გაიხადო ყველაფერი და მას ჩააცვა.
მაგრამ, ნაბიჯს ველარ დგამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერიენ მური

*ინგლისურიდან თარგმნა ეფემია ჭავჭანიძემ*



## დუმილი

მამაჩემი იტყოდა ხოლმე,
„გამორჩეული ადამიანები არასოდეს სტუმრობენ ვინმეს დიდი ხნით,
არ სჭირდებათ ჩვენება ლონგფელოს საფლავის,
არც ჰარვარდის მინის ყვავილების.
თვითკმარნი, როგორც კატა,
თავის ალაფს რომ დაიმარტოვებს,
პირში გაჩრილი თაგვის კუდით -
ფეხსაცმელის ზონარივით -
ისინი ზოგჯერ ნეტარებენ მარტოობაში,
და შეიძლება სიტყვებისგან განიძარცვონ, იმ სიტყვებისგან,
მათ მიმართ რომ აღტაცებას გამოხატავენ.
ყველაზე ღრმა გრძნობა ყოველთვის დუმილში ვლინდება,
თუ არა დუმილში, თავდაჭერაში".
ის არ იყო არაგულწრფელი, როცა ამბობდა: „დაე იყოს ჩემი სახლი შენი სასტუმრო".
სასტუმრო ხომ საცხოვრებელი სახლი არ არის.

## რანი არიან წლები?

რა არის ჩვენი უმანკოება,
რა არის ჩვენი დანაშაული? ამ ქვეყნად ყველა
შიშველია დაბადებიდან, და დაუცველი.
საიდან მოდის სიმამაცე: კითხვაა პასუხ-გაუცემელი
ჭყარი ეჭვით -
რომ ყრუ მოსმენა, უტყვი ძახილი,
უბედურება, და სიკვდილიც, - სხვათ -
გადარჩენილთ - სასიცოცხლო ჟინით ანთებულთ,
სულიერად აძლიერებთ, ავსებთ სიმტკიცით.
ის, ვისი მზერაც სიღრმეს სწვდება, ბედნიერია,
სიკვდილს არ უფრთხის, აღიარებს
და ტყვეობაში გარემოების
საკუთარ თავს ალამაღლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევე, როგორც ზღვა უფსკრულში, -
თავისუფლებას ელტვის, თუმცა
საზღვრებს ვერ ცდება,
და ამ საზღვრებში პოულობს
ძალას ცხოვრების გაგრძელების, განვითარების.
ძლიერ გრძნობას
მშვიდი ქცევა შეეფერება, ადამიანი
მომღერალ ჩიტს ჰგავს,
ფრინველს, რომელიც სიმღერისას
მაღლდება თითქოს და ლამაზდება. მიუხედავად ტყვეობისა
მისი ძალუმი სიმღერა ამბობს სათქმელს,
რომ მარტივია კმაყოფილება, როცა წმინდაა სიხარული.
და ეს არის წუთისოფლის წარმავალობა,
და ეს არის უსასრულობა - მარადიული.

## სახე

„არ ვარ ვერაგი, უგრძნობელი, ეჭვიანი, ამპარტავანი,
ცრუმორწმუნე, ბოროტი, ანდა საერთოდ შეუხედავი":
ყოველდღიურად ვსწავლობ, ვსწავლობ მის ანარეკლს და
უსიამო სასოწარკვეთით, თუნდაც რეალურ მიზეზ - გარეშე
სიამოვნებით დავლეწდი სარკეს.

თუმცა წესრიგის სიყვარული, თავდადება, უბრალოება,
ცნობისწადილი - ყველაფერია, რასაც ჩემთვის აქვს მნიშვნელობა!
გარკვეულ სახეთ, სულ რამდენიმეს, ერთი-ორს ან ერთს
ხატად აღბეჭდავს მეხსიერება, როგორც ფოტოებს
და ჩემი აზრით, ჩემი ხედვით, ჩემი გონებით,
მათ დროდადრო წარმოვიდგენ და აღვფრთოვანდები.

## ლოკოკინასკენ

თუ „კუმშვადობა სტილის პირველი ღირსებაა",
შენ ეს ღირსება გაგაჩნია. ეს ნიჭია
ისევე, როგორც სისადავე ან მოკრძალება.
ეს არაა ნივთი რამე, რისი შეძენაც შეიძლება,
სილამაზისთვის, სამკაულად,
ან შემთხვევითი მოვლენა, ან მოცემულობა,
კარგად თქმულ სიტყვებს თან რომ ახლავს,
ის, რასაც ჩვენ სტილში ვაფასებთ,
პრინციპია, რომელიც არ ჩანს:
ფეხის არქონის პირობებში
„დასკვნის მეთოდი",
„პრინციპის ცოდნა",
ამ უცნაურ ფენომენში - ეს - თქვენს კეფაზე - არის - რქები.



## პოეზია

მე ის არ მომწონს: იმიტომ, რომ არსებობს რაღაც, მთელ ამ ხმაურზე უფრო მეტად მნიშვნელოვანი.
თუმცა კითხვისას, მისდამი სრული სიძულვილის მიუხედავად, შეიძლება მოულოდნელად აღმოვაჩინოთ
მასში ადგილი რაღაც ნრფელის და ნამდვილისათვის.
ხელები, რომელთაც შეუძლიათ დაიჭირონ ხელმოსაჭიდი, თვალები, რომლებიც შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფართოვდნენ გაოცებულნი, თმები, რომლებიც იზრდებიან, თუკი გვჭირდება: და ეს არის
მნიშვნელოვანი არა იმიტომ,

რომ შეიძლება იქცნენ მასალად მაღალფარდოვან სიტყვებისათვის, არამედ - რადგან
ასე არის საჭირო და
გამოსადეგი. თუკი არსი შეიცვლება და დედააზრი
დაიკარგება, შესაძლოა ყველამ ვთქვათ, რომ
არ შეგვიძლია მოვიხიბლოთ რამით -
ჩვენი გონებისთვის მიუწვდომელით: ღამურებით -
სარჩოს საძებრად სიბნელეში რომ დაფრინავენ, ანდა ძილში - თავდაყირა დაკიდებულით,

ადამიანთა მომსახურე სპილოებით, უნებურად წაქცეული ველური ცხენით, მგლით, რომელიც ხის ძირში
დგას და უწყვეტად ყმუის,
აღუშფოთველი კრიტიკოსით, სახეზე ნაკბენი რომ უთამაშებს იმ ცხოველივით, აბეზარ მწერს რომ
იგერიებს, ბეისბოლის გულშემატკივრით, სტატისტიკოსით,
რა საჭიროა -
საქმიანი დოკუმენტის გაცალკევება

სკოლის წიგნისგან. ორივე მათგანს ხომ საკუთარი
დანიშნულება გააჩნია.
თუმცა ნამდვილად უნდა განვსაზღვროთ: სახელგანთქმულებს ძალისძალად მიკუთვნებულ სანახევროდ-
პოეტთა ლექსში - პოეზია არ იძებნება,
და სანამ ჩვენს შორის პოეტები შეძლებენ გახდნენ
„წარმოსახვის ამსახველები"
სულ უფრო დიდი ურცხვობით და ტრივიალობით
შეიძლება განსახილველად

წარმოგვიდგინონ „წარმოსახვითი ბაღები - მათში ნამდვილი
გომბეშოებით"
აი, მაშინ ჩვენ ის გვექნება,
მაგრამ მანამდე -
თუ თქვენ მოგწონთ ბუნებრივი პირველქმნილება
ერთის მხრივ კი - სიმართლე, ანუ სინამდვილე.
მე ვიტყოდი, რომ
თქვენ მართლაც გაინტერესებთ პოეზია.



## მედუზა

ხან ხილულია, ხან უხილავი,
ტალღისებურად ცვალებად ხიბლით,
ქარვის-ფერი ამეთვისტო
ბინადრობს მასში; თქვენი ხელი
უახლოვდება, და ის იშლება
და ის იხურება;
თქვენ მოისურვეთ
ნას მისწვდომოდით,
და ის იკუმშება;
თქვენ დაივიწყეთ
თქვენი განზრახვა -
ის კვლავ იშლება, კვლავ
იკუმშება და თქვენ
მასთან მიაღწიეთ -
გარემომცველი
ლურჯი სივრცე.
თითქოს ღრუბლებით იბურება, და
ის ლივლივით გშორდებათ
და უჩინარდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „Avec Ardeur“ *

*ძვირფას ეზრას **, ვინც იცის, რა არის კადენცია*

ვფიქრობდი - ანუ აზრებს ვაწყობდი:

ამეტეხა აურზაური
აბეზარულად.

მოთმინებადაკარგული ვარ?
დიახ; ასეა. მე გავურბივარ

„გაღმერთებას“ და
„მოწყენილობას“;

იმასაც ვიტყვი
რომ ეს სიტყვა

(მოწყენილობა)
მოსაწყენია.

უარს ვაცხადებ
გამოვიყენო

„ღვთაებრივი“
აღმნიშვნელად

რაღაც უბრალოდ
სასიამოვნოს:

„საშინელი ფერი“
აღმნიშვნელად რაღაც საშიშის

თუმცა სწორი ვარ
ფიცარივით, ასე ვიტყოდი

დაპრესილი მინა
„ატლასი“

ამოტვიფრული ზედაპირით
უკეთესია



უარს ვაცხადებ
გამოვიყენო

„მოჯადოება“,
და „გაგიჟება“;

თუნდაც ასე - „საში-
ნელი მდგომარეობა“
(კიდეც რომ იყოს გამართლებული)

ანდა „სულ-
ელი ჩიტირეკია“
(თუნდაც იყოს შესაფერისი)
განა გაქცევით თავს ვუშველე?
ტყვეობაში ვარ

ამ სიტყვების
ავადმყოფობის.
პაუზების გარეშე,
მხოლოდ ფრაზები

მოკლებულია
ლირიულობას, განსხვავებით

ანტიკური
კლასიკური

თუ სილაბური
ლექსთწყობისგან.

ეს არ არის ლექსი
რა თქმა უნდა.

და მე ეს ვიცი;

არაფერი წუთისოფლისა არ არის ღვთაებრივი;
არაფერი ღვთაებრივი არ არის წუთისოფლის.

***შენიშვნა***
* ვნებით, გატაცებით (ფრ.);
** ლექსი ეძღვნება ეზრა პაუნდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლერ იეგი

# კიტსის მიახლოებითი პორტრეტი



1803 წელს გილიოტინა ჩვეულებრივი საბავშვო სათამაშო იყო, თავიანთი პაწაწინა ქვემეხების ლულებში კი ბავშვები ნამდვილ დენთს ტენიდნენ. ისინი, აგრეთვე, ერთობოდნენ თავსატეხებით, რომლებზეც დახატული იყო ინგლისის დიადი ომების სცენები, შემდეგ კი მარშით დადიოდნენ და გაჰყვიროდნენ: „გამარჯვება ან სიკვდილი".

ზემოქმედებს თუ არა ბავშვთა თამაშები მათ ხასიათზე? როგორც ჩანს, ამ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გაიცეს, მაგრამ მოდით, დროებით დავივიწყოთ ეს შემზარავი აზრები. ომი უბრალო თამაში როდია - მას შედეგად გაციება და გრიპი კი არ მოჰყვება, არამედ - გვამები. რჩება თუ არა საბავშვო თამაშების შემდეგ გვამები? ფიქრობენ თუ არა ბავშვები სისხლისღვრის შესახებ? რა შემზარავია ტორტებში ჩარჭობილი გამარჯვებულთა დროშები! ამასთან, გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ ბავშვებსაც და მოზრდილებსაც ბაძვა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებთ. რა თქმა უნდა, ამგვარი საკითხები დეტალურ ანალიზს საჭიროებს. და მაინც, თავს უფლებას მივცემთ, ხაზი გავუსვათ იმას, რომ საბავშვო გილიოტინასა და ომს შორის ოდენ მეტაფიზიკური ხასიათის განსხვავება არსებობს. ბავშვები მეტაფიზიკური არსებები არიან, მაგრამ ამ თვისებას ძალზე ადრეულ ასაკში კარგავენ, ზოგჯერ სწორედ მაშინ, როდესაც მეტყველებას იწყებენ.

შვიდი წლის ჯონ კიტსი (1795-1821) ენფილდის სკოლაში სწავლობდა. სანამ ლექსების წერას დაიწყებდა, ძალმომრეობისადმი ერთგვარი მიდრეკილება, ფეთქებადობა (რაც მის ეპოქას ახასიათებდა) - სჩვეოდა. საკმარისი იყო ნებისმიერი საბაბი, რომ მეგობარს წაკინკლავებოდა, კონფლიქტში ჩაბმულიყო.

კიტსისთვის კინკლაობა და ცემა-ტყეპა ქცევის ბუნებრივი ფორმა იყო. ის მეგობრობდა აგრესიულ, თავზეხელაღებულ ბიჭებთან, მაგრამ ჩვეულებრივი სისასტიკე - რომელიც იუმორის, ფანტაზიის ან კაპრიზის კარნახით არ იყო ჩადენილი -

ეროვნული

ნაკლებად იზიდავდა. კიტსი ფიცხი ბავშვი იყო და სცემა კლასის მამასახლისი, რომელიც მასზე ორჯერ უფრო მაღალი გახლდათ. ამის შემდეგ ჩხუბისთავის სახელი გაუვარდა. მისი მეგობრის, კლარკის თქმით, განრისხებული კიტსი წააგავდა ედმუნდ კინს - როდესაც ეს უკანასკნელი თავისი კარიერის ზენიტში იმყოფებოდა. მეგობრები მომავალ პოეტს უწინასწარმეტყველებდნენ ბრწყინვალე მომავალს სამხედრო სარბიელზე, მაგრამ ასაკთან ერთად კიტსი ისეთივე თვინიერი გახდა, როგორი მძვინვარეც იყო უწინ. ამასთან, მელანქოლიას უეცრად ენაცვლებოდა ნერვული სიცილის შეტევები. განწყობილებების სწრაფად ცვლა დასჩემდა.

ერთი წლით ადრე, სანამ კიტსი დატოვებდა ენფილდის სკოლას - გეორგიანული სტილის შენობას, რომელიც შემდგომ რკინიგზის სადგურად გადააკეთეს, ბოლოს კი დაანგრიეს - მან წიგნების სამყარო აღმოაჩინა. ის გაიტაცა ინკების ისტორიამ, კაპიტანი კუკის მოგზაურობებმა, რობინზონ კრუზოს თავგადასავალმა. კიტსი გატაცებით კითხულობდა ჯონ ლემპრიერის კლასიკური მითების ლექსიკონს, ათვალიერებდა ძველისძველი ქანდაკებების რეპროდუქციებს, ეცნობოდა ბერძნულ ლეგენდებსა და მითებს და, შეიძლება ითქვას, ანტიკურ ქალღმერთთა მკლავებში ნებივრობდა. ბაღებში სეირნობისას ყოველთვის თან დაჰქონდა ესა თუ ის წიგნი. არდადეგების დროს კითხულობდა ოვიდიუსის ინგლისურენოვან თარგმანებს. მეცნიერები საყვედურობენ კიტსს, ბერძნული ენა არ იცოდაო. თვით ლორდი ბაირონი ამბობდა, რომ კიტსმა მხოლოდ და მხოლოდ ლექსად გამართა ლემპრიერის ლექსიკონი. მერედა, რა? ბერძნულიდან თარგმნისას დაშვებული შეცდომები სულაც არ აკნინებს ჰოლდერლინის „არქიპელაგს", ხოლო ბერძნულ მოტივებზე კიტსის მიერ შექმნილმა პოეტურმა თხზულებებმა ალბიონის სივრცეებში კლასიკური ნანგრევების ხიბლი შეიტანა.

თავდაპირველად კიტსმა გადაწყვიტა, მედიცინას დაუფლებოდა - ისნავლა ნურბლების დასმა, კბილების ამოღება და ჭრილობების გაკერვა. ადამიანის აგებულებას ის აკვირდებოდა ანატომიურ მაგიდებზე, სადაც მესაფლავეებისგან სამ თუ ოთხი გინეად ნაყიდი გვამები ესვენა. შიშველი გვამები ტომრებით მოჰქონდათ.

კიტსი იწერდა თავის დაკვირვებებს და ამავე ფურცლებზე ხატავდა თავის ქალებს, ხილსა და ყვავილებს. მარტოობა აწუხებდა. მოწყენილობა კიტსთან ერთად დამკვიდრდა მის ნესტიან ოთახში. პოეტი ხშირად სტუმრობდა თავის ბიძაშვილებს - ენ და ქეროლაინ მეთიუს, რომლებისთვისაც უცხო იყო ახალგაზრდული ქარაფშუტობა. ქალიშვილები ფორტეპიანოს თანხლებით მღეროდნენ არიებს „დონ-ჟუანიდან". წვეულებებზე კადრილს ცეკვავდნენ. ამბობენ, რომ ჯონ კიტსის პირველი სიყვარული იყო უცნობი ქალი, რომლის მიმართ გრძნობა კიტსს ნახევარ საათში გაუჩნდა. ჭაბუკი ელოდა, რომ ქალი გაუღიმებდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა.

ჯონ სპერჯენს სურდა, კიტსისთვის სვედენბორგის მოძღვრება გაეცნო, ხოლო მეორე მეგობარმა, ჩარლზ კაუდენ კლარკმა შეიძინა კიდეც შვედი მოაზროვნის წიგნები. კლარკი კიტსზე რვა წლით უფროსი იყო. ამ ზორბა ტანის თმახშირ მამაკაცს ძალზე უყვარდა კრიკეტი, რომლის სახელმძღვანელოც დაწერა. ის აპირებდა, აგრეთვე, დაეწერა გამოკვლევები ჩოსერისა და შექსპირის შესახებ. კრიკეტს კიტსიც თამაშობდა.

1813 წლის ერთ საღამოს, ყველასთვის მოულოდნელად, ლექციაზე ედმუნდ სპენსერის შესახებ, კიტსი ახლებურად წარუდგა საზოგადოებას. ეს მინიატურული გარეგნობის ყმაწვილი ედმუნდ სპენსერის (მისი საყვარელი პოეტის) ლექსების ციტირებისას თითქოს სიმაღლეში გაიზარდა და ენერგიას ასხივებდა. თანამედროვეთა მოწმობით, ამ პერიოდში კიტსი სულმოუთქმელად კითხულობდა პოეტურ ნაწარმოებებს, წიგნებიდან იწერდა მათ და ცალკეულ სტროფებს განმარტავდა. თავის მეგობრებს ეუბნებოდა, რომ „პოეზია ერთადერთი რამაა, რაც ინტელექტუალის ყურადღებას იმსახურებს". ამის შემდეგ ის პოეზიის სამყაროში სამუდამოდ დასახლდა. „პოეტური სტილით" იცვამდა - გადმოკეცილ საყელოზე შავ ყელსახვევს იკეთებდა და მალე ულვაშებიც დაიმშვენა. როდესაც გამოცდის დღე დადგა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ კიტსის გარეგნობით გაღიზიანებული გამომცდელები ჩაჭრიდნენ მას, მაგრამ პოეტმა ნამდვილად მიიღო დიპლომი, რაც ფარმაცევტად მუშაობის უფლებას აძლევდა, მაგრამ მედიცინაზე მალე აიცრუა გული.

მხოლოდ ოცი წლისა იყო, როდესაც „ეგზამინერში" გამოაქვეყნა თავისი ლექსი „მარტოობისადმი".

შეუძლებელი გახლდათ, რომ კიტსის უჩვეულო პოეზიას მრავალი კეთილმოსურნე ან კრიტიკულად განწყობილი ადამიანის ყურადღება არ მიეპყრო. ლი ჰანტი, რომელიც მეფის წინააღმდეგ დაწერილი პასკვილის გამო დააპატიმრეს, იცავდა კიტსს, როდესაც პოეტი ამის უფლებას აძლევდა. ჯონ ჰამილტონ რეინოლდსი მას „ძმას" უწოდებდა. ჯოზეფ სევერნი კიტსის გამომეტყველების მიხედვით ხვდებოდა, როდის ეუფლებოდა პოეტს ექსტაზი - სევერნი ხომ მხატვარი იყო. მისი დაკვირვებით, კიტსს, ფართო მხრებთან შედარებით, ძალზე პატარა თავი ჰქონდა; აღგზნების დროს თვალები უელავდა, მშვიდ მდგომარეობაში კი უციმციმებდა. ისინი ერთად დადიოდნენ მუზეუმებში. კიტსმა გაიცნო ჩარლზ ბრაუნი, ჩარლზ დილკი, ბენჯამინ ბეილი, უილიამ ჰეზლიტი. შელი გულთბილად ეპყრობოდა მას. ბენჯამინ ჰეიდონი ესაუბრებოდა პართენონის ქანდაკებების შესახებ. ხელმოკლეობის გამო კიტსს საშუალება არ ჰქონდა, ემოგზაურა მსოფლიოს ქვეყნებში, მაგრამ მან ზურგჩანთაში ჩაალაგა ტანსაცმელი, წინდები, კალმები, ქაღალდი, მელანი, „ღვთაებრივი კომედიის" კერისეული თარგმანი, „იზაბელას" ხელნაწერი და თავის მეგობართან, მწერალ ჩარლზ არმიტიჯ ბრაუნთან ერთად გზას გაუდგა. მათ მთელი შოტლანდია მოიარეს. მოგზაურობისას კიტსს ტანსაცმელი შემოეფლითა, ფეხსაცმელი გაუცვდა, მაგრამ კმაყოფილი იყო, რომ ბენ ნევისის მთის დალაშქვრა შეძლო. უ.ბ. იეიტსის თქმით, უსახსრობის გამო კიტსს არ შეეძლო აეგო გოთიკური ციხედარბაზი (უილიამ ბეკფორდის მსგავსად), სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგიეროდ, საოცნებო კოშკებს თავის წარმოსახვაში აგებდა. იეიტსი, აგრეთვე, შენიშნავს, რომ კიტსი სრულფასოვნად არ იკვებებოდა და ფიზიკურად სუსტი იყო. სამაგიეროდ, მას, ისევე, როგორც ყველა პოეტს, შეეძლო იმით ენუგეშებინა თავი, რომ ზეცის მიერ იყო წარმოგზავნილი ამქვეყნად.

მეგობრების მოწმობით, კიტსი მომცრო ტანის ჭაბუკი იყო. თუმცა კი საკმაოდ ჩაფსკვნილი იყო. ფართო (შესაძლოა, ზედმეტად ფართო) მხარ-ბეჭთან შედარებით, მოკლე ფეხები ჰქონდა. ძლიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სწორად გაყოფილი ხშირი და ლამაზი წაბლისფერი თმა მძიმე კულულებად ეყარა მხრებზე. დამრეცი მაღალი შუბლი, ლამაზი ცხვირი, მაგრამ ფართო და ულაზათო პირი ჰქონდა. მსხვილი ქვედა ტუჩი მტკიცე გამომეტყველებას ანიჭებდა მის ოვალურ სახეს. ფართო შუბლი და ვიწრო ნიკაპი ოდნავ ქალური მოხაზულობისა ჰქონდა. მეგობრების აღიარებით, დიდრონი (რამდენადმე „პლებეური") ტუჩების მიუხედავად, კიტსი მოხდენილი ჭაბუკი გახლდათ. ზოგჯერ ისეთი შთაგონებული მზერა ჰქონდა, დელფოსის ქურუმი გეგონებოდათ.

ჰეიდონის აზრით, მხოლოდ მან შეძლო კიტსის სათანადოდ დაფასება - გარდა უორდსვორთისა, რომელიც პოეტს ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდა.

ბალხის გარემოცვაში კიტსი ძალზე ლაღად იქცეოდა. მოსწრებულ კალამბურებზე გულიანად და ხმამაღლა იცინოდა ხოლმე. ზოგჯერ ადამიანებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. თუ უგუნებოდ იყო, ფანჯარასთან მიდიოდა და მდუმარედ გაჰყურებდა სივრცეს. ფიქრებში წასულ პოეტს მეგობრები არ ეკარებოდნენ, რათა მისი მარტოობა არ დაერღვიათ.

იოჰან გოტფრიდ ჰერდერის თქმით, სახე სულის სარკეა. ასეთ შემთხვევაში უნდა დაგვაფიქროს იმან, რომ კიტსის სახეზე ერთმანეთს სწრაფად ენაცვლებოდა სხვადასხვა გამომეტყველება. სარკე ხომ, არსებითად, ცარიელია. მისი დანიშნულება მხოლოდ ასახვაა და სარკეში შეიძლება ნებისმიერი რამ აისახოს. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ, თეოლოგიური თვალსაზრისით, *ჭეშმარიტი მშვენიერება განუყოფელია სიცარიელისგან, არარასგან.* ალბათ, ამიტომ იყო, რომ კიტსს არ შეეძლო განეჭვრიტა და განესაზღვრა საკუთარი „მე"-ს არსი; მერყევი და ცვალებადი ბუნება ჰქონდა და ამიტომ უდიდეს სიამოვნებას აგრძნობინებდა დანტეს „ჯოჯოხეთის" მეხუთე ქების სტრიქონები: „დაჰქრის არაეი ჯოჯოხეთის დაუცხრომელი / და ქროლვა იგი თან იტაცებს ამ ბედშავ სულებს, / აფორიაქებს, აბურთავებს და ათამაშებს". თვითონაც ხომ ამ „ბედშავ სულებს" წააგავდა.

ზოგიერთის აზრით, ჯოზეფ სევერნისეული პორტრეტი არაზუსტია. პოეტის მეგობრები ფიქრობდნენ, რომ სურათზე კიტსს ძალზე ქალური გარეგნობა აქვს, რასაც ხაზს უსვამს მისი მთრთოლვარე ტუჩები, თუმცა, სხივიანი თვალების გამომეტყველება ზუსტადაა გადმოცემული. პოეტის მზერა მიმართულია ზევით, მაგრამ ცისკენ კი არა - ჩამუქებული ჰორიზონტისკენ. თვალის გუგები ოდნავ გაფართოებულია. მზერა გრძნობიერი და ფიქრიანი. პოეტს ფანატიკოსის შუბლი აქვს. ერთი შეხედვით, მართლაც ქალს წააგავს, მაგრამ თუ ყურადღებით დააკვირდებით, შეამჩნევთ, რაოდენ მკაცრი და შეუპოვარი გამომეტყველება აქვს იდუმალი ხილვების ამ მარადიულ ვიზიონერს.

ჰეიდონის სტუდიაში კიტსმა ერთხელ წაიკითხა „ჰიმნი პანისადმი". აქ მას ყურადღებით უსმენდა უორდსვორთი, რომელსაც, ჩვეულებისამებრ, ხელები მკერდზე ჰქონდა გადაჯვარედინებული. მონიწებითო, დააწერა მან თავისი ლექსების კრებულს, რომელიც კიტსს აჩუქა და მართლაც მოწიწებით ეკიდებოდა პოეზიას. ერთხელ უორდსვორთის ცოლმა თქვა, ვერავინ ბედავს, მისტერ უორდსვორთს სიტყვა გააწყვეტინოსო. მიუხედავად ამისა, კიტსი გაკადნიერდა და უორდსვორთის თანდასწრებით წაიკითხა თავისი ლექსი. თან დინჯად ბოლთას სცემდა ოთახში. მრავლისმეტყველი დუმილი ჩამოვარდა. „რა ზუსტადაა გადმოცემული წარმართობის ხიბლი",- წარმოთქვა უორდსვორთმა. ხელები კვლავ მკერდზე ჰქონდა გადაჯვარედინებული. ჰეიდონი შეაწუხა უორდსვორთის უტაქტობამ და აღაშფოთა სიტყვა „წარმართობამ". მაგრამ, მაგალითად, მისტერ ეკჰარტი წარმართობის ეპოქის ხელოვანთა ქმნილებებს უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე - პავლე მოციქულის ეპისტოლეებს და მათი ღირსებები ისეთსავე პატივისცემას იმსახურებენ, როგორც მოციქულები - სათნოების გამო.

რაც შეეხება ქალებს, ზოგიერთი მათგანი კიტსის ყურადღებას იპყრობდა. ერთ-ერთ მათგანს, მის კოქსს - ინგლისურ-ინდური წარმომავლობის მდიდარ ქალბატონს - აღმოსავლური გარეგნობა ჰქონდა, რის გამოც რეინოლდსის დები სასაცილოდ იგდებდნენ. ერთხელ მისი ხატება კიტსს მთელი ღამის განმავლობაში ელანდებოდა. „ამ დედოფლური გარეგნობის მქონე ქალის მიერ წარმოთქმული „ჰო" ან „არა" უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს," - აღიარებდა პოეტი.

იზაბელა ჯონსი კიტსზე რამდენიმე წლით უფროსი გახლდათ. „ენდიმიონი" წაკითხული ჰქონდა. კიტსმა იზაბელა გაიცნო ჰასტინგსის მახლობლად, სოფელ ბო-პიპში, სადაც ქალი თავის ხანდაზმულ ირლანდიელ ნათესავს სტუმრობდა. ბიოგრაფებს აინტერესებთ: კიტსი და იზაბელა ჯონსი მხოლოდ სეირნობდნენ, ჩაის შეექცეოდნენ და გვიანობამდე თამაშობდნენ ვისტს, თუ მათ ინტიმური ურთიერთობაც აკავშირებდათ? მკვლევართა უმეტესობის აზრით, მეორე ვარაუდი უფრო სარწმუნოა.

იმ ახალგაზრდა ქალის ვინაობას, რომელიც კიტსის მომდევნო გატაცება გახლდათ, პოეტი ერთხანს საიდუმლოდ ინახავდა. ამ ქალის არსებობასაც კი არ უმჟღავნებდა არავის. ფანი ბრონი რაინდების, ბერებისა და ადვოკატების შთამომავალი იყო. დედამისი მშობლების ნება-სურვილის წინააღმდეგ გათხოვდა - ისევე, როგორც კიტსის დედა. ფანის დეიდაშვილი თვით ბო ბრამელი

[ჯორჯ ბრაიან ბრამელი (1778-1840) - ცნობილი ინგლისელი დენდი, მეფე გეორგ IV-ის ახლო მეგობარი.]

ეროვნული ბიბლიოთეკა




გახლდათ. ფანის წინაპრებს შორის იყვნენ გარიკის თეატრის მსახიობები, რომელთაგანაც მას მემკვიდრეობით გადაეცა სიყვარული თეატრისადმი. მისი ბაბუა ქალთა ემანსიპაციისთვის იბრძოდა. თანამედროვეთა აზრით, ფანი სილამაზით არ გამოირჩეოდა, მაგრამ დახვეწილი გარეგნობა ჰქონდა - ძალზე თხელი და არწივისებრი ფორმის ცხვირი, მოგრძო და ყოველთვის ფერმკრთალი სახე. ლოყები ხანგრძლივი სეირნობის შემდეგაც კი არ უვარდისფრდებოდა. ქალთა სილამაზის ისტორიაში ხშირად გვხვდება უარყოფითი შეფასებები. დებზე ბრონტეების შესახებ ჰყვებიან, რომ გარეგნულად ისინი არაფრით გამოირჩეოდნენ, ისევე, როგორც ემილი დიკინსონი - როგორც ჩანს, სულიერი სილამაზე მამაკაცებისთვის მიმზიდველი სულაც არაა. პირველი შეხვედრიდან დაწყებული, კიტსი ხშირად ესაუბრებოდა ფანის, რომელსაც, საერთოდ, მამაკაცები ბრიყვებად მიაჩნდა. თავისი თაეის შესახებ დღიურში წერდა, რომ მოკრძალებული სულაც არ იყო. ფანი ფრანგულად ესაუბრებოდა ემიგრანტებს ჰემპსტედის კოლონიაში, ოფიცრებთან ცეკვავდა ყაზარმებში. გარეგნულად მეთვრამეტე საუკუნის მოდას ბაძავდა და კარლ მეორის დროინდელი ქალებივით იხვევდა თმას. ცეცხლოვანი ტემპერამენტი ჰქონდა. ფანისადმი მიწერილ ბარათებს კიტსი სიმებგაწყვეტილ ბერძნულ ლირას ახატავდა და აწერდა: *Qui me néglige me désole* (მას, ვინც, სამწუხაროდ, გულგრილია ჩემ მიმართ). ერთხელ ფანის სახლისკენ მიმავალი კიტსი შეხვდა მამაკაცს, რომელსაც თვალებში უცნაური ცეცხლი უელავდა და დაცემულ ანგელოზს ნაავავდა. მა… იცნო კოლრიჯი. პოეტებმა ერთად განაგრძეს გზა და საუბრობდნენ ბულბულებისა და ოცნებების შესახებ.

„ეს სისხლი ჩემი სასიკვდილო განაჩენია“ - მშვიდად თქვა კიტსმა 1820 წლის 3 თებერვალს. მის მომავალი ქურუმის მიერ არ იყო ნაწინასწარმეტყველები, არამედ - თვით პოეტ-მედიკოსის მიერ, რომლის ლექსებში აღწერილი იყო სიკვდილის სტიქიაში განზავების სიტკბო. იმ ენერგიით, რომლითაც ის ოდესღაც ეუფლებოდა ანატომიას, კიტსი საგულდაგულოდ ათვალიერებდა ცხვირსახოცზე დაჩნეულ სისხლის ლაქებს. ეჩვენებოდა, რომ სულ ეხუთებოდა. მხოლოდ თეთრად გათენებული რამდენიმე მტანჯველი ღამის შემდეგ იძინებდა. მესამე დღეს გამოკეთდა, შეძლო სტუმრების მიღება და წაიკითხა გაზეთი, რომელშიც იუწყებოდნენ გეორგ მესამის სიკვდილის შესახებ. იმავე დღეს კიტსი ექიმმა როდმა გასინჯა, აღნიშნა, მდგომარეობა გაუარესებული არ არისო და პაციენტს ურჩია, არ გადაღლილიყო, ძალ-ღონე დაეზოგა. მისი ვარაუდით, სისხლდენის მიზეზი უნდა ყოფილიყო ორგანიზმის ბრძოლა ქოლერის ვირუსთან, რომლითაც კიტსის ძმა, ჯორჯი იყო დაავადებული. კიტსს ასმევდნენ მოცხარის ლაბას და კომპოტს, რომელთა წვეთებ… ეცემოდა ბენ ჯონსონის ლექსების პირველ გამოცემას. ამგვარმა შეზღუდულმა დიეტამ გულისცემის გახშირება გამოიწვია. გამოიძახეს სპეციალისტი - ექიმი ბრი, რომელმაც ამ სიმპტომის ვერავითარი ორგანული მიზეზი ვერ აღმოაჩინა. კიტსს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაავადება „მის თავშიაო“, დაასკვნა ექიმმა. პოეტს მთელი დღეების განმავლობაში ტანჯავდა ფანის აჩრდილი, რომელიც ხან მწყემსი გოგონას ტანისამოსით, ხან კი - სამეჯლისო კაბით ეცხადებოდა, როკავდა და იცინოდა.

22 ივნისის დილას კიტსს მსუბუქი სისხლდენა ჰქონდა. ნაშუადღევს ის ჰანტებს ესტუმრა ჩაის დასალევად. იქ იტალიელი ტენორის შესახებ საუბრობდნენ. სტუმრებს შორის იმყოფებოდა ქალბატონი, რომელიც გაოგნებული იყო იმით, რომ ეს ახალგაზრდა კაცი „ენდიმიონის“ ავტორი გახლდათ. საღამოს კიტსს სისხლდენა გაუძლიერდა.

ოცდასამი წლის კიტსი საწოლს იყო მიჯაჭვული. ფანისთან შეხვედრის საშუალება არა ჰქონდა და საათობით უმზერდა მაგიდაზე დადგმულ ყვავილებიან ლარნაკს. ლაპარაკი უჭირდა. მან მონიშნა თავისი საყვარელი ლექსები ედმუნდ სპენსერის ტომში - აპირებდა, ეს წიგნი ფანისთვის ეჩუქებინა. ექიმმა დარლინგმა კიტსს ურჩია, იტალიაში გამგზავრებულიყო. პოეტის ძარღვებდაბერილი ხელები მოხუცის კიდურებს წააგავდა. სახის ნაკვთები უკვე შეეცვალა - სწორედ ასე დაემართა მის ძმას, ტომსაც, სიკვდილის წინ. გაძვალტყავებულ თითებს ბრაზით ურტყამდა თავისი წიგნის პირველ ეგზემპლარზე. წინათქმაში გამომცემელი მკითხველებს ბოდიშს უხდიდა იმის გამო, რომ „ჰიპერიონი“ დასრულებული არ იყო. პირში უსიამოვნო გემოს გრძნობდა. პირველ ივლისს მან ბრაუნს დაუბარა, თუ მოვკვდები, ლოკჰარტზე შური იძიეო. სწორედ ლოკჰარტმა დაწერა შეურაცხმყოფელი სტატია კიტსის შესახებ, სადაც გადმოცემული იყო ჭორები და პოეტის პირადი ცხოვრების ინტიმური დეტალები. სტატია ანონიმური გახლდათ, მაგრამ კიტსმა დაადგინა მტრის ვინაობა.

კიტსს სურდა ადამიანებს გასცლოდა და მარტოობაში შეხვედროდა სიკვდილს. შემდეგ მოინდომა, ბრაუნი ხლებოდა თან. მაგრამ ბოლოს გადაწყვიტა, რომში სევერნთან ერთად გამგზავრებულიყო. ოც აგვისტოს ის კვლავ შეუძლოდ გახდა - სისხლდენამ შეაწუხა. მეგობრებმა კიტსი ნავსადგურში გააცილეს. მომაკვდავთან დამშვიდობება ძალზე გაუჭირდათ. თავდაპირველად ჰეიდონი ალაპარაკდა. პოეტის სანუგეშებლად მან დაიწყო მსჯელობა იმის შესახებ, სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე გრძელდება. კიტსი ძალზე გაღიზიანდა და რისხვით მიუგო, რომ თუ სწრაფად არ გამოჯანსაღდებოდა, თავის მოკვლას ამჯობინებდა. ჯონ ჰამილტონ რეინოლდსს გული აუჩუყდა და ვერ შეძლო, მეგობრისთვის ხელი ჩამოერთმია. რეინოლდსმა მისწერა ჯონ ტეილორს, რომ გაახარა კიტსის გამგზავრებამ და რომ პოეტს უეჭველ სარგებლობას მოუტანდა პატივმოყვარე და ღვარძლიან ლი ჰანტთან დაშორება. ამავე დღეებში ფანიმ თავის დღიურში ჩაწერა: „მისტერ კიტსი ტოვებს ჰემპსტედს“. გამგზავრებამდე კიტსმა გაუგზავნა ქალს სევერნისეული მინიატურა, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, სპენსერის ლექსთა კრებული და შექსპირის ტომი ინ-ფოლიო. მათ ერთმანეთს გაუცვალეს თმის კულულები და ბეჭდები. ფანიმ კიტსის სამგზავრო ქუდს აბრეშუმის სარჩული ამოაკრა და აჩუქა პოეტს თავისი დღიური და დანა. ვუდჰაუსმაც გადასცა კიტსს თავისი თმის კულული. მას სურდა, კიტსის მიმართ იგივე როლი შეესრულებინა, რომელიც იკისრა ჯეიმს ბოსუელმა სემიუელ ჯონსონის მიმართ. გემი „მარია კრაუზერი“ დაიძრა. ეს იყო მომცრო გემი და როდესაც ზღვა აღელდა, მალე მიეფარა თვალს.

გემზე მხოლოდ ერთი ექვსადგილიანი კაიუტა იყო. კიტსის თანამგზავრები გახლდნენ სქელ-სქელი, ხალისიანი ლედი პიჯონი და მისის კოტრელი, რომელიც ჭლექით იყო დაავადებული. ლონდონში ტიფის ეპიდემია მძვინვარებდა. ამიტომ გემი ერთხანს იმყოფებოდა კარანტინში, რომელიც 31 ოქტომბერს (კიტსის დაბადების დღეს) დასრულდა. როდესაც ნეაპოლში მისის კოტრელი გემიდან გადმოვიდა, მან იკითხა (შესაძლოა, ძალზე ხმამაღლა), როგორ გრძნობს თავს მომაკვდავი ჭაბუკიო. რომში თხუთმეტ ნოემბერს ჩავიდნენ. აქ კიტსს ელოდებოდა ექიმი კლარკი, რომელსაც დიდად აფასებდნენ ბელგიის მეფე და დედოფალი ვიქტორია. როდესაც კლარკმა კიტსი გასინჯა, გულისა და ფილტვების მდგომარეობაზე უფრო სერიოზულ სიმპტომად მიიჩნია კუჭის დაავადება, რაც, მისი აზრით, გონებრივი გადაღლის შედეგი გახლდათ. ექიმმა ურჩია კიტსს, გადაეყარა წამლები, ხშირად ესეირნა სუფთა ჰაერზე და ცხენით ეჯირითა. მანვე დააქირავებინა კიტსს ცხენი თვეში ექვს გირვანქა სტერლინგად. სახლის მეპატრონემ ანა ანჯელეტიმ ქირად ხუთი გირვანქა სტერლინგი ითხოვა. კიტსმა შეიძინა პიანინო და კლარკმა მას აჩუქა რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოების - მათ შორის ჰაიდნის სონატის - ნოტები. თავდაპირველად კიტსს უხეირო კერძებს უმზადებდნენ. ერთხელ კიტსმა კერძს ფანჯარაში გადაუძახა. ამის შემდეგ მას შესანიშნავად კვებავდნენ.

პოეტმა დაიწყო ალფიერის ერთ-ერთი ტრაგედიის კითხვა, მაგრამ მალე იძულებული გახდა, კითხვა შეეწყვიტა, რადგან წაკითხულს მძაფრად განიცდიდა. მან გამოსამშვიდობებელი წერილი მისწერა ბრაუნს. ათ დეკემბერს, სისხლდენის შემდეგ, სევერნს სთხოვა, ლაუდანუმი ეყიდა მისთვის. მომდევნო კვირას პოეტის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. კიტსი შიმშილისგან იტანჯებოდა, რადგან საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადების გამო კლარკმა მკაცრი დიეტა დაუნიშნა - თევზის მომცრო ულუფა და ერთი ნაჭერი პური დღეში. კიტსი საკვებს ითხოვდა. უძილობა აწუხებდა. ეჭვობდა, რომ ლონდონში ვიღაცამ მოწამლა. მსახურები მის ოთახში არ შედიოდნენ - შიშობდნენ, დაავადება გადამდები ხომ არ იყოსო. არისო. შობადღეს კიტსს ისეთი სასოწარკვეთილება დაეუფლა, რომ სევერნი მიხვდა - მის მეგობარს „სიკვდილის შიში აწამებდა“. როგორც ღრმადმორწმუნე ქრისტიანი, სევერნი არწმუნებდა კიტსს, რომ ამ ტანჯვით ცოდვებს გამოისყიდიდა. კიტსმა მას უკარნახა ნუსხა წიგნებისა, რომელთა წაკითხვაც სურდა: ბენიანის „პილიგრიმის გზა“, ჯერემი ტეილორის „უბიწო სიცოცხლე“ და „უბიწო სიკვდილი, აგრეთვე - პლატონის თხზულებები.

დეკემბრის ბოლოს სახლის დიასახლისმა პოლიციას აცნობა კიტსის ავადმყოფობის შესახებ. სე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვერნი აღარ ხატავდა ანტიკური ეპოქის შენობათა ნანგრევებს - კიტსს გვერდიდან არ შორდებოდა. ერთხელ, როდესაც კიტსს ჩაეძინა, სევერნმა დახატა თავისი მეგობარი: პორტრეტზე კიტსს ბალიშზე უდევს თავი, თვალები დაუხუჭავს, ოფლისგან დაცვარულ შუბლზე თმის კულულები მისწებებია. სევერნმა ჩაიწერა კიტსის ანდერძი. ხვდებოდა, რომ მისი მეგობარი დიდი პოეტი იყო. შესაძლოა, იმასაც ვარაუდობდა, რომ ერთ დღეს კიტსის გვერდით დაასაფლავებდნენ. მან დაათვალიერა პროტესტანტული სასაფლაო ცესტიუსის პირამიდის მახლობლად, სადაც მიწა იებით იყო მოფენილი. გაიფიქრა, რომ კიტსს ეს ადგილი მოეწონებოდა და, ალბათ, იგრძნობდა, როდესაც მის საფლავზე იები აყვავდებოდა. პოეტს ხომ განსაკუთრებით უყვარდა ეს ყვავილი. სევერნმა მეგობარს ზამთრის ვარდი მიუტანა. კიტსმა ყვავილს პირქუშად შეავლო თვალი და ამოიოხრა: „ვიმედოვნებ, გაზაფხულზე ცოცხალი აღარ ვიქნები". ის ოცნებობდა იმაზე, რასაც თავის უკანასკნელ წერილში „სიკვდილის შემდგომი არსებობა" უწოდა. მისი საფლავის ქვაზე წარწერილია: „აქ განისვენებს ის, ვისი სახელიც წყალზე დაიწერა". მისი - მოკვდავი პოეტის მიერ შექმნილი - პოეზია, ამავე დროს, ხელთუქმნელია. რა უცნაური ასიმეტრიაა.

სანოლზე გაშოტილი პოეტი უმზერდა ვარდის გამოსახულებებს ჭერის ლურჯ ფილებზე. დროდადრო ბოდავდა. მან შეამზადა სევერნი თავისი სიკვდილისათვის. კითხულობდა, მოვიდა თუ არა ვინმე მის სანახავად. ანუგეშებდა სევერნს და ეუბნებოდა, აგონია დიდხანს არ გაგრძელდება და კრუნჩხვების გარეშე ჩაივლისო. სიკვდილს ესწრაფოდა. ოცდასამ თებერვალს დაიჩივლა იმის გამო, რომ სევერნის ცივი სუნთქვის გამო აჟრჟოლებდა. კვლავ ცდილობდა ენუგეშებინა მეგობარი. ოთახში მწუარი ჩამოწვა. ავადმყოფის სუნთქვის ხმა შეწყდა. აუტოპსიის შემდეგ კლარკმა განაცხადა, რომ უკვირდა, როგორ იცოცხლა კიტსმა ამდენ ხანს. ფანის ბოლო წერილები, რომლებიც არავის წაუკითხავს, გარდაცვლილ პოეტს კუბოში თან ჩააყოლეს. დაკრძალვის შემდეგ მის ბინას (პიაცა სპანიაზე) პოლიცია დაეპატრონა. პოლიციელებმა კედლები ჩამოფხიკეს, იატაკი აყარეს და მთელი ავეჯი დაწვეს.

© The New York Review of Books
December 3, 2017

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაბა ზარქუა

# ნეხვიდან ნულ სიმაღლეზე

***მშვიდობით გარი კუპერ, რომენ გარი,***
***ფრანგულიდან თარგმნა მზია გომელაურმა, თბილისი, „აგორა“. 2017***




ჯანდაბა, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ უფრო ირონიულად ვუყურებ ჩვენს ინდუსტრიულ ყოფას. თბილისში ჰაერი არაა, გასაქცევი ადგილი არაა, ვერ ვსუნთქავთ, ვიხრჩობით... მე კი მთელ ამ ისტერიკას უფრო მძაფრად სარკასტულად აღვიქვამ. მართლა და მართლა, რას უნდა ველოდეთ სხვას ქალაქისგან, რომელიც ნეხვიდან ნულ სიმაღლეზე მდებარეობს? რომენ გარის წიგნის, „მშვიდობით გარი კუპერ“ შესახებ მოგახსენებთ, რამე არ გეგონოთ.

ზოგადად, ძალიანაც რაციონალური და პრაგმატული ადამიანი ვარ, მაგრამ ხშირად აუხსნელი რამეებისა მაინც მწამს, მაგალითად ინტუიციის. არ ვიცი სხვა რას დავაბრალო ის ფაქტი, რომ მაგიდაზე მედო ორი წიგნი - „დაპირება განთიადისას“ და „მშვიდობით გარი კუპერ“ და ამ ორიდან პირველი ავირჩიე წასაკითხად. ცხადია, ამ დიდი მისტიფიკატორი ავტორის შესახებ მსმენოდა აქამდეც, მაგრამ მის ლიტერატურას არ ვიცნობდი. ჰოდა, ძალიანაც გამიმართლა, რომ ჯერ „დაპირება განთიადისას“ წავიკითხე, იმიტომ, რომ სწორედ ესაა დასაწყისი, ანუ პრობლემის დეტალური აღწერა. „მშვიდობით გარი კუპერ“ კი უკვე აღწერილი პრობლემიდან გამოსავალია. მე, როგორც ექიმი, საკითხის ამგვარად დალაგების მომხრე გახლავართ და ისე სასიამოვნოდ გაოცებული ვიყავი მეორე წიგნის კითხვისას რომ დალაგდა ყველაფერი ჩემს ტვინში, მინდა თქვენც ამგვარი ტაქტიკის არჩევა გირჩიოთ.

„დაპირება განთიადისას“ არის ბიჭისა და დედის ურთიერთობის შესახებ. სპეციალურად არ ვთქვი ასე: „ეს არის ავტობიოგრაფიული რომანი, სადაც ავტორი ცდილობს...“, მოდით, გავამარტივოთ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხი და მხოლოდ ზოგად ფიგურებს მივაქციოთ ყურადღება - ბიჭს და დედას. აბსოლუტურად მანიაკალურია ამ ორი ადამიანის დამოკიდებულება. დედა ცდას არ აკლებს, რომ ბიჭი ნამდვილ მამაკაცად გაზარდოს, ალფა-მამრად. ისე, კონტექსტი რამდენს ნიშნავს, თორემ დღევანდელობაში ამგვარი ურთიერთობის წარმოჩენა ალბათ უფრო კომიკურ ელფერს შეიძენდა (ვითომ?), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო ომის პერიოდს ეხება წიგნში განვითარებული სიუჟეტი, საქმე სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება - ეპოქა ითხოვდა ალფა-მამრებს. სისხლიანი და სასტიკი დროება ადამიანთა ტვინებს იმგვარად მომართავდა, რომ მამაკაცი ან მოსიარულე ტესტოსტერონი უნდა ყოფილიყო, ანდაც გვამი. ეს დაკვეთა კი მნიშვნელოვნად ცვლიდა ადამიანთა ტვინებს. ისე, რომ დავუკვირდეთ, რა კარგად არის გამოსახული ეპოქის ზეგავლენა ტვინებზე. წიგნში დახატული დედა ნამდვილი პარანოიკია. საღ ჭკუაზე არ არის. იმდენად შეშლილია შვილის ნამდვილ კაცად გაზრდაზე, რომ ალაგ-ალაგ ეჭვითაც ვკითხულობდი, ძალიან გაბუქებულიც ხომ არ არის ეს ყოველივე-მეთქი. არადა, არაფერს აბუქებდა გარი - მარტო ის ეპიზოდი რად ღირს, ბიჭს რომ დედას აგინებენ და დედამისი ამის გაგონებაზე დაღონდება და ეუბნება, რომ დაე საკაცით მოგიყვანონ მეორედ ასეთ დროსო. რამხელა პარადოქსია - ქალი, რომელიც ერთი შეხედვით ცივ ნიავს არ აკარებდა თავის ბიჭუნას, სასიკვდილოდ იმეტებდა, თუ საქმე მის ღირსებას შეეხებოდა. შესაძლებელია საერთოდ ბუნების წინააღმდეგ ამგვარი ამბოხი? დედას ხომ ყველანაირი შვილი უყვარს, ულირსიცა და მოღალატეც, ხალხისაგან განდევნილიც და შერცხვენილიც, განა დასაშვებია ვარიანტი, რომ ულირს შვილს მკვდარი შვილი ერჩივნოს დედას? აბა, ამაზე ზუსტ პასუხს ვინ გაგვცემს, მაგრამ ფაქტი იყო, რომ ბიჭუნას დედას ასე ერჩივნა და აქ ჩანდა ამ ურთიერთობის მანიაკალურობა ყველაზე კარგად - ამბოხი ბუნებრივი ინსტინქტების წინააღმდეგ.

ეპოქის მთელი ტრაგიკულობის გასათავისებლად დედის პერსონაჟი იდეალურია. რა კარგად აქვს აღწერილი მწერალს, თუ როგორ გაარეკინა ეპოქის გულისთქმამ ამ პერსონაჟს და როგორ ზეადამიანად თუ ანტიადამიანად, თუ რაღაცნაირ გვერდზე მდგომ ადამიანად აქცია ის. მორალური კრიტერიუმებით ნუ ვიმსჯელებთ. აქ საქმე არა გვაქვს კარგთან და ცუდთან, როგორც დიდი ლიტერატურის კითხვის დროს ხდება ხოლმე ძირითადად. აქ საქმე გვაქვს ერთი ადამიანის მაგალითზე ეპოქის მოცემულობის ძალიან ზუსტ და შემზარავ ასახვასთან, რაც ავტორმა იდეალურად მოახერხა. კარგით, გავეშვათ ავტორს და დავუბრუნდეთ პერსონაჟს, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ ასევე ავტორიცაა.

რა არის პერსონაჟის რეაქცია? გაქცევა? ამბოხი? პროტესტი? არავითარ შემთხვევაში. სრული მორჩილებაა პერსონაჟის პასუხი. ბიჭუნას ცხოვრების უმთავრესი მიზანია დედის იმედების გამართლება, თითქოს კეისარს კეისრისა უნდა მიაგოს, თითქოს თავისი დანწყევლილი ცხოვრება ეპოქის სამსხვერპლოზე უნდა მიიტანოს მშვიდად და აუღელ-ვებლად. ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც დედ- უნდა და მკითხველები ვუყურებთ ამ არანორმა- ლურ ურთიერთობას და ვხვდებით, რომ სხვანაი- რად ვერც მოხდებოდა, სხვა სცენარის შანსი არ იყო. ეს არაბუნებრივი მიჯაჭვულობა და გადახ- ლართულობა ძალიანაც ბუნებრივად გვეჩვენება აბსოლუტური მასკულინურობისაკენ მიმავალ ა აუღელვებელი მორჩილებით მორთულ გზაზე იბა- დება ავტორიც, როგორც პროცესების გვერდით მოვლენა. ავტორის დაბადება ისე უმნიშვნელოდ არის ერთ-ერთ არაფრით გამორჩეულ ეპიზოდში მოცემული, რომ დაკვირვებული მკითხველის ყუ- რადღებას თუ მიიპყრობს მხოლოდ. რაღაცნაირად გამიხარდა კიდეც, რომ ჩავავლე. იმ ეპიზოდზე მო- გახსენებთ, როცა ჯარში გაწვეულმა ბიჭუნამ ლე- ტენანტის წოდება უნდა მიიღოს. სხვანაირად წარ- მოუდგენელია! დედას უნდა, შვილი ლეიტენანტი ჰყავდეს, სხვა ვარიანტი არ განიხილება. ჰოდა, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, არ ანიჭებენ ამ წოდებას ბიჭს. არადა, სხვებს მიანიჭეს. და რა ხდება ამ დროს? ამ დროს ბიჭუნაში იღვიძებს ნამდვილი ავტორი და სიტუაციიდან ისეთი ლამაზი ალტერნატიული რეა- ლობის შექმნით იძვრენს თავს, რომ ლეიტენანტის წოდების მინიჭებაზე უკეთესი რამ გამოსდის. ის დედას სწერს, რომ ერთ-ერთი სამხედრო მაღალჩი- ნოსნის ცოლი აცდუნა, ერთი-ორჯერ კარგა გვარი- ანადაც გაჟიმა, როგორც ნამდვილ გაუმაძღარ მამრს შეჰფერის და თურმე ნუ იტყვით, ეს ამბავი ამ ქა- ლის ქმრის ყურამდე მისულა და ძალიან გაუბრაზე- ბია. შესაბამისად, შურისძიებით აღვსილ სამხედრო მაღალჩინოსანს ეს ახალგაზრდა და დაუდგრომე- ლი ჯარისკაცი ამგვარად დაუსჯია - სამასი კაცი- დან მხოლოდ მისთვის არ მიუნიჭებია წოდება, წარ- მოგიდგენიათ? სამასიდან მხოლოდ ის გამოურჩე- ვია! იდეალურია, განა რა არის მწერლობა ამაზე მეტი? ნამდვილი მამაკაცობისკენ მიმავალ რთულ გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეფერხებისას ბიჭუნამ ისეთი ისტორია გამოიგონა, როგორიც ნამდვილ მამაკაცს შეჰფერის და თავი ღირსეულად დაიძვრინა. რამდენი დეტალი ჩადო ამ ისტორიაში, რომ დედას ეს ამბავი არათუ სწყენოდა, არამედ გახარებოდა კიდეც.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, როგორც ავტორი ერთგან ამბობს, ჭიპლარი არ გაწყვეტილაო, ან ზუსტად ესაა ამ წიგნის აღწერილობა. სწორედ ამიტომ გეჩვენება კითხვისას თან ბუნებრივი და თან არაბუნებრივი, თან ადამიანური და თან არაადამიანური, თან ნორმალური და თან მანიაკალური. ეს ორი პერსონაჟი ხომ თითქოს ისე მოქმედებს, როგორც ეპოქა ითხოვს, მაგრამ ამავდროულად ეპოქისგან თავის დაძვრენასაც ამ ჭიპლარის შენარჩუნებით ახერხებენ. ბოლოს კი მთლად ისე ვითარდება ყოველივე, რომ აღმოჩნდება, დროზე მაღლაც კი ახერხებენ დგომას. ჰო, დედა-შვილი ასე ამარცხებს მტარვალ დროებას, რომელიც თითქოს ყოველივეს განსაზღვრავს.

იმას მოგახსენებდით,ძალიან გამიმართლა ჯერ რომ „დაპირება განთიადისას“ წავიკითხე-მეთქი, რადგან აქ ვნახე კრიზისის პირას მისული ტოტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური მასკულინობა, რომელიც უკანასკნელ სისხლს ღვრიდა მეორე მსოფლიო ომში. ომი დამთავრდა, როგორც ნებისმიერი ომი კაცობრიობის ისტორიაში და დაიწყო ახალი დროება ახალი გმირებითა და ადამიანებით.

ჯერ ის გავიგოთ, ვინ ჯანდაბაა გარი კუპერი. ამერიკელი მსახიობი ყოფილა. რომ დაგუგლოთ, ამოგიგდებთ უზადო გარეგნობის მქონე ნამდვილ მამაკაცს, რომლის ყველა ნაკვთიდან იკითხება დიდი თავდაჯერებულობა საკუთარ მამაკაცურ ძალებში. მუნჯი კინოს ვარსკვლავი ველური დასავლეთიდან, კოვბოის ქუდითა და ისეთი მზერით, როგორსაც ჰოლივუდში ასწავლიდნენ კაცებს მაშინაც და ახლაც. მოკლედ, ალბათ იმდროინდელი ქალების დიდი გულთამპყრობელი და ერთგვარი სექსსიმბოლო. მოგატყუებთ თუ გეტყვით, თითქოს მეტი რამ ვიცოდე გარი კუპერის შესახებ. ასი წელი არ დავგუგლავდი, რომ არა ეს სრულიად არანორმალური რომანი.

საქმე იმაშია, რომ გარი კუპერს ამსგავსებენ ლენის და ეს ლენი კი როგორი ვინმეა იცით? ქართულ ჟარგონში დამკვიდრებული რუსული სიტყვა რომ შეესაბამება ყველაზე უკეთ - პოხუისტი და თან მშიშარაც, პრინციპში, რადგან გაიქცა. ამერიკიდან გამოაღწია, თავისნაირ შეშლილებს დაუმეგობრდა და ძირითადად 2000 მეტრის ზემოთაა თავისი განუყოფელი თხილამურებით. წიგნის პირველი თავი ისეთია, ბარე ორ პირველ თავს ვერ გავიხსენებ ასე მიმზიდველსა და ლამაზს. სრული არეულობა და ომის შემდგომი სამყაროს მაჯისცემა იდეალურადაა გადმოცემული. ერთის მხრივ დემოგრაფიული ზუზუნი 2000 მეტრს ქვემოთ და მეორე მხრივ ეული შეშლილები, რომლებიც გაექცნენ სტატისტიკას და ასე უთავბოლოდ დაეხეტებიან თეთრ, ქათქათა და წმინდა თოვლში, რომელიც ჯერ კიდევ არ შეუბღალავს დემოგრაფიას. ამ სიტყვას უკვე მეორედ ვახსენებ და თითქოს მთლად მნიშვნელობის მიხედვითაც არა, არა უშავს - წაიკითხავთ წიგნს და თავად მიხვდებით რაშიცაა საქმე. აქ სიტყვებს თითქოს მნიშვნელობები აქვს გამოცლილი და სიმბოლოებად არიან ქცეულები, რაღაც სხვა სათქმელს გამოხატავენ, ვიდრე 2000 მეტრს ქვემოთ მცხოვრებლებში უნდა გამოეხატათ. ასეთივე სიტყვებია „გარე მონღოლეთი", „მადაგასკარი" და კიდევ რამდენიმე, რომელიც ამ წამს არ მახსენდება.

მოკლედ, ომი დასრულდა, სამყარო ხელახლა მოეწყო. ეს ყბადაღებული ალფა მამრებიც თითქოს ნელ-ნელა წარსულის საკუთრებანი ხდებიან. ამ წარსულიდან კი თითქოს სრულიად შემთხვევით გადმოეხეტა თანამედროვეობაში ლენი, რომელიც ძალიან ჩამოჰგავს ზემოთ აღწერილ გარი კუპერს, იმ დროის კაცს, ძველ კაცს, ნამდვილ კაცს. თუმცა კი ლენის კაცობისა მაინც არაფერი სცხია, ერთი შეხედვით. არა, რამე კი არ იფიქროთ - ქალები უყვარს და გამოსდის კიდეც მათთან ურთიერთობა, რომელიც სექსს არასდროს სცილდება. სექსზე მეტი უკვე აშინებს ლენის და უმალვე გარბის. ოჯახზე ლაპარაკი ზედმეტია, ოჯახი ხომ დემოგრაფიაა, ოჯახი სხვებს უნდათ და არა - „შენ", ეს ყოველთვის ასეა.

სანამ მთავარ სათქმელზე გადავალ, მინდა ორი სიტყვა ვთქვა წერის სტილზე. აი, სულ მცირე, ეს ორი წიგნი უნდა გქონდეს ადამიანს წაკითხული, რომ მიხვდე, რამხელა არსენალი იყო გარის ხელში. რანაირი ტემპია, რანაირი აჩქარებები, ჩახლართვები და განხლართვები, წყალი და მიწა, საოცრებაა, ერთი სიამოვნებით იკითხება და უთქმელად იგრძნობა, რომ სტილის შეგრძნებით გამორჩეულ დიდ ავტორთან გაქვს საქმე, უდავოდ. განა ახლა ამით მე, ჯაბა ზარქუამ, რა შევმატე ისედაც აღიარებულ გენიალურ მწერალს, მაგრამ იმდენად აღფრთოვანებაში მოვყავდი ამ წიგნის სტილს, რომ არ შემეძლო ცალკე არ აღმენიშნა.

მოკლედ, ისე მოხდა, რომ ამ ჩვენს თოვლში დაკარგულ უთავბოლო ინდივიდუალისტს ქალი შეუყვარდა. წარმოუდგენელია, 2000 მეტრის ქვემოთ ჩასვლასაც კი დაჰყაბულდა ამ ქალის გამო. რომ იცოდეთ ამ უცნაური სამეგობროს მსოფლაღქმაში რამხელა მნიშვნელობა ენიჭებოდა სიმაღლეს, გაგიკვირდებოდათ ეს საქციელი. აგერ, მარტივ მაგალითს მოგიყვანთ - ნეხვიდან ნულ სიმაღლეზე. ჟენევაზე თქვა ეს ლენის ერთ-ერთმა მეგობარმა. რამხელა დაცინვაა, არა? ჟენევაზე რომ ამას იტყვის კაცი, წარმოდგენაც არ მინდა, სხვა ნაკლებად მიმზიდველ და ცნობილ ქალაქებს რას უწოდებს, მაგრამ რა წარმოდგენა ამას უნდა - იმავეს, აბსოლუტურად იმავეს. მათთვის ყველაფერი, რაც მთაში არ იყო, ნეხვიდან ნულ სიმაღლეზე იყო. სწორედ ამ ნეხვის აუტანელ სუნს გაექცნენ მთაში და ახლა როგორია საკუთარი ნებით სიმაღლეებზე უარის თქმა და ქვემოთ ჩამოსვლა, ა? ლენიმ ეს გააკეთა სიყვარულის გამო და სასიამოვნოდ გაკვირვებული დამტოვა. თითქოს ბანალურია არა? სიყვარული, პრინციპებზე უარის თქმა მისი სახელით, ჰაი, ჰუი, მერე? არაა საქმე ასე მარტივად, მკითხველებო. ლენისა და ჯესის სიყვარული ბოლოს ნამდვილი პარანოია ხდება და ინცესტის ელემენტები ერევა - ჯესი დედასავით უყურებს ლენის, რომელსაც ბოზი დედა ჰყავდა და პრაქტიკულად არც ჰყოლია. ჯესის კი მამა ისე უყვარდა, და პირიქით, რომ ეს ურთიერთობაც თითქოს ინცესტის ზღვარზე დააბიჯებდა, თუმცა ეს ზღვარი ასე ფიზიკურად არ გადაულახავს. ვერ გავიგე რა იყო უხამსობა და რა ნორმალური, ვერც თქვენ გაიგებთ, ესაა სწორედ გარის გენიალურობა. იმ პირველ წიგნში დედა-შვილი, აქ შეყვარებულები და მამა-შვილი. ასე მძლავრად და ოსტატობით და ასე რაღაცნაირად ულრმეს კუნჭულებამდე ამ გრძნობის კვლევა ბარე ორ ავტორთან შეიძლება არ მეგულებოდეს. აი, სწორედ ამ არანორმალურ სიყვარულში იპოვა გამოსავალი დემოგრაფიისგან გაქცეულმა ლენიმ, მართლაც და, „მშვიდობით გარი კუპერ", შენი ადგილი აქ აღარაა.

ყველაზე მაგარი კი იცით რა არის? ერთი ბავშვური გათვლა, რომელიც წიგნის დასაწყისში ყველაზე მეტად აწუხებს და აფიქრებს ერთ-ერთ ფილოსოფოს პერსონაჟს, შერეკილთაგან ერთ-ერთს: Who took the cookie from the cookie jar? პასუხი არ არის. სავარაუდო პასუხებია, თუმცა ზუსტი - არა. ამ წიგნის მთავარი ლაიტმოტივიც ეს საბავშვო გათვლა მგონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1968: ძალაუფლება - წარმოსახვას[1]

## *დანიელ კონ-ბენდიტისა და კლაუს ლეგევის საუბარი*



**კლაუს ლეგევი:** 1968 წლის 15 მარტს გაზეთ „ლე მონდის" მთავარმა რედაქტორმა პიერ ვიანსონ-პონტემ შენიშნა, საფრანგეთში მოწყენილობა სუფევსო. ეს დიაგნოზი, შესაძლოა, მართებული იყო, მაგრამ წინასწარმეტყველური სულაც არ გახლდათ.

**დანიელ კონ-ბენდიტი:** ვიანსონ-პონტეს უკვირდა, რომ ამბოხებები ხდებოდა ყველგან - მაგალითად, გერმანიაში, შეერთებულ შტატებში - მაგრამ არა საფრანგეთში. მართალია, პარიზში ჩატარდა რამდენიმე დემონსტრაცია ვიეტნამის ომის წინააღმდეგ, მაგრამ არავინ ფიქრობდა, რომ ამას რაიმე არსებითი შედეგი მოჰყვებოდა. ამასთან, მაისის მოვლენებამდე რამდენიმე თვით ადრე, პარიზის ნანტერის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ძალზე მასშტაბური გაფიცვა მოვაწყვეთ - ადმინისტრაციული რეფორმების გატარებას ვითხოვდით. იმ დროს ნანტერის უნივერსიტეტის სოციოლოგიურ ფაკულტეტზე ვსწავლობდი. 1967 წლის ნოემბერში ინსტინქტურად მივხვდი (ჩემს ინსტინქტს კი ყოველთვის ვენდობოდი), რომ სტუდენტთა უკმაყოფილებას, შესაძლოა, გრანდიოზული მასშტაბი მიეღო. 22 მარტს, „ლე მონდის" რედაქტორის მცდარი დიაგნოზიდან შვიდი დღის შემდეგ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსი დავიკავეთ. აი, სწორედ ამგვარად დაიწყო ყველაფერი - უფრო სწრაფად, ვიდრე მოსალოდნელი იყო და უფრო სწრაფად, ვიდრე წარმო მედგინა.

**ლეგევი:** მთელი ძალაუფლება - წარმოსახვას...

**კონ-ბენდიტი:** იმხანად ვგრძნობდით (და ამ შემდგომ მთელი ჩემი ცხოვრება განსაზღვრა), რო ისტორიას ვქმნიდით. უჩვეულო გრძნობაა, როდ საც უეცრად მსოფლიო ისტორიის შემოქმედად ი ცევი. ოცდასამი წლის ახალგაზრდისთვის ამ აზრ გათავისება არც ისე იოლია.

**ლეგევი:** 1968 წლის მაისში გადაღებულ ცნო ბილ ფოტოსურათზე აღბეჭდილია ამბოხების მთ ყველა კომპონენტი. მასზე თქვენ - სოციოლოგი ფაკულტეტის ოცდასამი წლის სტუდენტი - ერო ნული პოლიციის ერთ-ერთი წარმომადგენლის პი რისპირ დგახართ, სორბონის წინ...

**კონ-ბენდიტი:** ჩვენ მიერ უნივერსიტეტის ოკ პირების შემდეგ, 1968 წლის 6 მაისს, მთავრობამ დ იწყო დამსჯელი აქცია სტუდენტთა წინააღმდე პროფესორები - ალენ ტურენი და სხვები - გვიცა დნენ. როდესაც რეპორტიორი ამ ფოტოსურათ იღებდა, სწორედ უნივერსიტეტში შესვლას ვაპი რებდით.

**ლეგევი:** ამ ფოტოსურათზე აღბეჭდილია 1968 წლის მაისის მოვლენათა არსი: ძველი რეჟიმი - ახალ გაზრდების წინააღმდეგ, სისტემა - მოძრაობის წ

---

1 - 1968 წლის მოვლენათა მონაწილეების ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი იყო „მთელი ძალაუფლება - წარმოსახვას!".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნააღმდეგ, გმირი - ბოროტმოქმედის წინააღმდეგ, ძალა - საპირისპირო ძალის წინააღმდეგ, წესრიგი - ანარქიის წინააღმდეგ.

**კონ-ბენდიტი:** შეიძლება ითქვას, რომ ჩემი სწავლა ამით დამთავრდა. ამბოხების სიმბოლოდ ვიქეცი. ახლა უამრავი ადამიანისთვის ეს ამბოხება ასოცირდება არა ძალმომრეობასა და ქვების სროლასთან, არამედ ჩვენი ბრძოლის რომანტიკულ ასპექტთან. ამას წინათ რაფაელ გლუკსმანმა თავის ჟურნალში Nouveau Magazine Littéraire გამოაქვეყნა ქვეყნის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები და აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 60 პროცენტზე მეტი 68 წლის მოვლენებს დადებითად აფასებს, მიუხედავად იმისა, რომ კონსერვატორთა აზრით, ჩვენმა თაობამ გაანადგურა სკოლის, ქორწინების, ოჯახის ან საზოგადოებრივი წესრიგის ძველთაძველი ინსტიტუტები. გამოკითხულთა ორი მესამედისთვის მისაღები და მოსაწონიცაა დევიზი: აკრძალვა აკრძალულია. მიაჩნიათ, რომ ეს დევიზი ძალზე პოეტურია და მოსწონთ ქვეტექსტი, რომელიც მასში იგულისხმება. ეს ქვეტექსტი მისაღებია მთელი ფრანგული საზოგადოებისთვის.

**ლეგევი:** თუმცა, საფრანგეთში შეიმჩნევა რევანშისტული ტენდენციაც - ერთგვარი უარყოფითი დამოკიდებულება 1968 წლის მოვლენების მიმართ.

**კონ-ბენდიტი:** თვით მემარჯვენე ამომრჩევლებიც კი - ტრადიციონალისტი კათოლიკეებისა (მაგალითად, ფრანსუა ფიიონის) და ნიკოლა სარკოზის მომხრეების გარდა - დადებითად აფასებენ 1968 წლის მოვლენებს. 1968 წლის მაისის ფსიქოდრამა სათანადოდ უნდა გავიაზროთ. მზად ვარ, ფრანგთა ფსიქოანალიტიკოსის როლი ვიკისრო. მახსოვს, ერთხელ (მას შემდეგ, რაც საფრანგეთში დაბრუნების უფლება მომცეს) პარიზში ღამის მატარებლით ჩამოვედი. სადგურში ჩემზე დაახლოებით ათიოდე წლით უფროსი კაცი გამომელაპარაკა და მითხრა, ბატონო კონ-ბენდიტ, მინდა, მადლობა გადაგიხადოთო. რისთვის-მეთქი, ვკითხე. ეს იყო პოლიციელი, რომელმაც აღიარა, 1968 წელი საფრანგეთის ისტორიის მართლაც შესანიშნავი ეტაპი იყოო.

**ლეგევი:** ჰანა არენდტმა იმ დღეებში წინასწარმეტყველურად შენიშნა: „ალბათ, მომდევნო საუკუნის ახალგაზრდები ისეთივე ინტერესით შეისწავლიან 1968 წლის მოვლენებს, როგორითაც ჩვენ ვეცნობოდით 1848 წლის რევოლუციის დროს მომხდარ ამბებს". სახელდობრ, რა ზეგავლენა მოახდინა 1968 წლის მოვლენებმა ევროპის ცხოვრებაზე? იურგენ ჰაბერმასის აზრით, ამ მოვლენებმა გამოიწვია გერმანული საზოგადოების „ფუნდამენტური ლიბერალიზაცია", რის გამოც თვით კონსერვატორებიც კი იძულებულნი გახდნენ, ახლებურად გაეაზრებინათ მრავალი საკითხი და, შედეგად, კონსტიტუციაში ახალგაზრდების უფლებები აისახა; მარიხუანა ლეგალიზებულ იქნა არა მარტო კალიფორნიაში, არამედ - სხვაგანაც; ერთსქესიანთა ქორწინება ახლა უკვე დაშვებულია; ქალები ხელმძღვანელ თანამდებობებს იკავებენ - განა ეს ჩვენი ეპოქის არსის ამსახველი ძირითადი ნარატივი არ არის?

**კონ-ბენდიტი:** ამბოხებამ დააჩქარა ბევრი პროცესი, რომლებიც უკვე დაწყებული იყო. ამიტომ ზოგიერთი ამტკიცებს, რომ დასავლური საზოგადოების მოდერნიზება და ლეგალიზება ნებისმიერ შემთხვევაში მოხდებოდა. სისულელეა. რა თქმა უნდა, არსებობდა ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის ტენდენცია, მაგრამ სწორედ ჩვენ წარვმართეთ ის საჭირო მიმართულებით.

**ლეგევი:** რას იტყვით ფრანგთა საგანგებო როლის შესახებ?

**კონ-ბენდიტი:** საფრანგეთი არ იყო დემოკრატიზებული ქვეყანა, გერმანიისა და სხვა დასავლურ ქვეყნების მსგავსად. საყოველთაო გაფიცვამ ბიძგი მისცა ქვეყანაში სოციალური რევოლუციის დაწყებას. თავდაპირველად ოფიციალურად არავინ საუბრობდა მასობრივი ამბოხების შესახებ - უბრალოდ, მუშებმა ფაბრიკა-ქარხნების ოკუპირება დაიწყეს. პროფკავშირები მათ ვერ აშოშმინებდნენ და მხოლოდ აღიარებდნენ, რომ ეს საყოველთაო გაფიცვა გახლდათ.

**ლეგევი:** სოციალურმა მოძრაობებმა უეცრად მოიცვა მთელი დასავლური სამყარო.

**კონ-ბენდიტი:** ბოლოს - რამაც 1968 წლის თაობის იმედგაცრუება გამოიწვია - სახელმწიფო მდივანი ჟაკ შირაკი და პროფკავშირები, რომელთაც კომუნისტი ჟორჟ სეგი ხელმძღვანელობდა, შეთანხმდნენ, რომ ამბოხების დასასრულებლად ყოველნაირი ზომები უნდა მიეღოთ და მრგვალ მაგიდასთან (ე.წ. „გრენელთან") მიიღეს გადაწყვეტილება ხელფასების მნიშვნელოვანი გაზრდის, მუშათა კავშირების გაძლიერების და ა.შ. შესახებ. მაგრამ კომუნისტებს არ ესმოდათ, რომ მათ ჩვენ გავუკვალეთ გზა. ტროცკისტებს კი არ ესმოდათ, რომ რევოლუცია პერმანენტული ვერ იქნებოდა.

**ლეგევი:** ტროცკისტთა ლიდერმა, ალენ კრივინმა, ახლახან „ლე მონდში" განაცხადა, რომ კვლავაც 1968 წლის დევიზების ერთგულია, „განსხვავებით კონ-ბენდიტისგან, რომელიც ძალზე პოპულარულია ევროპის პარლამენტის მემარჯვენე ფრთის წარმომადგენელთა შორის ერთგვარი ლიბერალიზმის გამო, რომელსაც საერთო არაფერი აქვს 1968 წელთან".

**კონ-ბენდიტი:** ორმა ტროცკისტმა დაწერა წიგნი, სახელწოდებით, „გენერალური რეპეტიცია". ისინი ამტკიცებენ, რომ 1968 წელი ჭეშმარიტი რევოლუციის პრელუდია გახლდათ, ისევე, როგორც 1905 წელს კრონშტადტის მეზღვაურთა აჯანყებები სხვა არა იყო რა, თუ არა 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური რევოლუციის უვერტიურა. და ისინი უკვე ორმოცდაათი წლის განმავლობაში იმეორებენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს დაიწყება მაისის ჭეშმარიტი რევოლუცია, რომელსაც დააგვირგვინებს სოციალისტური რევოლუცია...

**ლეგევი:** ანუ, არა მარტო ქალების, ბავშვებისა და გეების უფლებათა დაცვა, არამედ - კაპიტალიზმის განადგურებაც?

**კონ-ბენდიტი:** მათ არ ესმით, რომ კაპიტალიზმმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ამჟამად ჩვენ უკვე სხვა სამყაროში ვცხოვრობთ. არ უნდა დავივიწყოთ 1968 წელი - ეს „შესანიშნავი ეტაპი", მაგრამ წინაც უნდა გავიხედოთ.

**ლეგევი:** 1968 წლის ამბოხების იდეალს სოციალური უტოპია წარმოადგენდა. ახლა მემარცხენე დოგმატიკოსები ოცნებობენ ამბოხების განმეორების შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებ, რადიკალურ მემარჯვენეებს კი რევიზიონისტული პოზიცია უკავიათ და სრულიად უგულებელყოფენ 1968 წლის კულტურულ რევოლუციას.

**კონ-ბენდიტი:** გერმანიაში, საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებში მემარჯვენეები მიზნად ისახავენ „კონსერვატიული რევოლუციის" განხორციელებას, რომელიც, მათი აზრით, გამოასწორებს 1968 წელს დაშვებულ შეცდომებს. თურმე, როდესაც ესა თუ ის იმიგრანტი საზოგადოებრივ წესრიგს არღვევს, ეს კონ-ბენდიტის ბრალი ყოფილა; განა კონ-ბენდიტი აქეზებდა ადამიანებს, ხელისუფლებას ნუ ემორჩილებით და გაანადგურეთ სკოლები, ოჯახი, ქორწინება, ეკლესიაო?... ეს ისევე აბსურდულია, როგორც მთელი მათი რევოლუციური მითი.

**ლეგევი:** ფაქტი ისაა, რომ 1968 წლის მაისში ხელისუფლებას ძირი მოერყა. ეს პროცესი შეეხო ელისეს მინდვრებს, მთავრობისა და ადმინისტრაციულ აპარატებს, თვით ჯარსა და პოლიციასაც კი.

**კონ-ბენდიტი:** ჰო, 1968 წლის მოვლენებისადმი მიძღვნილ სამ ნაშრომში იმდროინდელი ვითარება სწორედ ამგვარადაა დახასიათებული. კონსერვატიული ჟურნალისტი კრისტინ კლერკი თავის წიგნში 1968 წლის ამბებს მთავრობის თვალსაზრისზე დაყრდნობით აღწერს და ჰყვება გამოგონილ ისტორიას ჩემ შესახებ: განრისხებულ შარლ დე გოლს მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე უკითხავს, რატომ არ ესვრიან სტუდენტებს, მთელი ეს აურზაური ხომ მყისვე შეწყდებაო. მაგრამ განათლების მინისტრს ურჩევია: „ბატონო პრეზიდენტო, უნდა შეხვდეთ იმ კონ-ბენდიტს". ეს შეხვედრა, რა თქმა უნდა, არ შედგა და სწორედ ამიტომ კლერკი გვიამბობს მონაჩმახს დე გოლისა და დანი-ლე-რუჟის[2] შეხვედრის შესახებ. თურმე, ერთ ღამეს ერთმანეთს მალულად შევხვდით. პრეზიდენტი წაბორძიკებულა და დაცემულა, მე წამომიყენებია, წყალი მიმიწოდებია და ა.შ. დაიწერა, ასევე, საინტერესო პიესა, რომლის პერსონაჟთა შორის არიან ძალუა ივონა (დე გოლის ცოლი), მე და სხვები. პიესაში აისახა 29 მაისის ეპიზოდი, როდესაც დე გოლმა თავი შეაფარა გენერალ ჟაკ მასიუს სამხედრო ყაზარმას ბადენ-ბადენში.

**ლეგევი:** რათა გადამდგარიყო? რათა გადატრიალება მოემზადებინა?

**კონ-ბენდიტი:** დე გოლმა გამოაცხადა, რომ თავის მშობლიურ კოლომბი-ლე-დეზ-ეგლიზში მიემგზავრებოდა, სინამდვილეში კი ბადენ-ბადენში გაიპარა. პიესაში „მისი უწმინდესობა დე გოლი-68" ჩერჩილი ადანაშაულებს გენერალს: „ომი მოიგე და იმ ოცდასამი წლის წითური ბიჭისა გეშინია? ერთობლივად იმოქმედეთ!" და, ჩვენი შეხვედრისას, დე გოლს კომუნიზმის შესახებ ვესაუბრები... მესამე ნაწარმოები - სახელწოდებით „კონ-ბენდიტის 99 დღე" - რომანია, რომელშიც არასწორადაა გადმოცემული 1968 წლის ამბოხების ამბები და გამოთქმულია მცდარი შეხედულება, თითქოს იმავე წლის მაისში ძალაუფლება ხელთ ჩავიგდეთ.

**ლეგევი:** და მაინც, რაზეა ლაპარაკი მასში?

**კონ-ბენდიტი:** ოჰ, ნამდვილი აბდაუბდაა. როგორც ყოველთვის, რომანის დადებით პერსონაჟად ვარ გამოყვანილი და მსურს ყველას დავეხმარო, მშრომელებს ხვედრი შევუმსუბუქო. ბოლოს მემარცხენე ექსტრემისტები იმარჯვებენ, მაგრამ მათ შორის განხეთქილება იწყება. ამიტომ დე გოლი ახერხებს ხელისუფლებაში დაბრუნებას.

**ლეგევი:** ამგვარ რამეს მიშელ უელბეკი თუ მოიგონებდა... წარმოდგენა „დადებითი პერსონაჟის" შესახებ (განსხვავებით თქვენი, როგორც რადიკალურად განწყობილი მეამბოხის ხატისგან), ფაქტობრივად, სწორია - თქვენ ხომ შუამავლურ როლს ასრულებდით. ეს, როგორც აღნიშნავთ ხოლმე, „ცენტრისტული პოზიციაა". 1968 წლის ზაფხულში უფროს ძმასთან, გაბრიელთან ერთად დაწერეთ წიგნი, სახელწოდებით „დრომოჭმული კომუნიზმი: მემარცხენე ფრთის ალტერნატივა". ამ წიგნში საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას აკრიტიკებთ. თერთმეტი წლის ასაკში წაჰყევით თქვენს ძმას თქვენს პირველ დემონსტრაციაზე, რომელიც პროტესტს აცხადებდა საბჭოთა ჯარების მიერ უნგრეთის აჯანყების ჩახშობის გამო - ეს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შტაბბინის წინ მოხდა. ანტიკომუნიზმი გენებში ხომ არ გაქვთ?

**კონ-ბენდიტი:** ჩვენ მემარცხენე ფრთის ლიბერტარიანელები, ანტიკაპიტალისტები და ანტიკომუნისტები გახლავართ. ფრანგმა კომუნისტებმა შექმნეს სხვადასხვაგვარი ექსტრემისტული ფრაქციები, მათ შორის - ოთხი ტროცკისტული დაჯგუფება, ასევე - მაოისტთა ჯგუფები, რომლებიც აკრიტიკებდნენ ლიბერალურ დემოკრატიას, ხოტბას ასხამდნენ ჩინეთის კულტურულ რევოლუციას და თანაგრძნობას უცხადებდნენ ჩრდილო კორეასა და ალბანეთს. ყველა ეს ფრაქცია ებრძოდა საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას, რომელიც პროსაბჭოთა ორიენტაციით გამოირჩეოდა და თავის თავს საზოგადოებრივი წესრიგის გარანტს უწოდებდა. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჟორჟ მარშემ 1968 წელს გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია გაზეთ „ლუმანიტეში", სადაც აკრიტიკებდა „გერმანელ ანარქისტს კონ-ბენდიტს", რომელიც თითქოსდა ფრანგი მუშების გაბრიყვებას ცდილობდა. ყველა ხვდებოდა, რომ აქ „გერმანელი ებრაელი" იგულისხმებოდა, თუმცა მარშეს ეს სიტყვები არ უხსენებია.

**ლეგევი:** როდესაც საფრანგეთიდან გაგაძევეს, ათასობით ადამიანი გაიძახოდა, ყველანი გერმანელი ებრაელები ვართო.

**კონ-ბენდიტი:** მორალურ ასპექტში ეს 1968 წლის უდიდესი მიღწევა იყო: ყველანი - აფრიკელებიც კი - თავიანთ თავს გერმანელ ებრაელებს უწოდებდნენ. სწორედ იმხანად დაიბადა მულტიკულტურალიზმი.

**ლეგევი:** 1968 წლის თებერვალში, დასავლეთ ბერლინში, გაიმართა კონგრესი, რომლის დევიზი იყო საერთაშორისო სოლიდარობა. თქვენ დელეგირებული იყავით...

**კონ-ბენდიტი:** არა, არა, დელეგირებული არ ვყოფილეარ.

---

2 - დანიელ კონ-ბენდიტის მეტსახელი - „წითელი დანი". მას ასე ეძახდნენ პოლიტიკური შეხედულებებისა და თმის ფერის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ლეგევი:** მართალია. უბრალოდ, თავისუფალი დამსწრე იყავით და წარმოადგენდით საფრანგეთის ანარქისტულ დაჯგუფებას - „ანარქისტ სტუდენტთა კავშირი". როგორი დამოკიდებულება იყო გერმანელ და ფრანგ სტუდენტთა შორის? 1968 წლის მაისისთვის გერმანიაში ამბოხება თითქმის დამთავრებული იყო..

**კონ-ბენდიტი:** ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა „კრიტიკულმა უნივერსიტეტმა", და, საერთოდ, უნივერსიტეტში სწავლების ახლებურმა ხედვამ: ესაა უნივერსიტეტი, რომელიც დამოუკიდებელია კაპიტალის, სახელმწიფოსა და ხელისუფლებისგან. მაგრამ ვიეტნამისადმი მიძღვნილ კონგრესზე გამაკვირვა იმან, რომ გერმანელები მხარს უჭერდნენ ვიეტკონგს - ჩრდილო ვიეტნამი კი სტალინისტური ქვეყანა იყო. კიდევ ერთხელ ვიგრძენი, რომ არ ვისურვებდი ამგვარ ქვეყანაში ცხოვრებას. გერმანელ რადიკალთა ენთუზიაზმიც მაღიზიანებდა. მაგალითად, რუდი დუჩკე (გერმანელ სტუდენტთა ლიდერის) ზოგიერთ საკითხს ზედმეტად ამარტივებდა და მკვეთრ ზღვარს ავლებდა „სიკეთესა" და „ბოროტებას" შორის. გარდა ამისა, ჩვენ გაცილებით უფრო სკეპტიკურად ვიყავით განწყობილნი იმ ქრისტესმაგვარი პიროვნების მიმართ, რომლის სახელი იმხანად ყველას პირზე ეკერა. ეს ჩე გევარა იყო.

**ლეგევი:** ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებდით ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობებს, მხარს ვუჭერდით იმათ, ვინც ებრძოდა მაო ძე-დუნის „სახალხო არმიას", მაგრამ, უმთავრესად, ვერ ვამჩნევდით ხალხის გამათავისუფლებელთა უმართებულო ქმედებებს (როდესაც ისინი ძალაუფლებას იგდებდნენ ხელთ). ამის მაგალითია თუნდაც ალჟირის დამოკიდებულება ისრაელის მიმართ.

**კონ-ბენდიტი:** და ავტორიტარული ერთპარტიული სისტემა. კამიუ მართალი იყო, სარტრი კი ცდებოდა. კამიუ ალჟირის დამოუკიდებლობის მომხრე იყო, მაგრამ მხარს არ უჭერდა ეროვნული განთავისუფლების ფრონტს. ალჟირელებს სამართლიანად სურდათ დამოუკიდებლობის მოპოვება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვხვდებოდით, როგორ შეუცვალეს ახალმა მმართველებმა მიმართულება განთავისუფლებისკენ მიმართულ იმპულსს, რაც კარგად ჩანს ფრანც ფანონის წიგნში Les Damnés de la Terre[3], სარტრის წინასიტყვაობით. გასაკვირი არაა, რომ ეს ნაწარმოები წითელი არმიის გერმანული ფრაქციის საყვარელი წიგნი გახლდათ.

**ლეგევი:** 1968 წლის მოვლენები პარიზში ან ბერლინში კი არ დაიწყო, არამედ - ბერკლიში, შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპიროზე, დაახლოებით 1965 წელს. სწორედ აქ გაიმართა პირველი საპროტესტო გამოსვლები ვიეტნამის ომის წინააღმდეგ; აქვე დაიწყო სიტყვის თავისუფლებისათვის ბრძოლა მარიო სავიოს მეთაურობით.

**კონ-ბენდიტი:** დიახ, ამბოხებას ამერიკული ფესვები ჰქონდა, რასაც ევროპელები არ აღიარებენ. შტატებში 1965-66 წლებში ვიყავი და მარკ რადს შევხვდი. ამერიკული სდს[4] პატივს სცემდა აშშ-ის კონსტიტუციას, რაც ჩვენთვის სრულიად უცხო იყო. მეამბოხურმა სულისკვეთებამ, რომლითაც გამო-

3 - სიტყვები „ინტერნაციონალის" პირველი სტრიქონიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ირჩეოდნენ პოლიტიკური ორგანიზაციები, მაგალითად, „სინოპტიკოსები“ და „შავი პანტერები“, მხოლოდ მოგვიანებით იჩინა თავი, ნაწილობრივ - გფბ-ს მიერ ამ ორგანიზაციების დევნის შედეგად. მაგრამ ამბოხება ამერიკაში, უმთავრესად, შთაგონებული იყო კონტრკულტურის იდეით, რომელიც, ძირითადად, როკ-მუსიკის მეშვეობით ვლინდებოდა. Woodstock Nation ახალი ამერიკის მითი იყო და ჩვენც ამ მითის ნაწილი ვიყავით.

**ლეგევი:** ვინ იყვნენ თქვენი კერპები მუსიკაში?

**კონ-ბენდიტი:** 1965 წელს, ნიუპორტის ფესტივალზე, ბობ დილანი ვნახე და მისი ფანი გავხდი. „როლინგ სტოუნის“ თაყვანისმცემელიც ვიყავი, თუმცა, ბიტლებსაც ვუსმენდი ხოლმე. გარდა ამისა, მომწონდა შესანიშნავი ფრანგი შანსიონიეები: ჟორჟ ბრასანსი, ჟაკ ბრელი და ჰიუგ ოფრეი. 1968 წელს სტუდენტებთან შესახვედრად პარიზში ჯოან ბაეზი ჩამოვიდა. შეხვედრაზე ორი ათასზე მეტი ადამიანი მოვიდა. ბაეზს სიმღერა არ სურდა - უნდოდა გაგვესაუბრებოდა, მაგრამ მარქსისტ-ლენინელებმა ბაეზს ჭკუის სწავლება დაუწყეს. გავლიზიანდი და დავიყვირე: „გეყოთ, ბიჭებო! ამერიკელებმა, ფაქტობრივად, შექმნეს ფრანგი მემარცხენეების პარტია და ორგანიზაცია „დავთმოთ ალჟირი“.

**ლეგევი:** ჰანა არენდტისთვის მიუღებელი იყო ყოველგვარი ამბოხებები, მაგრამ ის გრძნობდა, რომ 1968 წელი რაღაც ახლის დაბადებას მოასწავებდა.

**კონ-ბენდიტი:** არენდტი ფიქრობდა, რომ 1968 წელი ახალგაზრდა თაობის განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო. მისი წერილი ჩემთვის მერი მაკარტნის უნდა მოეტანა, მაგრამ მან ჩემამდე ვერ მოაღწია. ეს წერილი მხოლოდ მოგვიანებით აღმოვაჩინე. არენდტი მწერდა: „თქვენმა მშობლებმა უნდა იმაყონ თქვენით. თუ დახმარება დაგჭირდათ, დამიკავშირდით“.

**ლეგევი:** რა მიიღეთ, სამაგიეროდ, ევროპაში? რა იტყვით „ევროპის შეერთებული შტატების“ შესახებ, იმის შესახებ, რომ ევროპის პარლამენტში ოპონენტებს მწვანეთა სახელით ამათრახებდით?

**კონ-ბენდიტი:** ევროპა, როგორც ასეთი, სულაც არ გვაინტერესებდა. თვითონ განსაჯეთ: 1940-იანი წლების ბოლომდე საფრანგეთი და გერმანია ერთმანეთს მოსისხლე მტრებად მიიჩნევდნენ, მაგრამ როდესაც მათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობები დამყარდა, ამ ფაქტისთვის დიდი ყურადღება არ მიგვიქცევია. მოგზაურობის შესაძლებლობით ვტკბებოდით, ერთი ქვეყნიდან მეორეში გადავდიოდით, მაგრამ „ევროპაზე“ არ ვფიქრობდით... არც როგორც დიად იდეაზე და არც როგორც პოლიტიკური ინსტიტუციების საფუძველზე.

**ლეგევი:** ერთი გამონაკლისის გარდა: 1973 წელს გაერთიანებული (მაგრამ მცირერიცხოვანი) სოციალისტური პარტიის იმდროინდელი ლიდერი, მარსელ როკარი, ჩაება პოლემიკაში, სახელწოდებით „საერთო ბაზარი ევროპის წინააღმდეგ“. ის ებრძოდა თავისუფალ საბაზრო კაპიტალიზმს, მაგრამ ემხრობოდა „ევროპის“ - სოციალისტური ევროპის იდეას.

**კონ-ბენდიტი:** და ამით პირველი ნაბიჯი გადაიდგა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღევანდელი პრობლემის გადასაჭრელად, რომელსაც ტრადიციული ეროვნული სახელმწიფოს გაუქმება ჰქვია.

4 - მოძრაობა „სტუდენტები დემოკრატიული საზოგადოებისთვის.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლეგევი:** გასაგებია, მაგრამ როგორ განვითარდა ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ? 1970-იანი წლების დასაწყისში ხომ სწორედ თქვენ ხელმძღვანელობდით ჯგუფს, სახელწოდებით „რევოლუციური ბრძოლა", რომელიც შეიჭრა „ოპელის" ქარხანაში - ფრანკფურტის მახლობლად, რიუსელჰაიმში.

**კონ-ბენდიტი:** ფაქტობრივად, მხოლოდ სანარმოო სოციოლოგიის პრაქტიკულ საკითხთა გამოკვლევა გვსურდა. ახალი კომუნისტური პარტიის ჩამოყალიბებას არ ვაპირებდით; უბრალოდ, გვინდოდა გაგვერკვია, როგორ უნდა შეგვექმნა ადგილზე ახალი ქსელები და ალიანსები და როგორ მოგვეზიდა მიგრანტი მუშები. დიდად გავისარჯეთ. ბევრისთვის...

**ლეგევი:** მაგალითად, იოშკა ფიშერისთვის, რომელიც მოგვიანებით გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა.

**კონ-ბენდიტი:** ...ეს ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო.

**ლეგევი:** ორივენი შევესწარით რევოლუციურ გადატრიალებას პორტუგალიაში 1975 წელს. იქ ჩემს პატარა ოჯახთან ერთად გახლდით, თქვენ კი - ამგვარი შთაბეჭდილება დამრჩა - ყოველთვის უფრო მრავალრიცხოვანი კოლექტივის წევრი იყავით, იქნებოდა ეს ფრენბურთის თამაში სანაპიროზე თუ მონაწილეობა ლისაბონში გამართულ პოლიტიკურ შეკრებებში. ჯოგური ცხოვრება და ყოველივე პირადულის პოლიტიზება - ეს ფრაზა 1968 წლის მოვლენების არსს ხომ არ გამოხატავს?

**კონ-ბენდიტი:** „ჯოგი" - კარგი სიტყვაა. უკვე 1968 წლის გაზაფხულზე სწორედ ასე ვატარებდით დღეებსა და ღამეებს ნანტერში, უფრო მსხვილი გაერთიანებების შექმნას ვაპირებდით და გვსურდა გაგვენადგურებინა ყველა წვრილბურჟუაზიული სტრუქტურა - მაგალითად, ოჯახი.

**ლეგევი:** 1968 წლის თაობის წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ ადამიანი სამ შემთხვევაში სჩადის მომაკვდინებელ ცოდვას: როდესაც არჩევნებში მონაწილეობს, როდესაც ხამანწკებს მიირთმევს და როდესაც ქორწინდება. საბოლოოდ, თქვენ სამივე ცოდვა ჩაიდინეთ.

**კონ-ბენდიტი:** როდესაც საფრანგეთიდან გამაძევეს და გერმანიაში ჩავედი, ზოგიერთი „ამხანაგი" მეკითხებოდა, როგორ წარმოგიდგენია სოციალიზმი. ვპასუხობდი, რომ სოციალიზმი ნიშნავდა „ხამანწკების ხელმისაწვდომობას ყველასთვის". სდს-ს პურიტანობისკენ მიდრეკილი წევრები ამის გამო გამინაწყენდნენ. შემდეგ რომანტიკული ურთიერთობა მქონდა ერთ ქალთან, რომელზეც დავქორწინდი - თუმცა, მხოლოდ თხუთმეტი წლის შემდეგ - მაშინ, როდესაც ჩვენი ვაჟიშვილი უკვე შვიდი წლისა იყო. არჩევნებში პირველად ორმოცი წლის ასაკში მივიღე მონაწილეობა, როდესაც მწვანეთა გერმანული პარტიის წევრი გავხდი. ამ პარტიის დეპუტატიც ვიყავი, თავდაპირველად ფრანკფურტში (სადაც უსასყიდლოდ ვმუშაობდი კულტურათშორისი ურთიერთობების საკითხების სამმართველოში), შემდეგ კი - 1994 წლიდან 2014 წლამდე - ევროპარლამენტის დეპუტატად წარმადგინეს. იმ დროისათვის გავაცნობიერეთ, რომ სოციალური მოძრაობები ზღვის მიქცევა-მოქცევის მსგავს ცვლილებებს განიცდის: წყლის დონე იმატებს, რამდენიმე ხნის განმავლობაში უცვლელია, შემდეგ კი იკლებს. და ყველას დეპრესიული განწყობილება ეუფლება.

**ლეგევი:** 1970-იან წლებში ძალზე ფართო ხასიათი მიიღო სქვოტინგმა. თითქმის ყოველდღე ხდებოდა ამბოხებები და კონფლიქტები პოლიციასთან. რამდენად ახლოს იყავით თქვენ და თქვენი თანამოაზრეები იმ ჯგუფებთან, რომლებმაც შექმნეს რევოლუციური სექციები და, ასევე, წითელი არმიის ფრაქციის პარტიზანული რაზმები?

**კონ-ბენდიტი:** ჩვენ პოლიტიკური პასუხისმგებლობა გვეკისრება იმის გამო, რაც იმხანად ხდებოდა. ზოგიერთი არასერიოზულად აღიქვამდა მითს პარტიზანული რაზმების შესახებ, მაგრამ სხვების აზრით, ეს ძალზე სერიოზული პრობლემა იყო. როდესაც ვიეტნამისადმი მიძღვნილ კონგრესზე რუდი დუჩკე გაიძახოდა, ომი თქვენს სახლებში მიიტანეთო, ეს მოწოდება შეიძლებოდა ორნაირად გაგვეაზრებინათ: როგორც მოწოდება მრავალრიცხოვანი მიტინგების ორგანიზებისკენ ან კიდევ - შეიარაღებული ბრძოლისკენ. როდესაც ესოდენ ორაზროვანი ლოზუნგებით მიმართავ ხალხს, მაშინ პასუხი უნდა აგო ტერორიზმის გამო, რომელიც ამ ლოზუნგების გამოყენებას მოჰყვება შედეგად. ჩვენ დემონსტრაციებზე უარი ვთქვით და მწვანეებს შევუერთდით, რითაც, ფაქტობრივად, ვაღიარეთ, რომ ფსევდორევოლუციური ძალმომრეობით ვერაფერს მივაღწევდით, მაგრამ მშვიდობიანი რეფორმებით ბევრი სასიკეთო მიზნის განხორციელება შეგვეძლო. ზოგიერთი აღაშფოთა იმან, რომ იოშკა ფიშერმა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა დაიკავა. ის ხომ ოდესღაც ქვებს ისროდა და პოლიციელებს ებრძოდაო, ამბობდნენ. ეს ისეთივე სისულელეა, როგორიც 1977 წელს მემარცხენე ექსტრემისტთა მიერ ჰანს-მარტინ შლაიერის მოტაცება და მკვლელობა იმის გამო, რომ შლაიერი ოდესღაც ესესელი იყო. ისინი არ ითვალისწინებდნენ, რომ ომის შემდგომ შლაიერი უკვე ფაშიზმის მოწინააღმდეგედ იქცა. 1977 წელს შლაიერი მსხვერპლი იყო, წითელი არმიის ფრაქციის წარმომადგენლები კი - ტერორისტები, ბოროტმოქმედები, ჭეშმარიტი ფაშისტები.

**ლეგევი:** მრავალი წლის წინ გამოქვეყნდა თქვენი ძმის, გაბრიელის ავტობიოგრაფია, სახელწოდებით Nous sommes en marche. 2016 წელს ემანუელ მაკრონის თაოსნობით დაიწყო ამავე სახელწოდების მქონე მოძრაობა. იქნებ, ამიტომ ატარებთ მეტ დროს საფრანგეთში?

**კონ-ბენდიტი:** საფრანგეთის პრეზიდენტი ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან პოლიტიკოსთაგან, რომელთანაც დღეს შეიძლება კამათი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ამგვარი საკითხებია: პოლიტიკა, გლობალიზაცია, ნარკოტიკების ლეგალიზაცია, დევნილები და, საერთოდ, ყველაფერი. უმეტეს დროს საფრანგეთში იმიტომ ვატარებ, რომ, მართალია, გერმანიაში ცხოვრება ძალიან მომწონს, მაგრამ საფრანგეთში ვგრძნობ, როგორ ვუყვარვარ ხალხს. როგორც 1968 წლის სიმბოლო, ფრანგული დნკ-ს ნაწილად ვიქეცი. რაც შეეხება ფილმს, რომელიც ჩემს მეგობართან, რომენ გუპილთან ერთად გადავიღე...

n 23/121



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლეგევი:** ***La traversée***, რომელიც ეკრანებზე გამოვა 2018 წლის მაისში, იმ მოვლენებიდან 50 წლის შემდეგ...

**კონ-ბენდიტი:** მე და გუპილმა მთელ საფრანგეთში ვიმოგზაურეთ და უამრავ ადამიანს გავესაუბრეთ. მათ შორის იყვნენ იმამები, გლეხები და, წარმოიდგინეთ, ეროვნული ფრონტის ოცდახუთი წევრიც კი, რომლებმაც სადილად მიგვიწვიეს. ყველანი მეგობრულად გვხვდებოდნენ და სიამოვნებით იხსენებდნენ ძველ ამბებს. დღევანდელ საფრანგეთში მოგზაურობის მეშვეობით გამოვხატე ჩემი პატივისცემა 1968 წლის მოვლენებისადმი.

**ლეგევი:** 1968 წლის ერთ-ერთი დევიზი იყო: „ტროტუარის ქვეშ პლაჟია". ახლახან გამოაქვეყნეთ წიგნი, სახელწოდებით „ბუცებქვეშ... პლაჟია". იუმორისტული ნაწარმოებია?

**კონ-ბენდიტი:** არა, ესაა ძალზე პირადული ისტორია იმის შესახებ, ბავშვობიდან მოყოლებული, რამდენი სიამოვნება და იმედგაცრუება განვიცადე ფეხბურთთან დაკავშირებით. რაც შეეხება იმას, რომ ახლა 1968-ის ორმოცდაათი წლისთავი სრულდება, ეს თარიღი, ცოტა არ იყოს, მაშინებს. მხოლოდ თქვენ დავთანხმდით ინტერვიუზე. იმდროინდელი მოვლენების კომენტირებისგან თავს ვიკავებ. არ ვხვდები არც 1968 წლის მოვლენათა ვეტერანებს და არც - მათ მოწინააღმდეგეებს. ვიმეორებ, ეს იყო შესანიშნავი ეტაპი, მაგრამ 1968 წელი ახლა უკვე ისტორიაა.

**ლეგევი:** დაიწერა კიდევ ერთი წიგნი 1968 წლის მაისის შესახებ, რომელშიც დახასიათებულია ამ ამბოხების სამი ებრაელი ხელმძღვანელი: პიერ გოლდმანი, ანდრე გლუკსმანი და თქვენ. როგორ ფიქრობთ, ავტორის დასკვნები სწორია?

**კონ-ბენდიტი:** გასაკვირი არაა, რომ ებრაელები - განსაკუთრებით, საშუალო კლასის წარმომადგენლები - ყოველთვის მონაწილეობდნენ მემარცხენე მოძრაობებში, მაგალითად, ბოლშევიზმში, აგრეთვე - ამერიკულ სდს-ში. თუმცა, ვერ განვაზოგადებ. შესაძლოა, მათი ქცევის საფუძველს წარმოადგენდა მესიანისტური იმედები და სამყაროში არსებული ვითარების გაუმჯობესების იდეალისტური სურვილი.

**ლეგევი:** თქვენი ცხოვრების ალტერნატიული შეფასება შეიძლებოდა ასე ჩამოგვეყალიბებინა - „ტროტუარის ქვეშ - ჩემი ებრაული წარმომავლობაა", რაც ბევრს გააოცებდა. ბოლოს და ბოლოს, იუდაისტურ გარემოში ნამდვილად არ გაზრდილხართ - მგონი, რელიგიას თქვენს ბავშვობაში უმნიშვნელო ადგილი ეკავა.

**კონ-ბენდიტი:** ვითარება ოდნავ უფრო რთული გახლდათ: ომის შემდგომ დედაჩემი პარიზში დაბრუნდა და ებრაულ საშუალო სკოლაში სამეურნეო ნაწილის გამგედ მუშაობდა. მისი ერთ-ერთი მოვალეობა ებრაული დღესასწაულების ორგანიზება იყო. ამიტომ ბავშვობა ღრმად ებრაულ გარემოში გავატარე.

**ლეგევი:** მაგრამ ბარ-მიცვის რიტუალი არ გაგივლიათ?

**კონ-ბენდიტი:** ეს მართალია. და არავითარი რელიგიური გრძნობები არ განმიცდია. გაცილებით უფრო უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩემი ძმის - კომუნისტის - ზეგავლენამ. ნამდვილად ვგრძნობ, რომ ებრაული ფესვები მაქვს, მაგრამ - კულტურული და არა რელიგიური გაგებით. ვერ დამივიწყებია, რომ ჩემი მშობლები გერმანიიდან განდევნეს. როგორც ებრაელები და პოლიტიკური ლტოლვილები, ისინი დიდი ხნის განმავლობაში ემალებოდნენ ნაცისტებს. კარგა ხანს ვცდილობდი საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ებრაელებთან მარტოოდენ სარტრისეული გაგებით: ებრაელს ხომ ანტისემიტი „ქმნის". მას შემდეგ, რაც ანტისემიტიზმი დაძლეულ იქნა, აღარ ვგრძნობ, რომ ებრაელი ვარ. თუმცა, ალბათ, ვცდები. დაბადებიდანვე ებრაელად აღვიქვამდი თავს. ყოველთვის მაინტერესებდა, როგორი ვიქნებოდი, ჩემი ძმის მსგავსად, უფრო ადრე რომ დავბადებულიყავი. შესაძლოა, ვარშავის გეტოში მცხოვრები ბიჭი ვყოფილიყავი. ყოველთვის, როდესაც იმ ცნობილ ფოტოსურათს ვუყურებ, ვფიქრობ: ეს შეიძლებოდა მე გადამხდენოდა თავს.

**ლეგევი:** საკუთარ თავს დიასპორულ ებრაელად მიიჩნევთ?

**კონ-ბენდიტი:** ზუსტად ასეა. ეს წარმოქმნის ჩემს მულტიკულტურულ იდენტობას: შემიძლია ვიყო ებრაელი პარიზში, ფრანკფურტში, ლონდონში, მონრეალში.

**ლეგევი:** მაგრამ არა ისრაელში!

**კონ-ბენდიტი:** დიახ. უხეშად რომ ვთქვათ, ჩვენთვის ისრაელი იუდაიზმის დასასრულს განასახიერებს. ეს ეროვნული სახელმწიფოა, ხოლო მისი მცხოვრებნი ისრაელელები არიან და არა - ებრაელები. რაც, რა თქმა უნდა, მათი უფლებაა.

**ლეგევი:** თქვენ ერთხელ დაწერეთ, რომ 1968 წელს მოხდა ბოლო რევოლუცია, რომლის დროსაც არავინ იცოდა ოზონის ხვრელის შესახებ: იმხანად ადამიანები ჯერ კიდევ არ აქცევდნენ ყურადღებას კლიმატურ კატასტროფას. 1968 წლის თაობას და მათ მოწინააღმდეგეებს აერთიანებს ის, რომ ორივე მხარის წარმომადგენელთა თვალსაწიერი მხოლოდ მათი თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებით იფარგლებოდა.

**კონ-ბენდიტი:** მარქსის თანახმად, კაპიტალიზმმა ფეოდალიზმზე იმის წყალობით გაიმარჯვა, რომ საწარმოო ძალებს დაეუფლა, ხოლო სოციალიზმის მიზანი მათი განთავისუფლებაა... თვითმმართველობის უტოპია, რომელიც ესოდენ უცხოა, მაგალითად, მაკრონისთვის, მოგვიანებით აღორძინდა. გერმანელ მეტალურგთა გაერთიანება - IG Metall - ახლახან დათანხმდა გარიგებაზე, რომელიც მუშებს საშუალებას აძლევს, აირჩიონ: ან მეტი ხელფასი, ან მეტი თავისუფალი დრო და, ამგვარად, ოდესმე სუვერენიტეტი დაიბრუნონ. ახლა, როდესაც 1968 წლის მოვლენების შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა, ეს ფენომენალურ მოვლენად მიმაჩნია. ჩემი აზრით, აქ 1968 წლის სულისკვეთება იგრძნობა, რადგან ეს ალტერნატივა გლობალური კაპიტალიზმის მიერ კი არაა განპირობებული, არამედ თვით ადამიანების ძალისხმევითაა შექმნილი.

© The New York Review of Books
10 მაისი, 2018

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ შეიძლება ყოფილიყო თქვენი რეკლამა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

